პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—55

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელებს, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 12 ივლისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 158 (2504)

დ ღ ი უ რ ი

—წითელ ფრონტელთა დემონსტრაცია მანჰეიმში
—დამთავრდა ფინეთის სეიმის არჩევნები. — კომუნისტებმა მიიღეს 23 მანდატი
— დაიწყო 16 ინდოელ რევოლუციონერის პროცესი
— პოლონეთის გლეხური პარტიის ყრილობა
— მოსკოვში მოემგზავრება ამერიკელ კოოპერატორ. დელეგაცია
— ა.-კ. მრეწველობის გამოკვლევის შედეგები
— აფეთქება ოდესის წითელი ჯვრის ქარხანაში. — დაიღუპა 11 კაცი

## ყრილობის შედეგები

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის დიად და საპასუხისმგებლო საქმეში საქართველოს კომპარტიის მეექვსე ყრილობა უთუოდ დარჩება, როგორც მნიშვნელოვანი გარდატეხის ეტაპი ახალ გამარჯვებების გზაზე სოციალიზმის რეკონსტრუქტიული პერიოდი, რომელშიაც მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად საქართველომაც შესდგა ფეხი, კომუნისტური პარტიისა და მის გარშემო დარაზმულ მშრომელ მასების წინაშე აყენებს მთელ რიგ მორიგ რთულ ამოცანებს, რომელთა წარმატებით გადაჭრისათვისაც საჭიროა ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალების მაქსიმალური მობილიზაცია, მთელი ჩვენი მატერიალური და კულტურული შესაძლებლობის რაც შეიძლება ამომწურავად და მიზანშეწონილად გამოყენება.

საქართველოს კომუნისტური პარტია განაგრძობს ბრძოლას ახალ პოზიციების დასაპყრობად მნიშვნელოვან სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევათა საფუძვლებზე. ჩვენ უდავო თვალსაჩინო გამარჯვებები გვაქვს სოციალიზმის მშენებლობის ყველა დარგში. წარსულში ეკონომიურად დაბეჩავებული, კულტურულად ჩამორჩენილი წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანა—საქართველო, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამალებული ტემპით მიექანება ინდუსტრიალიზაციის გზით. ჩვენ წარმატებით მივდივართ წინ სოფლის მეურნეობის მაღალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანის გზით. მუშათა მასების და გლეხობის ძირითად ფენების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების სწრაფი პოლიტიკური და კულტურული ზრდა, მთელ რიგ წარმოებათა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და პარტიის წინამძღოლობით მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის კიდევ უფრო გამაგრება აღმშენებლობის ყველა დარგში, ჩვენი სინამდვილის უდავო ფაქტებია. ეს მიღწევები იმის მთავარი პირობაა, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩავებათ ამ მორიგ რთულ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომელსაც აყენებს რეკონსტრუქტიული პერიოდი.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შევსძლებთ არსებულ დეფექტების აღმოფხვრას. ნაკლოვანებანი კი ჩვენი საქმიანობის თითქმის ყველა დარგში ბლომად მოგვეპოვება. ძველი ქვეყანა უბრძოლველად არ სთმობს თავის პოზიციებს, სოციალიზმის მშენებლობას წინ ეღობება კაპიტალისტური ელემენტების გაფართოებული წინააღმდეგობა. ამ ორ ძალთა ჭიდილში ანტისოციალისტური ელემენტების მოკავშირეა ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით დატოვებული ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, ჩვენს მუშაობაში არსებული შეცდომები, რომელნიც ზოგჯერ უდიდეს ზიანს აყენებენ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებით განვითარების საქმეს, და ცალკე ჯგუფების მერყეობა პარტიის შეუპოვარ, მტკიცე ლენინურ ბრძოლაში კაპიტალიზმის ფესვების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობა, თქმა არ უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა იმ დეფექტების აღნუსხვას, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს საქმიანობაში. ყრილობამ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და სოციალიზმის მშენებლობის შემდგომ განვითარებისათვის. ყრილობა თავის დადგენილებაში შეეხო ჩვენი საქმიანობის ყველა ძირითად მომენტებს, მან შეაფასა სოციალისტური მშენებლობის ყველა მამოძრავებელ ბერკეტების მიღწევები და დეფექტები.

ყრილობამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის დედა ღერძი იყო და არის ინდუსტრიალიზაცია. ამ მთავარი გეზის პრაქტიკულ გატარებას მრავალი სიძნელეები ეღობება წინ. დიდ დეფექტებს აქვს ადგილი მრეწველობის მუშაობაში. პროდუქციის თვითღირებულების სიდიდე, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, წარმოების რაციონალიზაციის სუსტი ტემპით გატარება, ხშირად მტკიცე გეგმების უქონლობა, ახალ სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის გაჭიანურება და სხვ. აი ის მთავარი დეფექტები, რომლებიც ამჟამად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ მრეწველობის მუშაობაში. ბრძოლა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კიდევ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დარჩება ჩვენს წინაშე გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანად. საჭიროა მეტი თაოსნობა, მუშათა მასების უფრო აქტიურად დარაზმვა და მათი ენერგიულად ჩაბმა მრეწველობის პრაქტიკულ საქმიანობაში. მრეწველობის მუშაობის გასაჯანსაღებლად ყრილობას აუცილებლად მიაჩნია: „საამშენებლო მასალების დამზადების სწრაფად განვითარება, მათი თვითღირებულებისა და გასაცემი ფასების თანდათანობითი შემცირება; გეგმიანობის გაძლიერება სამრეწველო ორგანოების საქმიანობაში; მუშაობის გაძლიერება მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების დასაკლებად და შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად, რისთვისაც საჭიროა წარმოების პროცესებისა და აპარატის მუშაობის რაციონალიზაციის გადაჭრით გატარება, ტექნიკის განვითარება და შრომის მეცნიერულად მოწყობა, შრომის დისციპლინის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება და 7 საათის სამუშაო დღეზე სავსებით — გადასვლა ხუთი წლის განმავლობაში". თავისთავად იგულისხმება, რომ მუშაობის ძველი მეთოდები, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა დარგებში, უკვე ვერ მოგვცემენ სასურველ ეფექტს ყრილობის მიერ დასახულ დირექტივის განხორციელების საქმეში.

საჭიროა პარტიული და, საერთოდ, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გაიმსჭვალოს რეკონსტრუქტიული პერიოდთან დაკავშირებით წამოჭრილ ამოცანათა მნიშვნელობით, საჭიროა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ ის ეგუებოდეს მიმდინარე პერიოდის აქტუალურ ამოცანებს. პირველ ყოვლისა ამაზე უნდა იზრუნონ თვით პარტიულ ორგანიზაციებმა. ყრილობა თავის დადგენილებაში ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს: „რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანები მოითხოვენ გადამჭრელ გარდატეხას პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის მთელ სისტემასა და მეთოდებში". ასევე უნდა ითქვას ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატის ყველა უჯრედებზე. დიდი მოვალეობა ეკისრებათ ამ მხრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებს. მთელ რიგ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად პროფკავშირები ვერ იჩენენ საკმაო ენერგიას წარმოებათა მიმდინარე საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. პროფესიონალური ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო აქტიობით ვერ ჩაებნენ შრომის ნაყოფიერების გადიდების, მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უდიდესი მნიშვნელობის მასიურ მოძრაობის — სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის ბრძოლაში და სხვა. ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი ინდუსტრიალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებაზე. ყრილობის ამ მითითებიდან ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებმა და მათ შორის პროფესიონალურ კავშირებმა, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ შესაფერი პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოიტანონ.

არა ნაკლებ რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხები სდგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანის საქმეში. ჩვენ ერთი წუთითაც ვერ დავივიწყებთ, რომ სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ უპირატესი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში. ინდუსტრიალიზაციის კურსის სწორად გაგება გვავალებს მუშაობის გაასკეცებას იმისათვის, რომ გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია რაოდენობით და ხარისხობრივად. ამასვე მოითხოვენ ღარიბ და საშუალო გლეხების სასიცოცხლო ინტერესები. პარტიას და ხელისუფლებას ამ დარგშიაც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. სოფლის მეურნეობამ მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი დარგები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არიან ჩამორჩენილი, გაუსწრო ომამდე არსებულ დონეს. არის საგრძნობი მიღწევები აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარების დარგში, სოფლად თანდათან გზას იკვლევს რთული სამეურნეო მანქანა, იზრდება ტექნიკურ კულტურათა მოშენება და სხვ. მაგრამ ამავე დროს ისიც აშკარაა, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩება ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო წინსვლას. მისი განვითარების ტემპი შედარებით ნელია. სოფლად ჯერ კიდევ ბატონობენ მეურნეობის პრიმიტიული იარაღები. გლეხის მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დეფიციტიანია. განსაკუთრებით არა საკმაოა მარცვლეული კულტურის პროდუქცია. ასეთი მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან მთელი ძალ-ღონის დაძაბვას სოფლის მეურნეობის განვითარების დასაჩქარებლად.

სოფლის მეურნეობის ახალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანა, მისი გაძლიერებული ინტენსიფიკაცია შეუძლებელია წარმატებით მიმდინარეობდეს წვრილ, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა ქვეყანაში. პარტიის მტკიცე გეზი კოლექტივიზაციის დარგში, ერთერთ მთავარ წინასწარ პირობას წარმოადგენს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ განავითარეს საჭირო მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. კოლექტიურ ერთეულების შედარებით მნიშვნელოვანი რიცხობრივი ზრდა უმეტეს შემთხვევაში არ შეეფერება მათი მუშაობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ხშირად კოლექტივი არარენტაბელურ სამეურნეო გაერთიანებას წარმოადგენს. ის ამის გამო ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, არ არის დანარჩენ გლეხურ მეურნეობათა წინამძღოლი, პირიქით, საქმის მოუწესრიგებლობით და უხეირო მუშაობით კოლექტივი ზოგჯერ მიდის თვითლიკვიდაციის გზით და, ამრიგად, უდიდეს ზიანს აყენებს კოლექტივიზაციის იდეის განმტკიცებას გლეხკაცობაში. ყრილობა მოითხოვს ჩვენგან ენერგიული ზომების მიღებას ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. მის დადგენილებაში კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა მუშაობის გაჯანსაღების შესახებ ნათქვამია: „საჭიროა ყოველმხრივ ხელი შეეწყოს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წვრილ კოლექტიურ მეურნეობათა შეჯგუფებას. როგორც კოლექტიურ, ისე საბჭოთა მეურნეობების განვითარებას, მათი აგრიკულტურულ - ორგანიზაციულ ზემოქმედების გაძლიერებას ახლო - მახლო მდებარე ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობებზე, უნდა გაძლიერდეს მათი საწარმოო კოოპერატიული გაერთიანება".

ყველა ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანების წარმატებით გადაჭრა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, დაჟინებით აყენებს ჩვენს წინაშე კადრების მომზადების საკითხს. სწრაფი განვითარების გზაზე მდგომი ქვეყანა სპეციალურ მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდის, დღითი - დღე იზრდება მოთხოვნილება მაღალი ცოდნით შეიარაღებულ, სოციალიზმის მშენებლობისათვის თავდადებულ ახალ ადამიანებზე. ამ მხრივ ჩვენს სახალხო განათლების ორგანოებს უდიდესი მუშაობის ჩატარება მართებთ.

ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების ძირითად პირობას წარმოადგენს კომუნისტური პარტიის რიგების სიმტკიცე, ლენინის მოძღვრების სისწორით და შეურყევლად გატარება ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. ჩვენი პარტია როგორც წინად, ისე მომავალშიაც მტკიცედ განაგრძობს სოციალიზმის მშენებლობას ლენინის მიერ დასახულ გზით. ის ბოლშევიკური დაუნდობლობით შეებრძოლება ყველა მათ, ვინც შეეცდება პარტიის სწორი ხაზის გამრუდებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობა, რომელმაც თავისი იშვიათი ერთსულოვნებით ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენი რიგების ურყევლობა, მოგვიწოდებს დაუზოგავად ვამხილოთ ლენინის იდეების ყალბი ჯურის ფარული და აშკარა გამყალბებელნი და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემარიგებლობასთან, რომელიც ჩვენი განვითარების მიმდინარე პერიოდში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. ბოლშევიკურ პარტიას არ სჩვევის სიძნელეთა წინაშე ქედის მოხრა, მემარჯვენე კაპიტულიანტურ ელემენტების უიმედობას ჩვენი პარტია უპასუხებს თავის რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით.

ამავე დროს, ყოველი სახის კონტრრევოლუციონურ ხროვასა და მათ შორის ტროცკისტული კონტრ - რევოლუციასთან შეუპოვარი ბრძოლის, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების თავის დროშის გარშემო კიდევ უფრო შეკავშირებისა და არსებულ მიღწევათა განმტკიცება - გაფართოების გზით ჩვენი პარტია განახლებული ენერგიით განაგრძობს სვლას წინ— მორიგ და დიად გამარჯვებებისაკენ.

# საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლ. გეგმა

## ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-VI ყრილობაზე

### გეგმის შედგენის სიძნელენი

ამხანაგებო, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაზე მოხსენების თეზისები თავის დროზე გამოქვეყნდა პრესაში და ვფიქრობ, ყრილობის დელეგატები უკვე იცნობენ ამ თეზისებს. მართალია, თეზისებში მოხსენებული ზოგიერთი ციფრი მეტ სისწორეს მოითხოვს, მაგრამ საქმე ციფრები კი არ არის, არამედ ის თვალსაზრისი, რომელიც მოცემულია თეზისებში. ამიტომ ყრილობა უაღრესი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს ჩვენი გეგმის ამ ზოგად თვალსაზრისს. გარდა ამისა, ამხანაგებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ახლახან გამოშვებულ დიდ ტანიან წიგნს ქართულ და რუსულ ენებზე. ამ წიგნში განმარტებულია ხუთწლიანი გეგმის მთავარი ელემენტები. მართალია, ამ გამოცემას, როგორც მთელ გეგმასაც, რომელიც დაამუშავა ჩვენმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, მრავალი ნაკლი და დეფექტი აქვს, მაგრამ, ამხანაგებო, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა მეტის-მეტად რთული და ფრიად ძნელ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი მეურნეობის გეგმიანობის შესახებ დიდი ხანია ლაპარაკი დავიწყეთ. ჯერ კიდევ 1920 წელს ლენინი პირისპირ მიუდგა ამ საკითხს, და მას აქეთ ლაპარაკი არ შეგვიწყვეტია გეგმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ეხლა გახდა შესაძლებელი შეგვედგინა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმაც.

ამხანაგებო, როგორც უკვე ვსთქვი, ამ გეგმას მრავალი ნაკლი აქვს. იქ სრულად არ არის გამოხატული ყველა ჩვენი შესაძლებლობა. გარდა ამისა, ამ გეგმის ბევრი შემადგენელი ნაწილი, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო დარგები და ბევრი სხვა საკითხი საკმაოდ არ არის დამუშავებული. ამის მიზეზი ძალიან ბევრია. პირველ ყოვლისა, მუშაობის სიახლე, მეტადრე ჩვენი სპეცებისათვის, რომლებსაც ძალიან დიდი კვალიფიკაცია არა აქვთ და, გარდა ამისა, აკლიათ ასეთი გეგმების შესადგენად საჭირო გამოცდილება, რადგან ასეთ საკითხებს წინად არ მისდევდნენ.

მიუხედავად ამისა, ამხანაგებო, ეს გეგმა ჩვენთვის ძალიან დიდ ღირებულებას წარმოადგენს იმ მხრით, რომ პირველად არის მოცემული ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, პირველად ექცევა ყველა მუშის, ყველა მშრომელის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა ამ გეგმის განხორციელება. ამისათვის დასახულია მისი პრაქტიკული შესრულების გზები, გათვალისწინებულია ის შეცდომები, რომლებსაც დღემდე ჰქონდა ადგილი და რომელთა შესაძლებელი განმეორება თავიდან უნდა ავიცილოთ. მაგრამ უნდა გამოვიჩინოთ ყურადღების მაქსიმუმი, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი შეცდომები და დეფექტები, რასაც, საფიქრებელია, ადგილი ექნება გეგმის განხორციელების პროცესში.

უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმის ნაწილთა შორის ყველაზე უკეთესად არის დამუშავებული მრეწველობის გეგმა. ამ მხრით გეგმა შეეფერება საქმის მოთხოვნილებას, მაგრამ, ცხადია, დეფექტები აქაც გვაქვს.

ამხანაგებო, ზედმეტია ლაპარაკი, რომ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური იყოს, რომ მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია დაისახოს ასეთი ამოცანები, წინდაწინ დაგეგმოს სახალხო სამეურნეო მშენებლობის ყველა შემადგენელი ნაწილი მისი ჰარმონიული განვითარების მიზნით. ვიმეორებ, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია დაისახოს ამგვარი ამოცანები.

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ მთლად სოციალისტური არ არის, რომ მასში ჯერ კიდევ სჭარბობს კერძო მეურნეობა. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს ის, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა ბოლოსა და ბოლოს სოციალისტურ კალაპოტში ჩავაყენოთ.

როგორც უკვე აღვნიშნე, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენა უაღრესად რთული და ძნელი ამოცანაა. მთავარ სიძნელეს ჯერ ერთი ის შეადგენს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა გარდავქმნათ უმაღლეს ტექნიკურ საფუძველზე, მეორე— ჩავაყენოთ იგი სოციალისტურ კალაპოტში. ეს ამოცანა, რომ ტექნიკურად დიდათ განვითარებულ სახელმწიფოებში იდგეს, მაგალითად, გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში და სხვაგან, ცხადია, იგი ბევრით უფრო ადვილად გადაიჭრებოდა, რადგან საჭირო არ იქნებოდა ამ ამოცანის პირველი ნახევრის გადაჭრა. ჩვენ კი, ფიგურალურად რომ ვსთქვათ, საჭიროა დავეწიოთ და გავუსწროთ ამ ტექნიკურად და ეკონომიურად უაღრესად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა მივმართოთ სოციალისტური კალაპოტით.

ამხანაგებო, ეს ამოცანა დაგვისახეს ჩვენი პარტიის მე-XIV და, მეტადრე, მე-XV ყრილობებმა და იგი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავსჭრათ. ხუთწლიანი გეგმა იმ დირექტივის შესრულებას წარმოადგენს, რომელიც მოგვცა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ მე-XI ყრილობამ.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ამ გზაზე უდიდესი სიძნელეები გვეღობება. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ ნიადაგზე წაიჩოქა ძალიან ბევრმა პარტიულმა ამხანაგმა. მაგრამ ჩვენ ამ გზით შეუჩერებლად მივდივართ.

ვიდრე ხუთწლიანი გეგმის შემდგომ საკითხებზე გადავიდოდე, უნდა შევეხო ზოგიერთ გარემოებას. სახელდობრ: ვსთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ისეთი საწარმოო არსებობს, რომლებსაც სრულიად საკავშირო მნიშვნელობა აქვთ და ჩვენს გეგმაში ან სრულიად არ არიან შეტანილი ან მეტად სუსტი გამოხატულება ჰპოვეს.

მთლიანი სურათისათვის ძალიან საჭიროა, რომ მომავალში ჩვენი გეგმის განხილვის დროს ამ საწარმოებმა საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმაში ჯეროვანი გამოხატულება ჰპოვონ.

ცხადია, ამით არავინ არაფერს წააგებს, გეგმა კი მოიგებს, რადგან სურათი უფრო მთლიანი და ნათელი იქნება. მაგალითისათვის დავასახელებ „აზნეფტის" საწარმოებს, რომლებიც, უდიდესი საკავშირო მნიშვნელობის გარდა, საქართველოს ეკონომიკაში ძალიან დიდ როლს თამაშობენ, რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩვენს გეგმებში. იგივე ითქმის ზოგიერთი სხვა, მაგალითად, სატრანსპორტო ხასიათის საწარმოების შესახებ.

ჩვენი გეგმა, როგორც უკვე ვსთქვი, საკავშირო გეგმის ნაწილს შეადგენს და, ამასთანავე ერთად, დაკავშირებულია ამიერ-კავკ. გეგმასთან. სწორედ ეს წარმოადგენს ერთერთ დიდ ამოცანას: უაღრესად ბუმბერაზული მეურნეობა ჩვენი კავშირისა, რომელიც გადაჭიმულია უდიდეს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიას კი უჭირავს მსოფლიოს ერთი მეექვსედი, სხვადასხვა სიგრძედებზე და განედებზე, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში, დაწყებული პოლიარული და გათავებული სუბტროპიკული ზონებით.

ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით, ამ უდიდეს სივრცეზე არსებობენ სულ სხვადასხვა ეროვნებით დასახლებული რაიონები. ამ ეროვნებებს ცარიზმის დროს ყოველნაირად სჩაგრავდნენ, ისინი ძალზე ჩამორჩენ კულტურულად და ეკონომიურად. გეგმას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და მხედველობაში მიეღო უმთავრესად პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ ჩამორჩენილი რაიონები გაეთანასწორებინა და აემაღლებინა წინწასულ ეროვნებათა დონემდე.

ამხანაგებო, საქართველოში, მას შემდეგ, რაც მას ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება და მოცემულ იქნა დირექტივა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ, შეძლებისამებრ გათვალისწინებულ იქნა ეს მომენტები.

ასე, მაგალითად, ჩვენი გეგმის შედგენის დროს ვითვალისწინებდით, ერთის მხრივ, იმას, რომ საქართველო ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილია (განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ეს უკანასკნელი გარემოება, რადგან საქართველო, აღებული მთლიანად, თავისი შემადგენელი ნაწილებით, ჩამორჩენილია კულტურულადაც), თუმცა საბჭოთა კავშირში არიან, რასაკვირველია, უფრო ჩამორჩენილი რაიონებიც. მეორეს მხრივ, თვით საქართველოშიაც არიან ჩამორჩენილი რაიონები ჩამორჩენილი ხალხებით. ყოველივე ეს მივიღეთ მხედველობაში ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს. ამავე დროს ჩვენ უნდა გამოვსულიყავით იქიდან, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი შეიძლება გაუთანასწორდეს მთლიანად საბჭოთა კავშირის, კერძოდ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უკრაინის და სხვების სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტემპი საქართველოში საკმაოდ მაღალი იქნება. ცხადია, უამისოდ კავშირის ჩამორჩენილი ნაწილის გათანასწორება სხვა უფრო მოწინავე რაიონებთან, შეუძლებელია. ასე მოუდექით ჩვენ საკუთრივ საქართველოს, რომელიც გამოვყავით ცალკე, როგორც უფრო კულტურული ნაწილი. ჩამორჩენილი რაიონები კი, როგორც არის აფხაზეთი, სამხრეთ - ოსეთი და აჭარისტანი ვცდილობდით აგვეწია რაც შეიძლება მაღლა.

თუ რამდენად გადავჭერით ეს ამოცანა, ამაზე ყრილობას შეუძლია იქონიოს მსჯელობა

გარდა ამისა, ამხანაგებო, ამ საერთო მოსაზრებებს უნდა დაურთოთ ერთი გარემოებაც. ეს გეგმა შედგენილია ხუთი წლის პერიოდისათვის. ამ გეგმით გათვალისწინებულია ჩვენი მეურნეობის განვითარების გზები წლების მიხედვით, ის, თუ რა თანხა უნდა იქნას დაბანდებული ამა თუ იმ წელს, აგრეთვე რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ წელს, სად და რომელ საწარმოს უნდა ჩაეყაროს საძირკველი და როდის უნდა დამთავრდნენ და ამუშავდნენ ეს საწარმონი. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რაკი გეგმა შევადგინეთ — გათავებულია, არავითარი ზომები, არავითარი ცვლილებები, არავითარი დამატებები აღარ არის საჭირო. ასე არ არის. 5 წლის გეგმის გადასინჯვის დროს ყოველ მორიგ წელს, რასაკვირველია, მოგვიხდება ამა თუ იმ ცვლილების შეტანა ამ გეგმაში. მისი შესწორება, დამატება ან შემცირება იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. ფაბრიკა და ქარხანა, რომლის აგებაც გათვალისწინებულია გეგმით ერთ ადგილას, შეიძლება გადავიტანოთ მეორე ადგილას და სხვ. მაგრამ ხუთწლიანი გეგმა ამით, რასაკვირველია, არა ვითარ შემთხვევაში არა ჰკარგავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც მას აძლევენ ჩვენი პარტია და ხელისუფლება.

## კაპიტალური დაბანდებანი და მრეწველობის ზრდა

### დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში

გადავდივარ რა გეგმაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საკითხს.

აი დიაგრამა, რომელიც საერთო წარმოდგენას გვაძლევს ამ დაბანდებებზე, იმაზე, თუ როგორ გაიზრდებიან ეს დაბანდებანი წლების მიხედვით და შემდეგ საერთოდ ხუთი წლის განმავლობაში. ხუთი წლისათვის აქ ჩვენ გვაქვს 664.613.000 მანეთი. თუ ამ ციფრს შევადარებთ იმ თანხას, რომელიც დაბანდებული იყო საქართველოს სახალხო მეურნეობაში წინა 5 წლის განმავლობაში, მივიღებთ უდიდეს ზრდას — 500 პროც-ზე მეტს.

თუ დაბანდებებს სახალხო მეურნეობაში ავიღებთ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, პროცენტულად მივიღებთ ორჯერ იმაზე ნაკლებს, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობაში იქნება დაბანდებული. დაბანდებათა საერთო თანხიდან ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში დაბანდებული იქნება 178 მილიონი მანეთი. თეზისებში აღნიშნული ციფრი ნაკლებია, სახელდობრ, 158 მილიონი მანეთი, რაც მოხდა იმის გამო, რომ იქ შეტანილი არ არის ის 20 მილიონი მანეთი, რომელიც გათვალისწინებულ იქნა სოფლის მეურნეობისათვის, უფრო სწორად — ჩაის ფაბრიკებისათვის. ჩაის ფაბრიკები კი ეკუთვნიან მრეწველობას, ამიტომ ეს შეცდომა შემდეგში გამოვასწორეთ და ციფრები სათანადოდ შევსცვალეთ.

სახალხო მეურნეობის შემდგომ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს ელექტრომშენებლობა. ელექტრომშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია დაიხარჯოს 75 მილიონი მანეთი. მე უნდა შევნიშნო, რომ თეზისებში ნაჩვენებია სხვა ციფრი —56 მილიონი მანეთი, ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ, უკვე იმის შემდეგ, როცა შედგენილ იქნა პირვანდელი გეგმა, გამოირკვა კიდევ ერთი ჰიდრო - სადგურის აგების აუცილებლობა ხუთი წლის დამლევისათვის, რამაც გამოიწვია ციფრის გადიდება.

ელექტრომშენებლობას მოსდევს სოფლის მეურნეობა. გეგმით განზრახულია, ხუთი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობას მოხმარდეს 186 მილიონი მანეთი. ეს ციფრიც უნდა შესწორდეს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ჩემს მიერ დასახელებულ გამოცემაში ამ დაბანდებათა რაოდენობა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად არის ნაჩვენები.

### მრეწველობის პროდუქციის ზრდა

გადავდივარ მრეწველობაზე. აქ ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვაქვს მთელი ჩვენი ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია.

ჩვენი ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდა ამ ხუთი წლის განმავლობაში ასეთია: ეხლანდელი 52.931.300 მანეთის ნაცვლად, ხუთი წლის დამლევს 32-33 წელს, ჩვენმა მრეწველობამ უნდა მოგვცეს 266.961 200 მანეთი. თუ ამას, ამხანაგებო, პროცენტებზე გადავიყვანთ, ზრდა გამოიხატება 403 პროცენტით.

თუ ავიღებთ ცალკე სასაქონლო პროდუქციას, დავინახავთ, რომ ზრდა 48 მილიონიდან ხუთი წლის დამლევს მიაღწევს 250 მილიონ მანეთამდე.

შემდეგ ავიღოთ გამომუშავება თვითეულ მუშაზე, სხვანაირად რომ ვსთქვათ — შრომის ნაყოფიერება. აქ ზრდა დაახლოვებით იქნება 338,8 მანეთიდან 653,6 მანეთამდე. ამ შემთხვევაში გეგმით გათვალისწინებულ ზრდას 93,2 პროცენტით ჩვენ არ ვეთანხმებით და გვგონია, რომ შრომის ნაყოფიერება საჭიროა ამ ხუთი წლის განმავლობაში ავიდეს სრულიად საკავშირო დონემდე, ე. ი. 110 პროცენტამდე.

მუშების რიცხვი ხუთი წლის დამლევისათვის 12.794 კაციდან გაიზრდება 33.214 კაცამდე, ე. ი. 159 პროცენტით.

თუ ჩვენი გეგმით გათვალისწინებულ ზრდას შევადარებთ საკავშირო გეგმის ამგვარსავე მაჩვენებლებს, მივიღებთ შემდეგ სურათს: თუ საერთო პროდუქცია ჩვენში იზრდება 403 პროცენტით, სრულიად საკავშირო მასშტაბით ეს ზრდა, ხუთწლიანი ვარიანტის მიხედვით, ბევრად ნაკლებია და უდრის 164 პროცენტს. თუ ავიღებთ მრეწველობის ზრდის ტემპს ჩვენში და მთელს კავშირში, განსხვავება, ამხანაგებო, უდიდესია. საქართველოში ზრდის ტემპი ასეთია: 28-29 წელს—60,5 პროც., 29-30 წ. — 48,9 პროც., 30-31 წ.— 30,9 პროც., 31-32 წ. — 26,9 პროც., 32-33 წ.—26,5 პროც.

მაგრამ აქ საჭიროა განვმარტოთ ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. როგორც თქვენ შენიშნეთ, ჩვენი ზრდის ტემპი თავიდან მეტად ძნელია, ხოლო შემდეგ ხუთი წლის დამლევისათვის თანდათან მცირდება და 60,5 პროცენტიდან დადის 26 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც საკავშირო მრეწველობას ზრდის ტემპი, დაახლოებით, სდგას ერთ დონეზე — 32-33 პროცენტზე.

აიხსნება ეს შემდეგით: მართალი თუ გნებავთ, ჩვენ მრეწველობა არა გვქონია, ამიტომ ყოველი ახლად გახსნილი ქარხანა ან ფაბრიკა აუცილებლად და ერთბაშად უდიდეს ეფექტს იძლეოდა. ასე, თუ წინა ხუთი წლის განმავლობაში რამდენსამე ქარხანას საძირკველი ჩაეყარა, ამ ხუთი წლის განმავლობაში ისინი, რაკი ამუშავდებიან, იძლევიან თავიანთ ეფექტს და ამ ეფექტს ვღებულობთ ერთბაშად, პირველსავე წელს. შემდეგ ეს ტემპი ცოტათი კლებულობს, თუმცა მაინც უფრო მაღალია, ვიდრე კავშირში.

### მძიმე და მსუბუქი მრეწველობა

ჩვენი მრეწველობა, როგორც თქვენ იცით, ორ კატეგორიად იყოფა: ერთის მხრივ არის დარგი ან დარგთა ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ წარმოების საშუალებებს; მეორეს მხრივ — დარგი ან დარგთა ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ უშუალო მოხმარების საგნებს, მასიურ საგნებს.

თქვენ იცით აგრეთვე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული კურსი ამ ორი ჯგუფის განვითარების საქმეში. თქვენ იცით, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარების ქვაკუთხედათ ჩვენ მიგვაჩნია პირველი ჯგუფი. ამაზე არ შევჩერდები, მე მგონია ყველამ იცის, რათ არის ასე.

მაგრამ როგორია ამ ორი ჯგუფის ურთიერთისადმი დამოკიდებულება. სრულიად საკავშირო მასშტაბით, დაბანდებათა 78 პროცენტი ხმარდება „ა" ჯგუფს. მაგრამ იქ არსებობს მძიმე მრეწველობა, არსებობს ლითონის მრეწველობა, მანქანათსაშენებელი მრეწველობა, რომელიც უკვე არსებობს, რომელიც უკვე ვითარდება. ეს დარგები ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი ჯგუფის დარგები ჩვენ მაინც გვაქვს. როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის ჩვენში, საქართველოში? პირველ ჯგუფზე დაიხარჯება 111.671 ათასი მანეთი (64,4 პროცენტი), ხოლო მეორეზე — 61.842 ათასი მანეთი (35,6 პროცენტი). აქედან იმ დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება, რომ აღნიშნულ გარემოებას ჩვენშიაც ეწევა ანგარიში. შემდეგ, როგორი დამოკიდებულებაა ამ ჯგუფებს შორის პროდუქციის მხრივ? პირველი ჯგუფი იძლევა ზრდას 414,4 პროცენტით, მეორე კი — 395,5 პროცენტით. განსხვავება პირველი ჯგუფის სასარგებლოდ მაინც არსებობს.

### თვითღირებულების შემცირება

ის, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როდესაც მრეწველობის შესახებ ვლაპარაკობთ,- არის თვითღირებულების შემცირება. ამხანაგებო, არ დავღალავ თქვენს ყურადღებას ამით. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ ყველგან — ყრილობებზე, კონფერენციებზე, მაგრამ აი აქ მე მოვიყვან ადგილს ამხ. კრუჟანოვსკის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა უკანასკნელ სრულიად საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. აი რას ამბობს იგი:

„თუ თქვენ წარმოიდგენთ მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას 42 პროცენტით, შემცირება გამოიხატება 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით, შემცირების თვითეული პროცენტი კი დაახლოვებით იძლევა 400 მილიონ მანეთის ეკონომიას. ეს უფრო მეტად ადასტურებს ხუთწლიანი გეგმის რეალობას".

აი რა რეალური მნიშვნელობა აქვს თვითღირებულების შემცირებას. ამიტომაც ვიმეორებთ მუდამ ამას, როგორც ისეთ ამბავს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, რაც ბოლოს და ბოლოს ჩვენში ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას.

### ელექტროფიკაცია

ეხლა, ამხანაგებო, გადავიდეთ შემდეგ განყოფილებაზე—ელექტროფიკაციაზე. ეს საქმე ჩვენში საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება, უფრო სწრაფათ, ვიდრე სხვაგან. გეგმა იძლევა ჰიდროსადგურების რიცხვის შემცირებას. ეს ბუნებრივია, რაც უფრო მეტი დრო გავა ხუთი წლის მანძილზე, სადგურების რიცხვი მით უფრო შემცირდება, რადგან ჩვენ გადავდივართ რაიონულ სადგურებზე და პატარა სადგურები თანდათან გაუქმდებიან. წარსული ხუთი წლის განმავლობაში ჩვენში ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ამ მხრივ მეტ ეფექტს მივიღებთ. ჩვენი ელექტრო-სადგურების ძალა უდრის 20.850 ათას კილოვატს, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის მივიღებთ 86.944 ათას კილოვატს. ელექტროენერგიის გამომუშავება 31,7 მილიონი კილოვატ-საათიდან ავა 481,3 მილიონ კილოვატ-საათამდე. მოხმარება კი 27,7 მილიონი კილოვატ-საათიდან—375,9 მილიონ კილოვატ-საათამდე.

აი ზრდის ზოგადი მაჩვენებლები. ამასთან უნდა ითქვას, რომ დიდ ნახტომს ჩვენ 1932—33 წელს მივიღებთ. ეს მით აიხსნება, რომ ამ წლებში დაიწყებს მოქმედებას რიონჰესი, თვალსაჩინოდ გაიზრდებიან ზაჰესის და აბჰესის აგრეგატები.

ამხანაგებო, უკვე ვსთქვი, რომ ელექტროფიკაციაზე სულ 76.051 ათასი მანეთი დაიხარჯება.



ამხ. ფ. მახარაძე

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ის, თუ ვინ იქნება ელექტროენერგიის მთავარი მომხმარებელი? უწინარეს ყოვლისა— მრეწველობა. ენერგიის უდიდესი რაოდენობა მოხმარდება ჩვენს მრეწველობას. მაგრამ ელექტრო-ენერგიის მოხმარება განსაკუთრებით გაიზრდება მაშინ, როცა ჩვენ ავამუშავებთ ფერო-მარგანეცის ქარხანას, რომლის ნაყოფიერება თანდათან გაიზრდება: 31—32 წელს იგი გამოიმუშავებს 40.000 ტონას, 32—33 წელს—50 ათას ტონას, ხოლო 33—34 წელს გეგმით გათვალისწინებულია 150 ათასი ტონამდე გამომუშავება. ეს მოითხოვს 4 მილიონი კილოვატით მეტ ენერგიას და, რადგან ზაჰესი და რიონჰესი ამ დროისათვის უკიდურესად დაიტვირთებიან, საჭირო გახდება უფრო მძლავრი ჰიდროსადგურების აგება. მაგრამ ამაზე მე კიდევ ვილაპარაკებ ქვემოდ, ხოლო ეხლა მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომლებიც გვიჩვენებენ ენერგიის ხარჯს თვითეულ სამრეწველო მუშაზე: 1928—29 წელს თვითეულ მუშაზე იხარჯებოდა 498 კილოვატ-საათი, ხოლო 32—33 წლის დამლევისათვის დაიხარჯება 2.720 კილოვატ-საათი, თქვენ ხედავთ, რა უდიდესი ზრდაა. ხალხში მოხმარება ენერგიისა ქალაქის მოსახლეობის თვითეულ სულზე 28—29 წელს შეადგენს 25 კილოვატ-საათს, 32—33 წელს კი—39,1 კილოვატ-საათს.

## სასოფლო მეურნეობა

### სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდა

ნათესების სივრცე. აქ დიაგრამაზე მოცემულია 1927—28 წელი, რომელთანაც შედარებულია შემდეგი წლები. ნათესის სივრცე ამ წელს შეადგენდა 800,2 ათას ჰექტარს, ხუთი წლის დამლევს კი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გეგმით, შეადგენს 1.101,5 ათას ჰექტარს. აქ ზრდა დაახლოვებით 25,1 პროცენტს უდრის. შეიძლება, რასაკვირველია, დავა იმაზე—მოსახერხებელია თუ არა ნათესის სივრცის უფრო მეტად გადიდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ამ ზრდის დაპირისპირება მთელი საბჭოთა კავშირის ნათესის სივრცის ზრდასთან, რაიც ოპტიმალური ვარიანტით 22,5 პროცენტს უდრის, დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა. ჩვენ გეგმას ამ მხრივ უფრო მაღალი კურსიც აქვს აღებული.

ცალკე აღებული მარცვლეული და ცერცვოვან კულტურები 1927—28 წელს შეადგენდა 758,6 ათასს, უკანასკნელ წელს კი შეადგენს 872,9 ათასს. აქ ზრდის პროცენტი უდრის 15,1-ს, მთელ კავშირში კი—14,8-ს.

გამოვყოთ ტექნიკური კულტურები. როგორც იცით, ტექნიკურ კულტურებს ეკუთვნიან თამბაქო, ბამბა და კანაფი. ტექნიკური კულტურების ზრდა ჩვენში ამ ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 144,8 პროცენტს, ხოლო კავშირში—61,2 პროცენტს. სხვა კულტურები—კარტოფილი და სხ.—290 პროცენტს. შინაური საქონლის ზრდა, გამოანგარიშებული მსხვილფეხა საქონლის მიხედვით, შეადგენს 17 პროცენტს.

თუ ავიღებთ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციას, მივიღებთ 1927—28 წელს 268.010,6 ათასს მანეთს, უკანასკნელ წელს კი —384.122,9 ათას მანეთს, ზრდა უდრის 43,3 პროცენტს. ასეთი ზრდა არასაკმაოდ უნდა ჩავთვალოთ. ცალკე აღებული მცენარეულობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 47,6 პროცენტით, ხოლო ტექნიკური კულტურების საერთო პროდუქცია—108,3 პროცენტით, მესაქონლეობის—35,8 პროცენტით. სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია საერთოდ გაიზარდება 94 პროცენტით. ცალკე აღებული მემცენარეულობის სასაქონლო-პროდუქცია გაიზრდება 102 პროცენტით, მესაქონლეობის—83,5 პროცენტით და ტექნიკური კულტურების 118,7 პროცენტით. სასაქონლო პროდუქცია კავშირში, ოპტიმალური ვარიანტით, გაიზრდება 105 პროცენტით, ჩვენში კი 94 პროცენტით. მემცენარეულობა იქ გაიზრდება 140 პროცენტით, და მესაქონლეობა— 97 პროცენტით, საერთოდ უფრო მეტად, ვიდრე ჩვენში.

ეხლა, ამხანაგებო, ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, რომ როგორც ვფიქრობ, ჩვენს გეგმას მესაქონლეობის დარგში ზრდის საკმაოდ ზომიერი ტემპი აქვს აღებული. მე ვფიქრობ, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მეღორეობას, და თუ ამ მხრივ მივმართავთ სათანადო ზომებს, მივიღებთ ზრდის თვალსაჩინო გადიდებას.

### ტექნიკური კულტურები

ეხლა თამბაქოს შესახებ. თამბაქოს სასაქონლო ნაწილი ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 80,8 პროცენტით. ამხანაგებო, მე სავსებით სერიოზულად ვამბობ, რომ თამბაქო ბოროტებაა, მაგრამ რადგან იგი საექსპორტო საგანია, უნდა წავახალისოთ მისი ზრდა. მეორე მხრით, მომავალში უნდა ავიღოთ კურსი იმ კულტურების გადიდებაზე, რომლებიც შეიძლება ექსპორტის და შინაური მოხმარების საგნებად გადაიქცნენ. ასეთი კულტურები ჩვენ გვაქვს, მაგალითად, ჩაი.

ჩაის პლანტაციის სივრცე, ამხანაგებო, ხუთი წლის დამლევს, გეგმის მიხედვით, გაიზრდება 1931,6 პროცენტით, მევენახეობა—8 პროცენტით, მებამბეობა—318,5 პროცენტით. აქ არის სხვა კულტურებიც, როგორც, მაგალითად, კანაფი, რომელიც ეხლა უმნიშვნელო როლს თამაშობს, მაგრამ ხუთი წლის დამლევს ალბად უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

მაგრამ ჩვენთვის, ამხანაგებო, დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულ მეურნეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას და სხვას.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ამონაწერი საკავშირო სახელმწ. საგეგმო კომისიის დიდტანიანი ტომიდან, რომელიც ამიერ-კავკასიას შეეხება: „ამიერ-კავკასია უმთავრესად არის აგრარული ქვეყანა და მას ქალაქისა და მუშათა ცენტრების საკვები პროდუქტები თითქმის სავსებით ჩრდილოეთ-კავკასიიდან შეაქვს. ამიერ-კავკასია იქიდან ღებულობს პურს, საქონლის საკვებს, ბოსტნეულის საგრძნობ რაოდენობას, მაგალითად, ხახვს, კარტოფილს და სხვ. ასეთი მდგომარეობა ამიერ-კავკასიისთვის არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს".

დიახ, ამხანაგებო, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ამიერ-კავკასიისათვის ამაზე რამდენჯერმე ვილაპარაკეთ. ზოგიერთი ამხანაგი საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიაში პირველად ფიქრობდა, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია მთლიანად ტექნიკური კულტურების ქვეყანას წარმოადგენს, ამიტომაც ისინი ხშირად ივიწყებდნენ მარცვლეული მეურნეობის ინტერესებს. ეს დიდი შეცდომა იყო.

### მარცვლეული კულტურები

ამხანაგებო, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევამციროთ ტექნიკური კულტურების მნიშვნელობა, მაგრამ ამასთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ მარცვლეული კულტურების განვითარების საკითხის განხილვას. ეს ლოღიკურია. თვით ტექნიკური კულტურების განვითარების ინტერესიც მოითხოვს ჩვენგან ყურადღება მივაქციოთ სწორედ მარცვლეულ კულტურებს, რადგან თუ გლეხს არ ექნება პური, სიმინდი, თავის-თავად ცხადია, იგი არავითარ შემთხვევაში არ მოჰკიდებს ხელს ტექნიკურ კულტურებს და დაიწყებს სიმინდის თესვას.

და აი, ამხანაგებო, ჩვენ ზედმეტად გაგვახსენეს, რომ მომავალში ჩვენს სახალხო მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ზრდა უნდა გავითვალისწინოთ გაცილებით მეტის რაოდენობით, ვიდრე დღემდე იყო.

გარდა ამისა, დაუშვებელია, რომ კარტოფილი, ხახვი და სხვ. ბოსტნეული შემოვიტანოთ ჩრდილოეთ-კავკასიიდან, ჩვენს მუშას ვაჭამოთ ჩრდილოეთ-კავკასიიდან შემოტანილი პროდუქტები მაშინ, როდესაც ყოველ მხრივ სასარგებლოა ეს კულტურები განვავითაროთ აქ.

ამ მხრივ კურსი ერთსა და იმავე დროს უნდა ავიღოთ როგორც მარცვლეული კულტურების, ისე ბოსტნეულის განვითარებაზე. გეგმა ამას არ ითვალისწინებს. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ისეთი ფაქტი, რომ მარცვლეული კულტურების სასაქონლო ნაწილი ხუთი წლის დამლევს თითქმის არ გვექნება. სასაქონლო პურს თითქმის ვერ მივიღებთ. სასაქონლო სიმინდი შეადგენს, მგონი, დაახლოვებით 12,3 პროცენტს, ქერი—4,5 პროცენტს. გეგმის ეს ნაწილი არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნას ცნობილი და ყრილობამ უნდა მისცეს დირექტივა მარცვლეული კულტურების საქონლიანობის გადიდების შესახებ, მათ შორის პურის, აგრეთვე სიმინდის საქონლიანობის გადიდების შესახებ.

### მოსავლიანობის გადიდება

ამხანაგებო, აქ უნდა შევეხო ერთ საკითხს კიდევ—მოსავლიანობას. უნდა გითხრათ, რომ ეს საკითხი ჩვენს წინაშე წამოიჭრა შემდეგნაირად: წარსული წლის დეკემბერში საკავშირო ცაკის სესიაზე მიღებულ იქნა დეკრეტი მოსავლიანობის 35 პროცენტით გადიდების შესახებ. ეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო. საქმე იმაშია, რომ სანამ სესიაში ასეთ დადგენილებას გამოიტანდნენ, ამ საკითხს ამზადებდნენ, ამუშავებდნენ პრაქტიკულად საცდელ სადგურებში, შემდეგ სწავლობდნენ. გამოყოფილ იქნა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჩვენი მინდვრების მოსავლიანობის გადიდება 35 პროცენტით ხუთი წლის განმავლობაში მართლაც შესაძლებელია. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში აღებულია საერთოდ გლეხური მეურნეობა. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთა მოსავლიანობაც გადიდებულ უნდა იქნას 2—3-ჯერ, ცალკე არიან გამოყოფილნი. როგორც ვსთქვი, ჩვენში ეს საკითხი სულ არ არის შესწავლილი. ჩვენ ამის შემდეგ შევუდექით მის შესწავლას, მაგრამ ჩვენი სპეციალისტების აზროვნება ისე იყო მომართული, რომ მათ ვერაფერით ვერ შესძლეს ჩვენი მუშაობის ახალ პირობებთან შეგუება. ისინი აზროვნებდნენ ძველებურად, როცა ჩვენი მეურნეობა კუს ნაბიჯით ვითარდებოდა ან ერთ დონეზე იდგა. საჭირო გახდა ზეგავლენის მოხდენა, და ბოლოს მივაღწიეთ იმას, რომ სახელმწ. საგეგმო კომისიამ მიიღო მოსავლიანობის გადიდების ასეთი სქემა: პურის—17 პროცენტით, სიმინდის—18,3 პროცენტით, თამბაქოსი—15,4 პროცენტით, ბამბის—63,9 პროცენტით, ვენახის—88 პროცენტით. კულტურული მეურნეობებისათვის უფრო მაღალი კოეფიციენტებია აღებული: სიმინდი—42 პროც., თამბაქო—88,5 პროც., ბამბა—108 პროც. და ყურძენი—685 პროცენტი.

მაგრამ, ამხანაგებო, კოლექტიურ მეურნეობებს ჯერ-ჯერობით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ და ტონის მიმცემია ინდივიდუალური მეურნეობა. ამ დარგში ხუთი წლის დამლევისთვის განზრახულია პურისა და სიმინდის მოსავლიანობის გადიდება 17—18 პროცენტით. ეს პროცენტი, რასაკვირველია, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. იქნებ ჩვენ ვერ შევსძლოთ მოსავლიანობის მთელი 35,0 პროცენტით გადიდება, მაგრამ ჩვენ უნდა მოვიმართოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რომ მთლიანად შევასრულოთ საკავშირო ნორმა. საქართველოს პირობებში ეს შესაძლებლობა არსებობს. აქ მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებას: არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გეგმა დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი. ამის შესახებ მე დასაწყისში ვილაპარაკე. უეჭველად შესამოწმებელი გახდება ზოგიერთი დარგის ზოგიერთი მაჩვენებლები, როგორც, მაგალითად, მესაქონლეობის, მებამბეობის და სხვ.

### მელიორაცია

სოფლის მეურნეობაში უდიდეს როლს თამაშობს მელიორაცია. დიდხანს არ შევჩერდები ამაზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელი იმ მიწის სივრცე, რომელსაც მელიორაცია უნდა შეეხოს საქართველოში, 788 ათას ჰექტარს უდრის; აქედან ამოსაშრობია 216 ათასი ჰექტარი, ხოლო მოსარწყავი—522 ათასი ჰექტარი. ხუთი წლის დამლევს მორწყული და ამომშრალი სივრცე იქნება 180 ათასი ჰექტარი. გეგმის მიხედვით, კაპიტალური დაბანდება ამ დარგში გათვალისწინებულია 33.410.000 მანეთის რაოდენობით (მოსახლეობის სახსრების გარდა).

### სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

არ დავღლი თქვენ ყურადღებას იმ სასოფლო - სამეურნეო მანქანების ჩამოთვლით, რომლებიც შემატება სოფლის მეურნეობას. ვიტყვი მხოლოდ, რომ, გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობას მივაწოდებთ იმდენ სხვადასხვა მანქანებს, გუთნებს, სათიბ და სალეწ იარაღს და სხვას, რაც ჩვენ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტით.

მართალია მათ შორის იქნება ისეთი მანქანებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობას დააკმაყოფილებს მთელი 100 პროცენტით, მაგრამ იქნება ისეთებიც, რომლების მოთხოვნილებაც დაიფარება მხოლოდ 20—30 პროცენტით.

შემდეგ, გარდა იმ სამასამდე ტრაქტორისა, რომლებიც ამჟამად მოგვეპოვება, სოფლის მეურნეობას კიდევ შემატება 1000 ახალი ტრაქტორი. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე, რასაკვირველია, ტრაქტორების რიცხვში არ არის, საქმე იმაშია, თუ როგორ გამოვიყენებთ მათ. რამდენად ვიყენებთ ჩვენ ამჟამად ტრაქტორების არსებულ რაოდენობას, დაე ამხანაგებმა ადგილებიდან გულწრფელად სთქვან— რამდენი პროცენტით ვიყენებთ ამჟამად ტრაქტორებს? (ადგილიდან: 10 პროცენტით). მე ვფიქრობ, რომ ეს ამხანაგი გულწრფელია (გაბუნია—არა მან ცოტათი გადააჭარბა). ამხანაგებო. მე მაქვს ცნობები, რომ ზოგ ადგილებში ტრაქტორებს იყენებენ 25—30—40 პროცენტით, ხოლო ზოგან სულაც ვერ იყენებენ ან იყენებენ სხვა მიზნებისათვის. ამჟამად ჩვენ გვაქვს უკრაინის გამოცდილება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის საქმეში, რაც ამ მხრით ნამდვილ რევოლუციას ახდენს. იქ ტრაქტორებს მთელი 100 პროცენტით იყენებენ. მეორეს მხრით, ეს სადგურები სასარგებლონი არიან იმით, რომ ისინი ხელს უწყობენ კოლექტივიზაციას—მთელი სოფლები ექცევიან მანქანა-ტრაქტორების ზეგავლენის ქვეშ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ეწევიან კოლექტივიზაციას, ჰქმნიან მისთვის პირობებს, ამიტომ ყრილობამ ამ მხრივ შესაფერი მითითებანი უნდა მისცეს ცენტრალურ კომიტეტს და სხვა ორგანოებს, რათა ახლო მომავალში შევძლოთ ტარქტორის ექსპლოატაციის ამ ფორმებზე გადასვლა.

## სახალხო მეურნეობის პროდუქცია

### სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია

ეხლა მთელი მრეწველობის და მასთან ერთად სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის შესახებ. 1927—28 წელს ცენზიანმა მრეწველობამ, ელექტროფიკაციამ და წვრილ შინამრეწველობამ ერთად მოგვცა 116.804.300 მანეთის პროდუქცია, ხოლო 32—33 წელს მეურნეობის ეს დარგები მოგვცემენ 421.348.000 მანეთის პროდუქციას. ეს ნიშნავს, რომ 1927—28 წელს მთლიანად აღებული მრეწველობა თავისი ხვედრითი წონით სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 31,0 პროცენტს, სოფლის მეურნეობა კი—69,0 პროცენტს. ხუთი წლის დამლევისათვის მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენს 52,3 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა—47,7 პროცენტს. აქედან სჩანს, რომ მრეწველობა ნამდვილად გადააჭარბებს სოფლის მეურნეობას და ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება უკვე არა აგრარული საქართველო, არამედ აგრარულ-სამრეწველო, თუ, რასაკვირველია, შევსძლებთ ამ გეგმის შესრულებას.

### სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ნაწილი

ამხანაგებო, რათა დავამთავრო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიმოხილვა, აქ უნდა დავუმატო შემდეგი: საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი გაიზრდება 430,9 პროცენტით, მაშინ, როდესაც საკავშირო მრეწველობაში ზრდა უდრის 125,0 პროცენტს. ჩვენი გეგმით, მუშების ნომინალური ხელფასი გაიზრდება 25,5 პროცენტით, საკავშირო მრეწველობაში კი—46,9 პროცენტით. თვითღირებულების შემცირება, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი მეურნეობის გეგმით, გათვალისწინებულია 30,0 პროცენტით, ხოლო საკავშირო მრეწველობაში—35,0 პროცენტით. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენც პროცენტი უნდა ავწიოთ 35-მდე. ბითუმად გასაცემი საქონლის ფასის შემცირება ჩვენი გეგმით განზრახულია 22 პროცენტით, ხოლო საკავშირო მრეწველობაში—24 პროცენტით. მე ვფიქრობ, უფრო სწორი იქნებოდა საერთო საკავშირო ნორმის მიღება. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთ სხვა გარემოებას სხვადასხვა დარგის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. ეს შემცირება გამოიხატება სხვადასხვა საკმაოდ მაღალ პროცენტებში.

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პროდუქციის თვითღირებულება ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან დიდია, აშკარა გახდება, რომ თვითღირებულების შემცირების ცოტად თუ ბევრად მაღალი პროცენტი არ ნიშნავს ჩვენი პროდუქციის გაიაფებას. შავი ქვის მრეწველობის თვითღირებულება შემცირდება 35,0 პროცენტით, ქვა-ნახშირის—34,1 პროცენტით, ლითონის მრეწველობას—33,9 პროცენტით, საშენი მასალის—29,1 პროცენტით, აგურ-კირის—34 პროცენტით, ხე-ტყის—30,2 პროცენტით. „ბ" ჯგუფში. საქსოვი მრეწველობა—29,4 პროცენტით, საფეიქრო—35,8 პროცენტით, ტყავის—21,0 პროცენტით, ზეთის—34,7 პროცენტით, საპნის—27,9 პროცენტით, თამბაქოს—27.6 პროცენტით, კონსერვის—48,4 პროცენტით.

ასეთია შემცირების სურათი სხვადასხვა დარგის მიხედვით. მაგრამ თუ, ვსთქვათ, ავიღებთ ხის დამმუშავებელ მრეწველობას, სადაც თვითღირებულების შემცირება 30,2 პროცენტს უდრის, და მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რამდენად დიდია ამჟამად ამ დარგის საქონლის ფასები, მაშინ ეს პროცენტი არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს. ასევე ზოგიერთ სხვა დარგშიც.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

## დაბანდებათა განაწილება ჯგუფების მიხედვით

ეხლა შევეხოთ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება სახალხო მეურნეობაში დაბანდებათა საერთო თანხა ცალკე ჯგუფების მიხედვით. თუ ავიღებთ ახალშენებებს, საერთო თანხიდან—178 მილიონი მანეთიდან—ახალშენებებს მოხმარდება 145,757 ათასი მანეთი, ე. ი. 84 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში მხოლოდ ეხლა იწყება მრეწველობის მშენებლობა; რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზე—18.986 ათასი მან. ანუ 10,9 პროცენტი, კაპიტალურ რემონტზე—2.921 ათასი მან. ანუ 1,7 პროცენტი. სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობაზე—5.849 ათასი მან. ე. ი. 3,4 პროცენტი.

ნება მომეცით ამით დავამთავრო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მიმოხილვა და გადავიდე კოოპერაციასა და ვაჭრობაზე.

# კოოპერაცია და ვაჭრობა

## კოოპერაცია

აქ თქვენ წინაშე არის მრავალფეროვანი დიაგრამა. ამ დიაგრამაზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ იზრდება სხვადასხვა სახის კოოპერაციის წევრთა რიცხვი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ სამომხმარებლო კოოპერაციას. 1927—28 წელიწადი გვიჩვენებს 341,1 ათასს, ხუთი წლის უკანასკნელი წელი კი, 1932—33 წ.—667,9 ათასს. ზრდის პროცენტი 95,8.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 1927—28 წელიწადი გვიჩვენებს 155,5 ათას წევრს, უკანასკნელი წელი—327,1 ათასს. ზრდის პროცენტი 110,4 პროცენტს უდრის.

სარეწაო კოოპერაციაში ეხლა არის 7,5 ათასი წევრი, ხუთი წლის დამლევს იქნება 75,8 ათასი წევრი. ზრდის პროცენტი აქ უდიდესია—909,9.

საბინაო კოოპერაცია. ჩვენ გვაქვს ამ კოოპერაციის ორი სახე—საბინაო-სამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერაცია. საბინაო-საიჯარო კოოპერაციას ეხლა ჰყავს 1.800 წევრი, ხუთი წლის დამლევს კი, ჩვენის ვარაუდით, ეყოლება 8.000-მდე. ზრდის პროცენტი 119,5-ს უდრის.

საბინაო-საიჯარო კოოპერაცია ეხლა აერთიანებს 4.000 წევრს, ხუთი წლის დამლევს კი გააერთიანებს 18.000 წევრს. ზრდის პროცენტი აქ ბევრად მეტია—350 პროცენტი.

ეხლა, თუ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირების ზრდას ცალკე ქალაქში და ცალკე სოფლად, მივიღებთ შემდეგ სურათს: ქალაქში ეხლა არის 151.700 წევრი, ხუთი წლის დამლევს იქნება 251.600 წევრი. ქალაქის მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირების პროცენტი ეხლა შეადგენს 39,6-ს, ხუთი წლის დამლევს კი—58 პროცენტს.

სოფლად კოოპერაციას ამჟამად ჰყავს 170.100 წევრი, ე. ი. 15,9 პროცენტი (სრულ მასაკოვანი მოსახლეობისა), ხუთი წლის დამლევს ეყოლება 876.300 წევრი, ე. ი. 82,4 პროცენტი.

თუ ავიღებთ მთელ რესპუბლიკას, მთელი მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირების პროცენტი ამჟამად შეადგენს 22,1 პროცენტს, ხუთი წლის დამლევს კი—[illegible]9,4 პროცენტს.

## ვაჭრობა

გადავიდეთ ვაჭრობაზე. აქ გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ამჟამად გამოიხატება 27.082,1 ათას მან., ხუთი წლის დამლევს შეადგენს 123.210,5 ათას მანეთს, ზრდა უდრის 355,8 პროცენტს.

სავაჭრო საშუამავლო ბრუნვა ამჟამად შეადგენს 509.287.000 მანეთს, ხუთი წლის დამლევს კი—814.800.000 მანეთს. ზრდა უდრის 60 პროცენტს.

## საქონლის შემოტანა და გატანა

თუ ავიღებთ საქონლის შემოტანას და გატანას, შემოტანა საქართველოში ამჟამად უდრის 113.216.000. ხუთი წლის დამლევს კი ვარაუდის მიხედვით, უნდა უდრიდეს 160.310.000 მანეთს. ზრდა შეადგენს დაახლოვებით 41,6 პროცენტს. ამასთან, რასაკვირველია, გათვალისწინებულია ყველა ეკონომიური ფაქტები და ის ცვლილება, რომელსაც ვახდენთ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში.

გატანა. საქართველოდან ამჟამად გაგვაქვს დაახლოვებით 60.982.800 მანეთის საქონელი. ხუთი წლის დამლევს ეს რიცხვი, ვარაუდის მიხედვით, უნდა შეადგენდეს 192.202.200 მანეთს. ზრდა უდრის 215.4 პროცენტს.

თქვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საქონლის შემოტანა მცირდება, ხოლო გატანა იზრდება. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული იმ ცვლილებებთან, რომლებსაც ამ ხუთი წლის განმავლობაში მოვახდენთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

საინტერესოა საქონლის შემოტანა და გატანა განვიხილოთ კატეგორიების მიხედვით, ე. ი. ცალკე სახალხო მეურნეობაში და ცალკე მრეწველობაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა შემცირდება დაახლოვებით 7 მილიონი მანეთით. თუმცა ამ პროცესს საერთოდ სწორად ვთვლით,—რადგან იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ვითარდება და ჩვენ, იმის მაგივრად, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები შემოვიტანოთ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამ პროდუქტებს დავამზადებთ აქვე,—მაინც საკმაოდ არ მიმაჩნია ასეთი შემცირება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანის მთავარი საგანი—პური, სახელმწ. საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, შემცირდება 28 მილიონიდან 19.300.000 მანეთამდე.

მე უკვე აღვნიშნე, რომ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის პროდუქტების დამზადებას, რომელთა შემოტანაც ამ პერიოდის განმავლობაში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. აქეთკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ყურადღება, რადგან ეს შესაძლებლობა გვაქვს.

მე აგრონომი არა ვარ, მაგრამ დავამტკიცებ, რომ პურის შემოტანა 28 მილიონიდან შეგვიძლია შევამციროთ, ყოველ შემთხვევაში, 10 მილიონამდე.

ეხლა სამრეწველო საქონლის შესახებ. აქ, პირიქით, გატანა იზრდება, რაც სავსებით გასაგებია. ხუთი წლის განმავლობაში გატანის ზრდა შეადგენს 65,7 პროცენტს.

გადავდივარ დასკვნებზე. როგორც უკვე ვსთქვი, საქონლის გატანა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე შემოტანა. საერთოდ გატანა იზრდება 88.000.000 მანეთით, ანუ 178,2 პროცენტით. რა გვაქვს უმთავრესად? თამბაქო, სხვადასხვა ხილი, ციტრუსები, ღვინო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სამრეწველო პროდუქციის საქონლიდან უმთავრესად გაგვაქვს გემო-კვების პროდუქტები. აქ მთავარ როლს თამაშობს თამბაქო-პაპიროსი. ეხლა ამ პროდუქტების გატანა უდრის 13 მილიონ მანეთს, ხუთი წლის დამლევს კი შეადგენს დაახლოვებით 47 მილიონ მანეთს.

გატანის შემდგომ მთავარ მუხლს აბრეშუმი შეადგენს. დანარჩენს აღარ ჩამოვთვლი.

## ექსპორტი და იმპორტი

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ექსპორტ-იმპორტის საკითხი, ე. ი. ალებ-მიცემობა საზღვარგარეთთან. 1927—28 წელს ჩვენი ექსპორტი შეადგენდა 6.769.900 მანეთს, 1932—33 წელს კი ექსპორტი მიაღწევს 53.526.600 მანეთს. აქ ზრდა 690,7 პროცენტს უდრის. ამ ექსპორტში, ცხადია, მთავარ როლს თამაშობს მარგანეცი, რომლის გატანაც 20 მილიონ მანეთს მიაღწევს (ამჟამად გაგვაქვს დაახლოვებით 5.136.000 მანეთის მარგანეცი, ხუთი წლის დამლევს ეს რიცხვი, ვარაუდის მიხედვით, უნდა შეადგენდეს 10.410.000 მანეთს).

# ტრანსპორტი

## რკინის გზები

ეხლა შევეხები ჩვენი ტრანსპორტის განვითარების საკითხებს. ზედმეტია ლაპარაკი ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს იმ ზრდასთან და წარმატებასთან, რომელსაც ჩვენ მივაღწევთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ტრანსპორტის საკითხებს, როგორც ვიცით, უშუალოდ განაგებს საკავშირო ორგანოები, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვსთქვი, სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში ჩვენ ნაკლებად არა ვართ დაინტერესებულნი, შეიძლება უფრო მეტადაც. ამ დარგს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრება. 1931 წელს ეს გზა გაყვანილი იქნება სოხუმამდე.

ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. იგი 700—800 კილომეტრით ამოკლებს მანძილს ამიერკავკასიის ცენტრებსა და კავშირის ცენტრს შორის, ამასთან ამსუბუქებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ამჟამად არსებობს ამიერკავკასიის რკინის გზაზე იმის გამო, რომ იგი ველარ აკმაყოფილებს ტვირთის ბრუნვის გადიდებულ მოთხოვნილებას. როცა ეს ახალი გზა გაიხსნება, ტვირთის ნაწილი გადაზიდული იქნება ამ გზით, შემცირდება ხარჯები, შემოკლდება დრო და შემსუბუქდება ამიერკავკასიის რკინის გზის მძიმე მდგომარეობა.

აღარაფერს ვამბობ ამ გზის უდიდეს მნიშვნელობაზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ზუგდიდის მაზრის მოსახლეობისათვის, ამ მაზრის ცენტრის—ზუგდიდისათვის და განსაკუთრებით აფხაზეთისათვის ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. მისი საერთო სიგრძე უნდა შეადგენდეს 210 კილომეტრს. ამ გზის გაყვანაზე დაიხარჯება 45 მილიონი მანეთი.

შემდეგ უნდა დავასახელო ის შტოები, რომლებსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ამასთან ერთად დაკავშირებულნი არიან ჩვენი მრეწველობის განვითარებასთან და მის ახალ დარგებთან. ასეთია: ტყვარჩელი-ოჩემჩირე, თელავი-ახმეტა, ზუგდიდი-ჯვარი და გორი-ცხინვალი. ამას უნდა დაუმატოთ შტო: ოზურგეთი-ჩოხატაური.

იმ გზებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნება გაყვანილი ხუთი წლის განმავლობაში, დაიხარჯება 60.400.000 მანეთი. მე ვფიქრობ, ეს ხარჯები მალე ანაზღაურდება, რადგან ყველა ჩემ მიერ ჩამოთვლილ გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავშირის მრეწველობის განვითარებისათვის.

## ხარჯები ტრანსპორტზე

გზა-ტკეცილებზე განზრახულია დაიხარჯოს 44.000.000 მანეთი, ავტო-ტრანსპორტზე—6.250.000 მანეთი, წყლის ტრანსპორტზე—20.000 ათასი მანეთი, სულ 180.250.000 მანეთი. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნო ზოგიერთი მომენტები: მაგალითად, გზატკეცილების საერთო სიგრძე ნავარაუდევია 6.400 კილომეტრის რაოდენობით. აქედან საკავშირო მნიშვნელობისა იქნება 1.600 კილომეტრი, რესპუბლიკანური—1.400 და ადგილობრივი—3.400 კილომეტრი.

საკავშირო მნიშვნელობის გზებზე განზრახულია დაიხარჯოს 24.000.000 მანეთი, რესპუბლიკანურ—8.000.000 მან. და ადგილობრივი მნიშვნელობის—9 მილიონი მანეთი.

ჩვენი ნავთსადგურებისათვის გათვალისწინებულია: ბათუმის და ფოთის ნავთსადგურების გაუმჯობესება-გაფართოებაზე—13 მილიონი მანეთი, აქედან ბათუმის ნავთსადგურზე—8 მილიონი, ხოლო ფოთის ნავთსადგურზე 5 მილიონი მანეთი.

სოხუმის ნავთსადგურის მოსაწყობად დაიხარჯება 5.600 ათასი მანეთი. ყველა ეს ხარჯი გაღებულ იქნება საკავშირო ბიუჯეტით.

## ავტო-ტრანსპორტი

ეხლა, ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ავტო-ტრანსპორტზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სხვა სახელმწიფოებში ავტო-ტრანსპორტმა ბევრნაირად დაიჭირა რკინის გზების ადგილი. ჩვენს პირობებში ეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან ჩვენი გზები ჯერ კიდევ იმდენად კარგად არ არის მოწყობილი, რომ ტრანსპორტის განვითარება დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს. ამ ხუთი წლის განმავლობაში, 19 ხაზის ნაცვლად, საქართველოში გვექნება 38 ხაზი, 1.254 კილომეტრის ნაცვლად—2.719 კილომეტრი. ავტომობილების რიცხვი 214-დან გადიდებული იქნება 302-მდე. ამასთან საგრძნობლად გაიაფდება გადაყვანა-გადაზიდვის ფასი.

## შინაგანი სანაოსნო გზები

მე უნდა შევჩერდე ჩვენს შინაურ სანაოსნო გზებზე. ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობას შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ეს და იკითხოს—სად არის საქართველოში ეს შინაგანი სანაოსნო გზები, მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ისეთი მდინარეები, სადაც შეიძლება ნაოსნობის განვითარება. ჩვენ ერთ დროს ვამუშავებდით ამ საკითხს, განსაკუთრებით მდინარე რიონზე ნაოსნობის განვითარების საკითხს. ჩვენ ხელშეკრულებაც კი დავდეთ დონ-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებასთან, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნაოსნობა მდ. რიონზე. სამწუხაროდ, ამხანაგებო, ეს საკითხი დღემდე არ არის გადაჭრილი როგორც რიგია. დონ-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებამ გამოგზავნა ორი გემი, რომლებსაც უწოდეთ „ნინოშვილი“ და „ილიავა“. მეორე დღესვე, პირველი რეისის შემდეგ, ერთმა გემმა ველარ შესძლო სვლა, ხოლო მეორე უწყვეტ მდგომარეობაშია. ორივე გემი ძველი აღმოჩნდა, ისინი არ შეეფერებიან ჩვენს პირობებს. ამ მხრივ შეცდომა დავუშვით, რომ თავის დროზე არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხს. ამ ხუთი წლის განმავლობაში დიდ ეფექტს უნდა მივაღწიოთ ჩვენი სანაოსნო გზების განვითარების საქმეში, როგორც ეს აღნიშნულია იმ მოხსენებაში, რომელიც ამ დღეებში გადმოგვცა ამ უწყების მეთაურმა ამხ. სპრინკველმა. ხუთი წლის განმავლობაში გზა მდინარე რიონზე—101 კილომეტრი—გაგრძელებული იქნება 180 კილომეტრამდე, ე. ი. სამტრედიიდან ქუთაისამდე, ამასთან რიონის აუზში შევა მდინარე...? 35 კილომეტრის სიგრძით, სადაც მოეწყობა ნაოსნობა, მდ. ციყა—20 კილომეტრია და მდ. ცია—6 კილომეტრი. უნდა ავღნიშნო, რომ მე პირადად ვიმგზავრე კატერით ამ მდინარეებზე. შემდეგ არის მდინარე პიჩორი 30 კილომეტრის სიგრძით და მდ. სუფსა 15 კილომეტრის სიგრძით. ამგვარად, ხუთი წლის დამლევს შინაური სანაოსნო გზების სიგრძე შეადგენს 256 კილომეტრს (ხმა ადგილიდან: ინგური?). ინგურის საკითხი ჯერ არ არის გამორკვეული. ჯერ-ჯერობით შესაძლებელია მხოლოდ ხე-ტყის გადაზიდვა. რაც შეეხება ნაოსნობას მდ. ინგურზე, არც ერთ ჩვენ ამხანაგს არ დაუსვამს ეს საკითხი. იმ მდინარეებზე კი, რომლებიც ჩამოვთვალეთ, ნაოსნობა სავსებით რეალურია და მათ უდიდესი მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით ფოთის ოლქის შექმნასთან დაკავშირებით.

შემდეგ, განზრახულია არხის გაყვანა ზღვის ნაპირზე. ეს არხი მდ. რიონს შეაერთებს ენგურთან. მისი დანიშნულებაა—სვანეთის ხე-ტყის მოტანა ფოთში წყლით. ამას გარდა, განზრახულია მდ. რიონის შეერთება ფოთის ნავთსადგურთან რაზმიანი არხით, რაც საშუალებას მოგვცემს გემები უშუალოდ დავტვირთოთ და გადავტვირთოთ.

ეს საკმაოდ ფართო პროგრამაა ტრანსპორტის განსავითარებლად ჩვენში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება სრულებით ახალი სანაოსნო გზების გამოყენებას.

გადავდივარ მოსახლეობის, უმთავრესად მუშათა კლასის, კეთილდღეობის გაუმჯობესების ზოგიერთ მაჩვენებელზე.

# მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება

## სოციალური დაზღვევა

დაზღვეულთა რაოდენობა გადიდებული იქნება 122.000-დან 152.400-მდე. ეს შეადგენს ზრდას 24,5 პროცენტით.

სოციალური დაზღვევის ხარჯები 13 მილიონი მანეთიდან გაიზრდება 22,5 მილიონ მანეთამდე. ზრდა უდრის 79,4 პროცენტს.

პენსიონერთა რიცხვი გაიზრდება (როგორც ეს გათვალისწინებულია არსებული ცნობების მიხედვით) 9.380 კაციდან 17.800 კაცამდე, დაახლოვებით 90 პროცენტით.

დახმარება კავშირების უმუშევარ წევრთათვის გაიზრდება 16 მანეთიდან თვეში 26 მან. 20 კაპეიკამდე თითო კაცზე.

გარდა ამისა, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებზე ამ ხნის განმავლობაში დაიხარჯება 8,5 მილიონი მანეთი.

თქვენ, ამხანაგებო, იცით, რომ ყველა წარმოში შემოღებული იქნება შვიდი საათის სამუშაო დღე. ამგვარად, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 44,6 საათიდან შემცირდება 40 საათამდე. საზღვარგარედ ამჟამად სამუშაო კვირის ხანგრძლივობა შეადგენს 47-დან—49,5 საათამდე.

ქალაქისა და სოფლის კეთილდღეობის დონე საერთოდ გაიზრდება 50 პროც.-ით, ამასთან სულობრივი შემოსავლის ზრდა (აქ მხედველობაშია მთელი კავშირის მოსახლეობა) შეადგენს 60 პროცენტს. პროლეტარიატის შემოსავალი კი გაიზრდება 90 პროცენტით.

რეალური სამუშაო ხელფასი მოიმატებს 71 პროცენტით, თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთის მხრით რეალური ხელფასის გადიდებას, ხოლო მეორეს მხრით—მოხმარების საგნების გაიაფებას. ამასთან, ამხანაგებო, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ის ზრდა, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული, ეს პროცენტი უზრუნველყოფს.

## უმუშევრობის შემცირება

აქვე უნდა ვთქვა, რომ უმუშევრობის საკითხი მთლიანად ვერ გადაწყდება. უმუშევრობა მთელ კავშირში, უკანასკნელი ვარიანტით, შემცირდება 54 პროცენტით, ხოლო ჩვენში, სახელმწ. საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, 30 პროცენტით.

რას ვემყარებით, როცა ვითვალისწინებთ უმუშევრობის ასეთ შემცირებას? ჩვენ ვემყარებით იმ ღონისძიებებს, რომლებსაც გავატარებთ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში—შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, საწარმოთა გამრავლება, საწარმოთა ზრდა და სხ. ყველა ეს ღონისძიება გაადიდებს მუშათა რიცხვს და მუშათა ახალ რაზმებს ჩააბამს წარმოებაში.

შემდეგ, ის ღონისძიებანი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მიღებული იქნება სოფლის მეურნეობაში, და სოფლის კეთილდღეობის გაუმჯობესება აღარ აიძულებს სოფლის ზედმეტ მოსახლეობას წავიდეს ქალაქში სამუშაოს საშოვნელად. ამგვარად საწარმოო ძალების გადიდება სოფლის მეურნეობაში, ახალ საწარმოთა მოწყობა, ახალი კულტურების გაშენება, მიწების მორწყვა, ამოშრობა, ის ღონისძიებანი, რომლების განხორციელებაც განზრახულია ამ ხნის განმავლობაში, შეამცირებს სოფლის ჭარბი მოსახლეობის ლტოლვას ქალაქში. აი, ამხანაგებო, საერთოდ ის ფაქტორები, რომლებმაც უნდა შეამცირონ უმუშევრობა. მაგრამ შეიძლება თუ არა საკმაოდ ჩავთვალოთ უმუშევრობის შემცირება 30 პროცენტით? პარტიამ უნდა მიაღწიოს უმუშევრობის უფრო მეტად შემცირებას, ხოლო ყრილობამ უნდა დაავალოს ც. კ.-ს—შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

## მუშათა საბინაო მშენებლობა

ამასთან დაკავშირებით სდგას საბინაო ფართობის საშუალო ნორმა მოსახლეობისათვის. ამ ჟამად თითო სულზე, იმ ცნობებით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, მოდის 5,6 კვ. მეტრი. არ ვიცი, რამდენად არის ეს მართალი, მით უფრო, რომ ამის შემოწმება ძნელია. ასე თუ ისე, ეს დაახლოვებითი ნორმა ნაწილდება ამგვარად: მუშებზე საშუალოდ მოდის 4,8 კვ. მეტრი, კერძოდ, ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე—5,7 კვ. მეტრი. ხუთი წლის დამლევს განზრახულია ეს ნორმა გადიდებულ იქნას 7,5 კვ. მეტრამდე ერთ მუშაზე. არსებულ საბინაო მოედანს განზრახულია მიემატოს 1.158.000 კვ. მეტრი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი საბინაო მშენებლობა მოითხოვს 184 მილიონი მანეთის დაბანდებას. სახელმწ. საგეგმო კომისია კი ამ პერიოდის განმავლობაში ვარაუდობს მხოლოდ 52.182.000 მანეთის შესაძლებლობას. ამ თანხიდან ადგილობრივ სახსრებზე მოდის 33.287.000 მანეთი პლიუს სამი მილიონი, რომელიც შესდგება აღმასკომის შემოსავლის ანარიცხებიდან. სპეციალური საბინაო ფონდის წყაროებიდან ნავარაუდევია 7.300.000 მანეთის დახარჯვა.

საშუალო საბინაო ქირა ამჟამად შეადგენს 17,3 კაპ. კვ. მეტრზე, ხუთი წლის დამლევს კი, სახელმწ. საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, ეს ქირა გაიზრდება 22 კაპ.-მდე მაინც. აი, საერთოდ ის ცნობები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ მუშათა კლასის კეთილდღეობის საკითხებთან. ცხადია, ეს საკითხი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია და მისი ამოწურვა ზედმიწევნილი ცნობებით შეუძლებელია.

# სოციალ-კულტურული მშენებლობა

## ხარჯები სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე

გადავდივარ, ამხანაგებო, სოციალ-კულტურულ მშენებლობაზე. თქვენს წინაშეა დიაგრამა, რომელიც გამოხატავს საერთო დაბანდებებს და ხარჯებს სოციალ-კულტურულ მშენებლობაზე, ე. ი. განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე.

პირველ რიგში შევეხები განათლების, მეცნიერების და ხელოვნების საკითხებს: ხარჯები განათლებაზე 1927—28 წელს შეადგენდნენ 16.427.700 მანეთს, შემდგომ წლებში კი ეს ხარჯები გაიზრდებიან და ხუთი წლის დამლევს მიაღწევენ 51.613.060 მან. ხოლო მთელი ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 181.997.400 მანეთი.

ხარჯები ჯანმრთელობაზე 5.588.500 მან.-დან მიაღწევენ 14.530.000 მან.-მდე. ბოლოს, ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე შეადგენენ 600 ათას მანეთს, ხუთი წლის დამლევს კი მიაღწევენ 4.642 ათას მან. მთელი ხუთი წლის განმავლობაში კი დაიხარჯება 12464800 მანეთი. ყოველწლიური ხარჯები ამ სამ დარგში გაიზრდებიან 22566800 მან.-დან 110785000 მან.-მდე.

## სასკოლო ასაკამდე აღზრდა

დავიწყებ განათლების საკითხიდან. ავიღოთ, უპირველეს ყოვლისა, სასკოლო ასაკამდე აღზრდა: საბავშვო ბაღი 1927—28 წელს იყო 89, 1932—33 წელს კი იქნება 282-ი, ბაგა იყო 9, ხუთი წლის დამლევს იქნება 30. ბავშვების რიცხვი 1927—28 წელს უდრიდა 7.533-ს, 1932—33 წელს კი შეადგენს 14.323-ს. ამხანაგებო, ბავშვების ჩაბმა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ეხლა შეადგენს 4,25 პროც.-ს, ხუთი წლის დამლევს კი შეადგენს 9,6 პროცენტს. როგორც კი გამოქვეყნდა თბილისში ეს ციფრები, მუშა-ქალთა ჯგუფმა პროტესტი განაცხადა. მე მაქვს ამონაჭერი გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-დან, რომელშიაც როზა ლუქსემბურგის სახელობის ფაბრიკის მუშა-ქალთა ჯგუფი სწერს შემდეგს: „კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას. საბავშვო ბაღების რიცხვი საქართველოში ამჟამად უდრის 89, ბაგების—9-ს, 1932—33 წელს კი საბავშვო ბაღების რიცხვი გაიზრდება 282-მდე, ხოლო ბაგების 33-მდე. საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ბავშვების რიცხვი გაიზრდება 5.938-დან 13.923-მდე. ჩვენ, როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშებს, ეს ზრდა საკმაოდ არ მიგვაჩნია. სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელზე ეხლა იხარჯება სახალხო განათლებისათვის გაღებული თანხის 7,5 პროცენტი. ხუთი წლის შემდეგ კი, ხუთწლიანი გეგმით, დაიხარჯება მთელი თანხის 7 პროცენტი.

ეს ციფრები განმარტებას არ საჭიროებენ.

მაშინ, როდესაც მუშა-ქალი და გლეხი-ქალი გამოდიან ახალი ყოფა-ცხოვრების ფართო გზაზე, როცა საბავშვო ბაღების და ბაგების მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება უფრო და უფრო სწრაფად, ამ დროს საბავშვო ბაღების და ბაგების—სოციალისტური ყოფა-ცხოვრების ამ დამკვრელი ბრიგადების—ზრდა ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის საერთო ზრდას. ისინი, ვინც ასეთ გეგმას გვიდგენენ, ღრმად სცდებიან. ისინი სრულებით ვერ აფასებენ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო ლტოლვას ახალი ცხოვრებისაკენ, ვერ ხედავენ იმას, რომ ხუთი წლის შემდეგ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, მრავალი ათასის ყოფა-ცხოვრება ბევრად უფრო კულტურული იქნება, ვიდრე ეხლა. ჩვენ ვანგრევთ ძველი ყოფა-ცხოვრების ციხე-სიმაგრეს, ვამსხვრევთ უმეცრებისა და უკულტურობის ბორკილებს. ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ხდება უფრო და უფრო პირველხარისხოვან, პრაქტიკულ ამოცანად და არა უბრალო ლოზუნგად. სწორედ ამიტომ ჩვენ, მუშა-ქალები, მოვითხოვთ კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ამ მუხლის შესწორებას და თბილისის პარტკონფერენციისაგან ველით სათანადო გადაწყვეტილებას. საბავშვო ბაღების და ბაგების ქსელს სახალხო განათლების ბიუჯეტში უნდა დაეთმოს მეტი ადგილი, ვიდრე მას ეხლა აქვს დათმობილი.

## დაწყებითი განათლება

დაწყებითი განათლება იძლევიან ოთხწლედები. გეგმით გათვალისწინებულია, რომ ბავშვთა კონტინგენტი 231.868-დან 32—33 წელს აყვანილ იქნას 322.545-დე (აქვე იგულისხმება სკოლის ასაკს გადაცილებულნიც). სკოლების რიცხვი გაიზრდება 2.338-დან 2.729-დე; მასწავლებელთა რიცხვი—6.566-დან 8.434-დე. 8—11 წლის ასაკის მოსწავლეთა რიცხვი 59,6 პროცენტიდან გაიზრდება 74.1 პროცენტამდე. ეს უკანასკნელი ეხება მთელ საქართველოს ავტონომიებთან ერთად: ავტონომიების გამოკლებით კი, საქართველოში ხუთი წლის დამლევს სასკოლო ასაკის მოწაფეთა რიცხვი მიაღწევს 88,0 პროცენტს, 71,6 პროცენტის ნაცვლად.

## გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

ცხრაწლედების რიცხვი შემცირდება 76-დან 69-დე. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი კი გაიზრდება 104-დან 322-დე. ჩემის აზრით, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამას წინად საქართველოს განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ ამ სკოლებში საქმე ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული. მე ზევით სხვა მიზეზის გამო უკვე ვსთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ საქმე რაოდენობა კი არა, ღირსებაა. თუ ეს სკოლები ღირსეულად არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას, მაშინ მათი რიცხვის გადიდებას სერიოზული მნიშვნელობა არ ექნება და ამის შესახებ ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და განათლების კომისარიატს მისცეს სათანადო მითითება, რომ გაუმჯობესდეს ამ სკოლების მდგომარეობა.

## პროფტექნიკური განათლება

გადავდივარ პროფტექნიკურ განათლებაზე. ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია კიდევ 9 ახალი საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის, 6 პროფესიონალური სკოლის, 21 ჭრა-კერვის სკოლის გახსნა, 35 სკოლის გადაკეთება ინდუსტრიალურ პროფსკოლად და 14 სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. ამჟამად მათი რიცხვი უდრის 11-ს. შვიდწლედების რიცხვი 276-დან შემცირდება 120-დე. ამ ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია საყოველთაო სწავლების შემოღება ყველა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, რასაკვირველია, არა ერთბაშად, არამედ თანდათან. საყოველთაო სწავლების განხორციელება განზრახულია აგრეთვე დაახლოვებით 8 მაზრაში.

რომელია ეს მაზრები? ეს არის უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მაზრები და თბილისის მაზრა.

## სასკოლო ასაკის მოწაფეთა რაოდენობა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში

ცნობებს სასკოლო ასაკის მოწაფეთა რაოდენობის შესახებ საჭიროა დავუმატოთ კიდევ შემდეგი: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს რაოდენობა 68 პროცენტიდან ხუთი წლის დამლევს აყვანილი იქნება 90 პროცენტამდე. აჭარისტანში—54 პროცენტიდან 71 პროცენტამდე, სამხრეთ-ოსეთში 20-დან 76 პროცენტამდე.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სამი ჩამორჩენილი მაზრა: ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს, რომლებშიც სასკოლო ქსელის საშუალებით განზრახულია სასკოლო ასაკის მოწაფეთა რაოდენობის აყვანა ახალციხის მაზრაში—48 პროცენტიდან 72,5 პროცენტამდე, ახალქალაქის მაზრაში—46,6-დან 72,4 პროცენტამდე და ბორჩალოს მაზრაში—34,9-დან 78,9 პროცენტამდე.

ჩვენ გვყავს დაახლოებით 80.000 11—15 წლის ასაკის ბავშვი, რომლებიც სკოლის გარეთ არიან დარჩენილნი. მათთვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებულია განსაკუთრებული 2-წლიანი სკოლების გახსნა. წლიურად გაიხსნება 100 სკოლა, სულ კი ხუთი წლის განმავლობაში—400 სკოლა.

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ამხანაგებო, განათლების სფეროში კიდევ არსებობს ერთი ფრიად სერიოზული საკითხი, როდესაც სკოლების შესახებ ვლაპარაკობთ, ხაზში უნდა ვიქონიოთ, რომ ხუთი წლის დამლევამდე ჩვენ ვერ შევძლებთ სკოლის ასაკის ყველა ბავშვების მოთავსებას სკოლაში. მხოლოდ ზოგიერთ მაზრაში და ქალაქში გამ ვახორციელებთ საყოველთაო სწავლებას და ხუთი წლის დამლევს საქართველოში სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა დაახლოვებით 25,9 პროცენტი იქნება. ეს გარემოება გაადიდებს წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვს. წარსული რეჟიმების ერთ წყეულ მემკვიდრეობათაგანს წარმოადგენს წერა-კითხვის უცოდინარობა სრულმასაკოვანი მოსახლეობის შორის. ეს არის ბოროტება, რომელიც აფერხებს ჩვენს წინსვლელობას. ამიტომ ხუთწლიანი გეგმით განზრახულია მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელს მოსახლეობაში 15 წლის ასაკიდან 39 წლამდე.

წერა-კითხვის რამდენი უცოდინარი გვყავს ამჟამად? სხვადასხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები ამ რიცხვს სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ. ასე, საქართველოს სახალხო განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა თავის მოხსენებაში თბილისის პარტკონფერენციაზე განაცხადა, რომ უმჯობესია უცოდინართა რიცხვი მეტი ვიგულისხმოთ, ვიდრე ნაკლები. მან სთქვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარნი 15-დან 39 წლამდე შეადგენს 880 ათასამდე. სახელმწიფო საგეგმო კომისია ამ მოსახლეობას ვარაუდობს 889 ათასის რაოდენობით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველწლიურად, მიუხედავად იმისა, რომ 5—6 წელიწადია ვახდენთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, მაინც უცოდინართა რაოდენობა არ კლებულობს. ასეა თუ ისე, ჩვენ ამჟამად ვდგევართ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მეტად სერიოზული ამოცანის წინაშე. მე აქ უნდა მოვიყვანო თბილისელი მუშების წერილი, რომელშიაც ისინი სერიოზულად გამოეხმაურნენ ამ გარემოებას. ეს წერილი მოწმობს, რომ მუშებს შეგნებული აქვთ ამ ამოცანის გადაწყვეტის მთელი მნიშვნელობა, ეს კი იმის ნამდვილი საწინდარია, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ამოცანას ჩვენ გადავწყვეტთ. აი რას ამბობენ თბილისელი მუშები:

„კულტურული რევოლუცია დღის წესრიგში სდგას. მშრომელთა ფართო მასების კულტურული ამაღლების გარეშე ჩვენ შორს ვერ წავალთ. წერა-კითხვის უცოდინარობა, უვიცობა, უკულტურობა მძიმე ტვირთად აწევს საბჭოთა ქვეყანას და ხელს გვიშლის სოციალიზმის შენებაში, აფერხებს სოციალისტური გზით სვლას. არ არის საკმარისი ჩვენი სკოლების, კლუბების, სალიკვიდაციო პუნქტების, საბავშვო ბაღების, მუშფაკების ქსელი. კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა—კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლის გეზის გენერალური გეგმა—სრულიად სამართლიანად ითვალისწინებს ჩვენი სახალხო განათლების და აღზრდის მთელი სისტემის მნიშვნელოვან ზრდას და გაფართოებას. მრავალ მილიონ მანეთს ხარჯავს მუშური მთავრობა სახალხო განათლების საქმეზე. ყოველწლიურად მატულობს სახალხო განათლების საქმეზე გაღებული თანხების რაოდენობა. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ჯერ-კიდევ ღარიბია, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მთლიანად დავაკმაყოფილოთ სახალხო განათლების დარგში წარმოებული მუშაობა მუშებისა და გლეხების გაძლიერებული მისწრაფება კულტურისაკენ.

ამიტომ ჩვენ, მუშები, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც მუშურ სახელმწიფოს დახმარება უნდა აღმოუჩინონ მუშებმა, გლეხებმა და მშრომელების ფართო მასებმა.

ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვსცეთ კულტურული მშენებლობის და, პირველ რიგში, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სესხი.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები იმ მილიონებს, რომლებიც ისინი სესხად მისცემენ მუშურ სახელმწიფოს, არა მარტო ხელსაყრელ პირობებში შეინახავენ ამ ფულს, არამედ ამით დაეხმარებიან მუშურ სახელმწიფოს—გახსნას მან ახალი სკოლები, გამოსცეს ათასობით ახალი წიგნები, აავოს ახალი კლუბები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელთა ფართო მასები მხურვალედ დაუჭერენ მხარს ჩვენს წინადადებას“.

უნდა გითხრათ, რომ ეს მეტად სერიოზული წინადადებაა. მუშათა მხრით ეს ყველაზე სერიოზული მოპყრობაა საქმისადმი და აქ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ამას. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა ჩვენთვის აუცილებელია. ეს გეგმა კი ჩვენ ჯერ არა გვაქვს. ის წინადადება, რომელიც ამხ. კანდელაკმა თბილისის კონფერენციაზე თავის მოხსენებაში წამოაყენა, ამტკიცებს, რომ ამხ. კანდელაკს ეს გეგმა არა აქვს მოფიქრებული. აი რას სწერს ის: „ვინ შეიძლება იყოს პირველი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე? რასაკვირველია, კომკავშირი, კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელიც იძლევა 5.000 კაცს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ახლავე დასაწყებათ. თვითეულ კომკავშირელზე—8 უცოდინარი. ჩვენ გვყავს აგრეთვე მასწავლებლობის უდიდესი არმია, ექიმების და აგრონომების დიდი რაოდენობა, სტუდენტების უდიდესი არმია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ამ დარგში, შემდეგ შრომის სკოლების და ჩვენი ტექნიკუმების უფროსი კლასების მოწაფეობა, მასწავლებლობა, სოფლის ინტელიგენცია. გამოდის, რომ ამ მუშაკთა ნებაყოფლობითი ჩაბმის ასეთი წესით ჩვენ ყოველწლიურად შევსძლებთ დაახლოვებით 40—50 ათასი და მეტი კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ამრიგად, კომკავშირის, სოფლის ინტელიგენციის, ე. ი. ექიმების, აგრონომების და სხვათა ჩაბმით ჩვენ შევძლებთ ყოველწლიურად 40—50 ათასი კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

უწინარეს ყოვლისა, მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამ საქმეში აგრონომებისა და ექიმების ჩაბმის. ეს ყოვლად დაუშვებელ საქმეს წარმოადგენს, რადგან ჩვენ ისედაც გვაკლია ექიმები და, განსაკუთრებით აგრონომები ისედაც ზედმეტად არიან დატვირთულნი თავიანთი სპეციალური მუშაობით, რომლიდანაც მათ ხშირად აცდენენ ასეთი დავალებებით: საჭიროა რომელიმე კამპანიის ჩატარება, მაგალითად, სესხის ან სოფლის სამეურნეო გადასახადის და სხვ. და ერეკებიან აგრონომებს მაშინ, როდესაც აგრონომი თავის უშუალო საქმეს უნდა აკეთებდეს. ზოგჯერ ექიმს იწვევენ ასეთი კამპანიის ჩასატარებლად, რითაც ხელს უშლიან მას გაუძღვეს თავის პირდაპირ საქმეს.

და აი ამ დროს განათლების კომისარი წინადადებას იძლევა ჩააბათ ექიმები ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. მე ასეთი მოპყრობა საქმისადმი არასერიოზულად მიმაჩნია.

შემდეგ, ამხ. კანდელაკის გეგმის მიხედვით, ამ გეგმის მთლიანი განხორციელების შემთხვევაშიც კი გამოდის, რომ სამი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მოისპობა 150 ათას უცოდინართა შორის. მაშინ როდესაც, მისივე გამოანგარიშებით, უცოდინართა რიცხვი 880 კაცს უდრის. ამრიგად, სამი წლის შემდეგ, თუ მთლიანად განვახორციელებთ ამხ. კანდელაკის გეგმას, მაინც დაგვრჩება 230 ათასი უცოდინარი.

რაღა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაა ეს?

როდესაც მე ამის შესახებ ამხ. კანდელაკს შევეკითხე, მიპასუხა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ნაწილობრივ ჩაატარებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო დანარჩენს სახელმწიფოს ორგანოები. ამხანაგებო, ასე არ შეიძლება მსჯელობა. მე ასეთი წინადადება მეტის-მეტად ოპტიმისტურად მიმაჩნია. ჩვენ ყველანი ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით—ერთ წელიწადში მოგვეხდინა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოთ ჩვენს ფინანსიურ და ტექნიკურ შესაძლებლობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოგვიხდება ისეთ ჩამორჩენილ მოსახლეობაში, როგორიც არიან, მაგალითად, თურქები და სხვ., რომელთათვისაც ჩვენ ხშირად უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მასწავლებლებსაც კი ვერ ვშოულობთ.

ხუთი წლის დამლევს ჩვენ მთელ კავშირში წერა-კითხვის მცოდნე ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით გვეყოლება 80 პროცენტი. ამრიგად, უცოდინარი დაახლოებით დარჩება 19—20 პროცენტი.

ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომ საქმე ნამდვილად მივიყვანოთ ბოლომდე.

## სახალხო განათლების პროდუქცია

საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ რამდენს გამოუშვებენ ჩვენი სკოლები ყოველწლიურად.

ავიღოთ, პირველ ყოვლისა, სპეციალური განათლების დაბალი სკოლა. 1927—28 წელს ამ სკოლის პროდუქცია უდრიდა 711, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის იგი გადიდდება — 7.433-დე. ეს გუმბერაზული ზრდა... (ხმა ადგილიდან: რაოდენობის მხრით). ლაპარაკი გვაქვს ჯერ-ჯერობით რაოდენობის შესახებ.

საშუალო სპეციალური სკოლა ხუთი წლის დამლევისათვის გამოუშვებს 1.820 კაცს. უმაღლესმა სკოლამ 1927—28 წელს გამოუშვა 414 კაცი, ხუთი წლის დამლევისათვის გამოუშვებს —894 კაცს.

უმაღლესი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხს ცალკე შევეხები. არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოში ამჟამად გვყავს დაახლოვებით 600 ინჟინერი. ხუთი წლის განმავლობაში მოვამზადებთ კიდევ 700 კაცამდე. ეს არის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობები. ამავე ცნობებით, ჩვენ ამჟამად გვყავს 480 აგრონომი, 5 წლის განმავლობაში მოვამზადებთ კიდევ 650 აგრონომს. ახალი 650 აგრონომის მომზადების შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ არსებული 480 აგრონომის შესახებ ჩემს თავს ნებას მივცემ ვკითხო—სად მუშაობენ ისინი ფაქტიურად? (ხმები ადგილიდან: ისინი თბილისში სდგანან). რისთვის გვჭირდებიან? რათ არიან აქ? (ხმა ადგილიდან: მათი დიდი რაოდენობა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში მუშაობს).

სამრეწველო ტექნიკუმში ჩვენ ამჟამად გვყავს 300 კაცი. ხუთი წლის განმავლობაში მოვამზადებთ 1.490 კაცს. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოვამზადებთ— 1.349 კაცს.

მთელს საბჭოთა კავშირში 20.000 ინჟინერია, მაგრამ განზრახულია მათი რიცხვის გადიდება 54.000-დე. ტექნიკოსია 280.000, მათი რიცხვი გადიდდება 600.000-დე. აგრონომია—11.000, ეს რიცხვი გადიდდება 34.0000-დე.

გარდა ამისა, ამხანაგებო, ამ ხნის განმავლობაში განზრახულია მუშების ხელახალი კვალიფიკაციის მოხდენაც. საბჭოთა კავშირში განზრახულია 800.000 მუშის კვალიფიკაციის გადიდება. მაგრამ ცხადზე უცხადესია, სრულებითაც საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ გამოშვებული სპეციალისტების რაოდენობის შესახებ.

უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გამოშვებული სპეციალისტები ჩვენი საბჭოთა სპეციალისტები იყვნენ.

სახალხო განათლებაზე რომ ლაპარაკი გავათავოთ, ყრილობის ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მასწავლებლობას. დიდი ხანია, ამხანაგებო, ვლაპარაკობთ სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამ ხუთი წლის განმავლობაში ამას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა მასწავლებლის გასამრჯელო იმ დონემდე მივიყვანოთ, რომელიც შეეფერება სოფლის მასწავლებლის მდგომარეობას და რომელიც საშუალებას მისცემს მას ადამიანურად იცხოვროს. სამისოდ საჭიროა, რომ მისი გასამრჯელო დონე გაუთანასწოროთ მუშების ხელფასს მაინც.

აქ არის აგრეთვე არასისტემატიური მასიური განათლების ზოგიერთი მაჩვენებელი. ესაა სახალხო სამკითხველოები, კლუბები, კინო-თეატრები და რადიო.

სახალხო სამკითხველოების რიცხვი 447-დან ხუთი წლის დამლევისათვის გადიდებული იქნება 699-დე. ზრდა უდრის 56,4 პროცენტს. კლუბების რიცხვი 1928—29 წელს უდრიდა—144-ს, 1932—33 წელს გადიდებული იქნება—168-დე, კინოთეატრები—69-დან 168-დე. ზრდის პროცენტი—194,7 პოლიტგანათლების რადიო-მიმღებთა რიცხვი 111-დან 665-დე ავა. ზრდა—499 პროც.

მაგრამ, ამხანაგებო, განათლების სახ. კომისარიატს და სხვა განმანათლებელ ორგანიზაციებს, აგრეთვე ც. კ.-ის აგიტპროპის ყურადღება უნდა მივაქციოთ ფილმების შინაარსს, რათა მათი ღირსება შინაარსის მხრით გაუმჯობესდეს.

## სახალხო ჯანმრთელობა

გადავდივარ ჯანმრთელობის დაცვაზე. ჯანმრთელობის დაცვის დარგში გეგმა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ბრძოლას სოციალურ სენთან, როგორიცაა, მაგალითად მალარია, ტუბერკულოზი და ვენერიული ავადმყოფობანი. შემდეგ გეგმა ითვალისწინებს სანიტარული საქმისა და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების ორგანიზაციას.

ამხანაგებო, დიდი წარმატების მიუხედავად, სოციალურ სენთან ბრძოლის მხრით ჩვენში მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის გეგმით გათვალისწინებულია ბრძოლა, პირველ ყოვლისა, მალარიასთან. ამჟამად ჩვენ გვაქვს 12 სამალარიო სადგური, 3 სამალარიო პუნქტი, 1 დისპანსერი, ორი ტროპიკული ინსტიტუტი, აქედან ერთი თბილისში, მეორე—სოხუმში. ეს დაწესებულებანი სუსტად არიან უზრუნველყოფილნი იმ მხრით, რომ მოსახლეობას ქინაქინა მიაწოდონ. ხუთი წლის დამლევისათვის სამალარიო სადგურების რიცხვი გადიდებული იქნება 48-დე, ხოლო სპეციალური სამალარიო რაზმებისა—34-დე. ამასთან განზრახულია გაძლიერდეს ქინაქინის გაცემა.

ამჟამად გვაქვს 4 სატუბერკულოზო დისპანსერი, ხუთი წლის დამლევისათვის კი განზრახულია მათი რიცხვის აყვანა 24-დე. სანატორიუმების საწოლების რიცხვი გადიდდება — 9.535-დე, ამჟამად კი არის 910.

გეგმით გათვალისწინებულია 6 ახალი ვენერიული დისპანსერისა და 23 ვენერიული პუნქტის გახსნა. მოეწყობა 5 ვენერიული რაზმი.

ამჟამად ერთ საწოლზე მოდის 7.464 კაცი. საჭიროა ეს ნორმა ჩამოვიყვანოთ 2.000-დე (საზღვრითი ნორმა). ამისთვის საჭირო იქნება მოვაწყოთ კიდევ 1.300 საწოლი.

სანიტარული დახმარების ორგანიზაცია: ამ საქმეში ჩვენ მოვიკოჭლებთ არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც და ისეთ ქალაქშიაც კი, როგორიცაა ჩვენი „კეთილმოწყობილი“ თბილისი. სანიტარიის ექიმი საქართველოში 40-ია. ხუთი წლის დამლევისათვის მათი რიცხვი გადიდდება 78-მდე. მაშინ თვითეულ ექიმზე მოვა 52 ათასი მცხოვრები უთბილისოდ, ახლა კი 97.000 მოდის. სანიტარიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ანაგებებს, როგორიცაა წყალსადენი, კანალიზაცია, აბანოები და სხვ. ეს, ნამდვილი თუ გინდათ, კომუნალურ მეურნეობას ეხება. ყოველ შემთხვევაში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი თავს დაინტერესებულად სთვლის ამ საქმით. წყალსადენი ამჟამად 11 ქალაქში გვაქვს, ეს ქალაქებია: თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ახალქალაქი, გორი, სიღნაღი, ახალციხე, ჭიათურა, შაუმიანი და ფოთი.

მე კარგად არ ვიცი, თუ რას წარმოადგენენ ეს წყალსადენები. რაც შეეხება კანალიზაციას, იგი მხოლოდ ორ ქალაქშია—თბილისსა და ბათუმში.

თბილისის წყალსადენი ველარ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას და სწარმოებს მისი გადაკეთება. მუშაობა კანალიზაციის გასაყვანად სწარმოებს ბათუმში ქუთაისში და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

ბოლოს, ქალაქების სანიტარული მდგომარეობის მესამე მაჩვენებელია—აბანოები. თბილისში აბანოები თუმცა ბლომადაა, მაგრამ მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ეს აბანოები სათანადოთ ვერ აკმაყოფილებენ. სხვა ქალაქებში აბანოები ან სრულებით არაა, ან თუ არის, ისეთ მდგომარეობაშია, რომ უმჯობესია სრულებით არ იყოს.

# სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი

## ფინანსები ბიუჯეტი

ახლა ფინანსების შესახებ. მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამ საკითხზე. თუ ავიღებთ მთელს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტს, ე. ი. ეგრეწოდებულ ნაკრებ ბიუჯეტს, დავინახავთ, რომ 1928-29 წელს შემოსავალი შეადგენდა 66.130 ათას მანეთს, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის იგი შეადგენს 169 მილ. 768 ათას მანეთს. ზრდის პროცენტი—156,7.

თუ ამ ბიუჯეტს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებად დავანაწილებთ, შემდეგ ციფრებს მივიღებთ: რესპუბლიკანური ბიუჯეტით 1927-28 წელს ჩვენ გვქონდა 27.709 ათასი, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის გვექნება—119.642 ათასი. ზრდა—331,8 პროცენტი.

ადგილობრივი ბიუჯეტ. ჩვენ ამჟამად გვაქვს 49.571 ათასი, ხუთი წლის დამლევისათვის გვექნება 100.949 ათასი. აქ ზრდა უდრის 103,6 პროცენტს. ამგვარად, შემოსავლის მხრით ადგილობრივი ბიუჯეტი უფრო ნელა იზრდება, ვიდრე რესპუბლიკანური.

არ შევაწუხებთ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის განხილვით, მით უმეტეს, რომ ამ მხრით განსხვავება მეტად უმნიშვნელოა.

მე ვფიქრობ, საინტერესო იქნება მოვახდინოთ შემოსავლის ანალიზი—რისგან შესდგება შემოსავალი ეხლა და რისგან შესდგება იგი ხუთი წლის დამლევს.

თუ ჩვენს შემოსავალს საგადასახადო და არასაგადასახადო ნაწილებად დავყოფთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1927-28 წელს ჩვენი საგადასახადო შემოსავალი უდრიდა 24.264 ათას მანეთს, ხოლო 1932-33 წელს იგი შეადგენს 48.503.300 მანეთს. ზრდა—99,9 პროცენტი. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება —182.441,8 მან.

არასაგადასახადო შემოსავალი შემდეგნაირად გამოიხატება: 1927-28წელს—23.717 ათასი, 1932-33 წელს—40.607.000 მან.; ზრდა—71,2 პროც.; ხუთი წლის განმავლობაში—168.222,4 ათასი. შემდეგ ჩვენ გვაქვს სხვა წყაროები—საბიუჯეტო ნაშთები, დოტაციები და სხვ. ამ წყაროებიდან ყველაზე არსებითია დოტაციები, სუბვენციები.

1927-28 წელს ჩვენ შემოსავლის ამ მუხლით გვქონდა 12.129,8 ათასი, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის გვექნება 71.349 ათასი, ე. ი. ზრდა უდრის 488,2 პროცენტს.

აი, ამხანაგებო, საიდან ვფარავთ ჩვენს გასავალს.

## სოციალისტური სექტორი იზრდება

გავუკეთოთ რა ჯამი ჩვენს მიღწევებს ამ პერიოდის განმავლობაში, განვიხილოთ, თუ როგორია სოციალისტური სექტორის ზრდა, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროში.

მრეწველობაში ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ცენზიან მრეწველობას და წვრილ შინამრეწველობას, აგრეთვე ელექტრო-მშენებლობის პროდუქციას. ელექტრომშენებლობის პროდუქცია შეტანილი არ არის იმ დიაგრამაში, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ.

ავიღოთ ცენზიანი მრეწველობა და წვრილი შინამრეწველობა. 1927-28 წელს საერთო პროდუქციის მთელი თანხა შეადგენდა 110.708.000 მანეთს. ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის უნდა შეადგინოს 338.671.000 მანეთი. ზრდა უდრის 205,9 პროცენტს.

1927-28 წ. მრეწველობის სოციალისტური სექტორი შეადგენდა 65.698.000 მანეთს ანუ 59,3 პროცენტს, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის უნდა შეადგინოს 337.561.000 მანეთი. ზრდა უდრის 413,8 პროცენტს.

აი როგორ იზრდება მრეწველობის სოციალისტური სექტორი. მაგრამ ამხანაგებო, მე აქ შემომაქვს ფრიად სერიოზული ხასიათის კორექტივი. აქ ყველა კანონით ელექტრომშენებლობის პროდუქციაც უნდა შევიტანოთ. მაშინ 1927-28 წლის მთელი პროდუქცია იქნება 116.703.000, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის გვექნება 420.671.000. ზრდა უდრის 270 პროცენტს.

რადგან ელექტროფიკაციის დასაწყისი წელი 6 მილიონს იძლეოდა, ხუთი წლის დამლევისათვის კი მოგვცემს 82 მილიონს, ხოლო ელექტრონის მთელი მრეწველობა სოციალიზაციაქმნილ მრეწველობას წარმოადგენს, რომელშიაც კერძო კაპიტალის ერთი კაპეიკიც კი არ მონაწილეობს, ცხადია, რომ სურათი თვალსაჩინოდ უნდა შეიცვალოს; იცვლება სოციალისტური სექტორის როლიც. მრეწველობის კერძო სექტორი 1927-28 წელს შეადგენდა 45.500.000 მანეთს. ეს არის წვრილი შინახელოსნური მრეწველობა. კერძო კაპიტალის სხვა საწარმო, ვინმე ბინდუქიძის სახელოსნოს გარდა, მგონი, არ არსებობს. ხუთი წლის დამლევისათვის ეს კერძო სექტორი მხოლოდ 1.110.000 მანეთის ფარგლებში მოხჩანს. ეს ისევ შინახელოსნური მრეწველობაა, რომელიც ამჟამად ჯერ კიდევ კოოპერაციის გარეშეა, მაგრამ იგი ხუთი წლის დამლევისათვის 98 პროცენტით იქნება გაერთიანებული. ეს სარეწაო კოოპერაციის უდიდესი წარმატება იქნება.

გადავიდეთ სოფლის მეურნეობაზე. მისი პროდუქცია 1927-28 წელს უდრიდა 268.011.000 მანეთს, ხოლო 1932-33 წელს გაიზრდება 384.122.000 მანეთამდე. ზრდა უდრის 43,3 პროცენტს. ეს არის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია. ამხანაგებო, მე მგონია უკვე ვსთქვი, რომ ზრდის ეს პროცენტი ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამ პერიოდში ბევრად მეტ ზრდას უნდა მივაღწიოთ.

სოციალისტური სექტორის პროდუქცია სოფლის მეურნეობაში 1927-28 წელს შეადგენდა 4.818.000 მანეთს, ხოლო 1932-33 წელს უნდა შეადგინოს 53.300.000 მანეთი, ზრდა უდრის 1.006 პროცენტზე მეტს. ხოლო კერძო სექტორი სოფლის მეურნეობაში იზრდება დაახლოვებით 25,6 პროცენტით.

მე, ამხანაგებო, თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო შემდეგ გარემოებას. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის პროდუქციის ზრდაში საბჭოთა მეურნეობანი მონაწილეობას იღებენ 5.061.000 მანეთით. ხოლო კოლექტიური მეურნეობანი—48.360.000 მანეთით. თქვენ ხედავთ, რომ საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობა სრულიად უმნიშვნელოა, ხომ განზრახულია, რომ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებში გეგმით დაბანდებულ უნდა იქნას 24.160.000 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან; ხუთწლედის უკანასკნელ წელს ისინი მოგვცემენ პროდუქციას 5 მილიონი მანეთის რაოდენობით. მე მიმაჩნია, რომ ეფექტი მეტად მცირეა და ამ საკითხის დამუშავებას სპეციალურად უნდა შევუდგეთ ჩვენი გეგმის გადასინჯვის დროს.

ეხლა სავაჭრო ბრუნვის შესახებ. მთელი სავაჭრო ბრუნვა 1927-28 წელს შეადგენს 509.847.000 მანეთს, ხოლო 1932-33 წელს უნდა შეადგინოს 814.800.000 მანეთი, ზრდა უდრის 60 პროცენტს. სოციალისტური სექტორი ამ ბრუნვაში შეადგენს 391.679.000 მანეთს, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის უნდა შეადგინოს 782.597.000 მანეთი. ზრდა უდრის 99 პროცენტს.

კერძო სექტორზე 1927-28 წელს მოდიოდა 117.660.000 მანეთი, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის იგი 72,6 პროცენტით უნდა შემცირდეს. ამხანაგებო, ამის განსამარტებლად უნდა ვთქვა, რომ საბითუმო ვაჭრობიდან კერძო სექტორი სრულებით იდევნება, იგი ინარჩუნებს თავის პოზიციებს მხოლოდ წვრილმან ვაჭრობაში და ისიც სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით. მისი როლი საცალო ბრუნვაში ხუთი წლის დამლევისათვის 7 პროცენტით გამოიხატება, ამ მხრივ ჩვენი მიღწევა საკავშირო მიღწევებზე დიდია.

ინდივიდუალურ მეურნეობათა რიცხვი სოფლის მეურნეობაში 12 პროც. შემცირდება ხოლო მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირება 70 პროცენტით გაიზრდება. კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარება ცალკე რაიონებში გათვალისწინებულია 15-დან 20 პროცენტამდე.

ამრიგად, სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მთელ სახ. მეურნეობაში ხუთი წლის დამლევისათვის გაიზრდება 52 პროცენტამდე, ე. ი. პროდუქცია თავისი ხვედრითი წონით 2 პროცენტით გადააჭარბებს კერძო სექტორს.

## მოსახლეობა

ეხლა რამდენიმე სიტყვა მოსახლეობის ზრდის შესახებ. თუ 1927-28 წელს საქართველოს მთელი მოსახლეობა 2.730.000 კაცს უდრიდა, 1932-33 წელს ეს ციფრი 3.011.400-მდე გაიზრდება. თუ ამ ზრდას პროცენტებში გამოვხატავთ, მივიღებთ 10,3 პროცენტს.

ქალაქის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სოფლის ასე, ქალაქი დაახლოვებით 13,7 პროცენტით იზრდება, ხოლო სოფელი—9,3 პროცენტით. საბჭოთა კავშირში მოსახლეობა ცოტა უფრო სწრაფად იზრდება —11,8 პროცენტით.

მოხსენების საბოლოო ნაწილში ნება მიბოძეთ შევეხო რამდენსამე მნიშვნელოვან საკითხს, უწინარეს ყოვლისა—მშენებლობას.

# სამრეწველო მშენებლობა

## საამშენებლო მასალები

მშენებლობის გაიაფება ნავარაუდევია 47 პროცენტით, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ აუცილებლად საჭიროა ამ პროცენტის გადიდება. ჩვენი უბედურება ის არის, რომ იძულებულნი ვართ შემოვიტანოთ თითქმის მთელი საშენებელი მასალა—ცემენტი, ხე-ტყის მასალა, რკინა და სხვ. ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენ გვექნება მიღწევები იმ მხრივ, რომ ცემენტი საკუთარი გვექნება და არა თუ ჩვენთვის საკმაო რაოდენობით, არამედ კიდევაც გავიტანთ მას. რაც შეეხება ხე-ტყის მასალას, ეს საკითხი, საკმაოდ მტკივნეულია, მაგრამ მე მგონია, რომ უფრო სწორი იქნება, მომავალშიაც განვაგრძოთ ამ მასალის შემოზიდვა, მრავალი მიზეზების გამო, რომლებსაც მოხსენების ბოლოში დავასახელებ.

ჩვენი უბედურება კიდევ ის არის, რომ არ შეგვიძლია დავამზადოთ ის მასალა, რომელიც გვაქვს, ე. ი. აგური, კირი და სხვ. ხუთწლიანი გეგმა თითქოს სპობს ამ ნაკლს, მაგრამ არა საკმაოდ და ამ ნაწილში ჩვენ უნდა შევავსოთ იგი.

ეხლა ასეთი საკითხი: ამ დღეებში „კომუნისტში“ მოთავსებული იყო წერილი სათაურით „წარმოების უზრუნველყოფა ნედლეულით“. შეიძლება ამ წერილის ავტორი კიდევაც აჭარბებს, მაგრამ ასე თუ ისე საჭიროა ამ საკითხს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს.

ეხლა ჩვენს წინაშე დგანან სოციალისტური შეჯიბრება, განუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღების და სხვ. საკითხები. თუ ჩვენ ვერ უზრუნველვყავით ჩვენი წარმოება საჭირო ნედლეულით, ცხადია, რომ მთელი ჩვენი სამუშაოები არარად იქცევა და აქ ვერც სოციალისტური შეჯიბრება გვიშველის და ვერც განუწყვეტელი სამუშაო კვირა. საქმე თურმე იმაშია, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა დადების დროს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს წარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხს. ამ წერილის ავტორი მიუთითებს სახელდობრ სატყეო ტრესტზე, სადაც ამ მხრივ დაუდევრობას იჩენენ. წერილში ჩამოთვლილია სატყეო ტრესტის მთელი რიგი ქარხნები, რომლებშიაც, ნედლეულის ნაკლებობის გამო, მუშაობა ჩერდება.

ამხანაგებო, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი საპერსპექტივო ხუთწლიანი გეგმის შესრულება და ყველამ, ხოლო პირველ რიგში სამეურნეო ორგანიზაციებმა, უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხს.

## კინო-მრეწველობა

ჩემს მოხსენებაში თითქმის ერთი სიტყვითაც არ შევეხებივარ კინო-მრეწველობას. ამავე დროს კინო-მრეწველობა ჩვენში ამ უკანასკნელ დროს გაჯანსაღების გზაზე დგას. მართალია, კინო-მრეწველობამ დღემდე კიდევ სავსებით ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ვამყარებდით, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, ვიმეორებ, ამ დარგში მივაღწიეთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კინო-მრეწველობის განვითარების საკითხში ჩვენ გვაქვს ყველა უპირატესობა, იმისათვის, რომ ეს საქმე სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ. მე, რა თქმა უნდა სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ვიცი, რომ თუ სათანადო ღონისძიებებს ვიხმართ, კინო-მრეწველობა ნორმალურ განვითარებას მიაღწევს და მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ჩვენ აგრეთვე უნდა ვიზრუნოთ კინო-მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ამხანაგებო, ჩვენ ჩავატარეთ უდიდესი მუშაობა მშენებლობის საქმეში, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც საკმაო კატასტროფიულია. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი მშენებელი ორგანიზაცია—„სამშენი“, რომელმაც, როგორც თქვენ ყველას საკმაოდ კარგად მოგეხსენებათ, სავსებით ვერ გაართვა თავი მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს სერიოზულად უნდა დავუფიქრდეთ ამ გარემოებას. უნდა მიეცეს დავალება ს. მ. უ. საბჭოს და სახკომსაბჭოს, რათა შექმნან ნამდვილად მძლავრი ორგანიზაცია რესპუბლიკანური მასშტაბით, რომელმაც უნდა შესძლოს სათანადო სიმაღლეზე დააყენოს მშენებლობის საქმე.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია საკმაოდ დიდი თანხა, ხუთ მილიონ მანეთზე მეტი, სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ ჩვენს საწარმოო ძალებს, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების მდგომარეობას. ის არასაკმაო მასალები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, უმრავლეს შემთხვევებში განსაზღვრავენ მათ ადგილმდებარეობას. მაგრამ მარტო ამის ცოდნა კიდევ არ განსაზღვრავს ამ სიმდიდრეთა რაოდენობას. ამიტომ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობისათვის ს. მ. უ. საბჭოს ხაზით განზრახულია გადაიდოს 5 მილიონ მანეთზე მეტი.

ეს დარგი მოითხოვს ჩვენგან უაღრესად სერიოზულ ყურადღებას, იმისათვის, რომ მართლაც ხუთი წლის დამლევისათვის და უფრო ადრეც გამოვარკვიოთ ის ობიექტები, რომლების დამუშავებაც შესაძლებელი იქნება.

წვრილი ხელოსნური შინამრეწველობის დარგში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს და ხუთი წლის დამლევისათვის კიდევ უფრო დიდი წარმატება გვექნება იმ მხრივ, რომ ხელოსნურ საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა კოოპერატიულად შეკავშირდება და მოხდება მთელი წარმოების სოციალიზაცია თითქმის 99 პროცენტით. პროდუქციის ზრდის მხრივ გვაქვს დაახლოვებით 25 პროცენტი. საქმე იმაშია, რომ მრეწველობის ეს დარგი ჩვენში, როგორც ყველა სხვა რესპუბლიკებშიაც, ძალიან დიდ როლს თამაშობს უმუშევრობის და საქონლის ნაკლებობის შენელების საქმეში.

ამიტომ მთელ საბჭოთა კავშირში ამ დარგს მიქცეული აქვს უაღრესად სერიოზული ყურადღება. ამ მხრივ ჩვენ გეგმაში აშკარა შეუთანხმებლობაა.

## კომუნალური მეურნეობა

როცა ვლაპარაკობთ კომუნალურ მეურნეობაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო ჩვენი ქალაქები, არამედ სოფლებიც, მშენებლობა სოფლად. ამ მხრივ ჩვენ საშინელი სურათი გვეშლება: არ არის საკმაო სასმელი წყალი, აბანოები, მე აღარაფერს ვიტყვი კეთილმოწყობის უფრო სერიოზულ მხარეებზე. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

## ელექტრო-მშენებლობა

საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის ქვა-კუთხედს უნდა შეადგენდეს ელექტრონის მრეწველობა. მცოდნე პირთა გამოანგარიშებით თეთრი ნახშირის რაოდენობა საქართველოში უდრის დაახლოვებით 2 მილიონ ცხენის ძალას. ვფიქრობ, რომ ეს ციფრი ნაკლებია, ნამდვილად კი გაცილებით მეტი სამ მილიონამდე იქნება, მაგრამ საქმე ამაში არ არის. ხუთი წლის დამლევს, მას შემდეგ, როცა ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი მიაღწევენ სრულ ძალოვნობას, ამ თეთრი ნახშირის რამდენი პროცენტი იქნება გამოყენებული? ძალიან უმნიშვნელო. ვფიქრობ, რომ ეს თეთრი ნახშირი საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მრეწველობას და ჩვენ ამ გზაზე უკვე ვდგევართ.

ხუთი წლის დამლევს ზაჰესი, რიონჰესი და აბჰესი სავსებით იქნებიან დატვირთულნი. შემდეგ, საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს გეგმით განზრახულია აიგოს 7 ათასი ცხენის ძალიანი ჰიდრო-ელსადგურის მოწყობა, რომელიც დააკმაყოფილებს მთელი კახეთის მაზრის მოთხოვნილებას. მას მისდევს გუმისტას ჰიდროსადგური 2.500 ცხენის ძალით, რომელიც უმთავრესად დააკმაყოფილებს ქალაქ სოხუმის მოთხოვნილებას, გალიზგას 5.000 ცხენის ძალიანი სადგური, რომელიც დააკმაყოფილებს ტყვარჩელის რაიონს. აჭარისტანში ან დამთავრდება უკვე დაწყებული ელსადგური, ან აიგება ახალი, დაახლოვებით 25.000 ცხენის ძალიანი ელსადგური. განზრახულია ელსადგურის აგება ოზურგეთში (2.000 ცხენის ძალიანი), ბოლოს, „აზნეფტ“-ი თავის ნავთის სახდელ ქარხნებში აწყობს ორთქლ-ტურბინის სადგურს.

ამგვარად, ხუთი წლის დამლევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქნება სარაიონო სადგურების უდიდესი ქსელი, რომელიც ენერგიით უზრუნველყოფს ცოტად თუ ბევრად ძლიერ სამრეწველო ცენტრებს.

ელექტრონის ენერგია გამოყენებული იქნება ჩვენს ყველა ახალშენებაში, მაგრამ ფერო-მარგანეცის ქარხნის დაკმაყოფილება ენერგიით აქ არ არის გათვალისწინებული. ეს ერთი გარემოება. მეორე გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი და სხვა სადგურები წლის ყოველ დროს არ იძლევიან ენერგიის ერთსა და იმავე რაოდენობას, რაც ასე საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის.

ამიტომ განზრახულია ხუთი წლის დამლევს აგებულ იქნას ახალი უფრო ძლიერი სადგური —100 ათას ცხენის ძალიანი. ვის შეეძლო ეფიქრა ეს? ამ სადგურის აგება აუცილებლად საჭიროა. ეს სადგური იქნება ცენტრალური, რომელიც მოაწესრიგებს დანარჩენი სადგურების მოქმედებას. ეს ახალი სადგური განზრახულია აიგოს თაფარავანში.

## სამთო-საქარხნო მრეწველობა

შემდეგი დარგი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, არის სამთო-საქარხნო მრეწველობა. ჯერ-ჯერობით ვამუშავებთ ბარიტს, დიატომიტს, ფლორიდინს, მაგრამ ვფიქრობ, რომ შემდეგ ხუთ წლედში მოუდებით სხვა მინერალების დამუშავებასაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა. გეგმით გათვალისწინებულია დიდი ტექნიკური გაუმჯობესებანი ქვანახშირის როგორც ამოღების, ისე ექსპლოატაციის საქმეში. განზრახული გვაქვს ბრიკეტის ქარხნის აგება. აქ, უმთავრესად, განზრახულია სათბობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არა მარტო მრეწველობაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რათა ჩვენი ტყეები დავიცვათ განადგურებისაგან, რასაც ადგილი აქვს შეშის სათბობის მოხმარების უფრო და უფრო გადიდების გამო.

## ქიმიური მრეწველობა

ქიმიურ მრეწველობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მრეწველობას დიდი მომავალი აქვს, განსაკუთრებით აზოტის მოპოვებას, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს, როგორც სასუქი.

## მარგანეცის მრეწველობა

ეხლა რამდენიმე სიტყვა მარგანეცის მრეწველობაზე. ცნობილია, რომ ამ მრეწველობის მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. ეხლა დიდი გაუმჯობესება მოვახდინეთ მარგანეცის ამოღების, გარეცხვის და გადაზიდვის საქმეში. მე აქ აღარ შევეხები ფერო-მარგანეცს, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს. იგივე უნდა ითქვას ნავთის მრეწველობაზე.

## ნავთის მრეწველობა

უნდა ვსთქვათ, რომ დღემდე არა გვაქვს საგრძნობი შედეგები ამ დარგში. ავიღოთ შირაქის ნავთი; ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აქ ამოხეთქა შადრევანმა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა. იქ მუშაობს იტალიელთა საკონცესიო ფირმა, მაგრამ ჩვენ თვითონ უნდა გადავდგათ სერიოზული ნაბიჯები. 100 ათასი მანეთის გადადება გამოკვლევის მოსახდენად მომავალ წელს სერიოზულ ეფექტს ვერ მოგვცემს.

შემდეგ გურიის ნავთი: ამდენი ხანია მუშაობენ და დღემდე არავინ დაინტერესებულა გამორკვევით—არის თუ არა იქ რამე და საჭიროა თუ არა მუშაობის გაგრძელება. ამიტომ საჭიროა შევუდგეთ ნავთის მრეწველობის საკითხების გადაწყვეტას. რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა გამოვარკვიოთ, შევძლებთ რაიმე შედეგების მიღწევას, თუ ეს უნაყოფო მუშაობაა?

# სატყეო მეურნეობა

თქვენს ყურადღებას მივაქცევ სატყეო მეურნეობას და სატყეო მრეწველობაზე. არსებობს ასეთი აზრი, რომ საქართველო ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ძალიან მდიდარია ხე-ტყით. და მართლაც, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო ამ მხრივ საბედნიერო გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია დაუფიქრებლად ვანადგუროთ ტყე.

ამას წინად წავიკითხე ერთი წერილი. ეს იყო დაახლოვებით 6 ან 8 თვის წინად. წერილი ეკუთვნოდა ერთ სპეციალისტ ამიერკავკასიის მასშტაბით. ეს სპეციალისტი სერიოზულად ამტკიცებდა, რომ საქართველოში დღემდე საკმაო რაოდენობით არ სჭრიან ტყეს, სხვა, სჭრიან იმის 10 პროცენტს, რის მოჭრაც შეიძლებოდა.

ამხანაგებო, ცხადია, რომ ეს მეტად ზერელე მსჯელობაა, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს.

ამხანაგებო, ვფიქრობ, თქვენ ჩემზე კარგად იცით, რომ ჩვენი ტყეების ექსპლოატაცია არასოდეს არ სწარმოებდა ისე ძლიერ, როგორც ამჟამად. თუ ნახავთ ტყის რაიონებს, ნახავთ მოჩეხილი ხე-ტყის მასალის მთელ გორებს.

გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ჩვენში თითქმის არ არის ისეთი ადგილი, სადაც არ იყოს სახერხები. რადგან ეს მეტად შემოსავლიანი წყაროა, ამ საქმეს ყველა მისდევს, გარდა იმათ, ვინც უნდა აკეთებდეს ამ საქმეს. თქვენ კარგად იცით აგრეთვე, რომ თუ რომელიმე ორგანიზაცია იწყებს ტყის ექსპლოატაციას, ადგილები იღებენ ანარიცხებს. და რაც უფრო მეტად ეწევიან ექსპლოატაციას, მით უფრო მეტია ანარიცხები. ცხადია, თქვენ ყველანი დაინტერესებულნი ხართ შემოსავლის მიღებაში და ეს იწვევს მეტოქეობას რაიონებს შორის. ბოლო დროს მოყრუებულ რაიონებსაც კი წინადგნენ ტყის გასაჩეხად. თითქმის სავსებით გაჩეხილია ქვემო სვანეთი და ეხლა მიდგომა უფრო მაღლა და მაღლა მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებისაკენ.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ჩვენი ტყეები მდებარეობენ მთების კალთებზე და თუ ტყეებს გაჩეხავენ, მდინარეებში წყლის დონე დაიკლებს, ხოლო წვიმის დროს კი მოვარდებ

# იუნგის გეგმა და მოკავშირეთა ვალები

## ინგლისის მთავრობა საფრანგეთისაგან მოითხოვს ვალების გასტუმრებას

### სნოუდენი აცხადებს: „საფრანგეთმა, როდესაც იგი ამერიკის ვალის დასაფარავად რაიმე თანხას შეიტანს, უნდა გადაიხადოს სათანადო თანხა ინგლისის ვალის დასაფარავადაც“

## იუნგის გეგმის გარშემო

**გერმანიის მთავრობის მემორანდუმი**

ბერლინი, 10 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: გერმანიის პარიზელმა ელჩმა ფონ-ჰეშმა ბრიანს გადასცა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც შეეხება რეპარაციების საკითხის გამო პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას. მემორანდუმი წინადადებას იძლევა, რომ სასწრაფოდ იქნას მოწვეული საორგანიზაციო კომისია კონფერენციის მოსამზადებლად. გერმანიის მთავრობის აზრით, კომისია უნდა შეიკრიბოს ბერლინში 15 ივლისს.

ამბობენ, რომ მემორანდუმი გადაეცა აგრეთვე ინგლისის, იტალიის და ბელგიის მთავრობებს. (ადს).

**სნოუდენი იუნგის გეგმის შესახებ**

ლონდონი, 10 ივლისი. ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა თემთა პალატაში იუნგის გეგმის შესახებ მიცემულ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა:

„შეიძლება ითქვას, რომ იუნგის გეგმის განხორციელებას შედეგად მოჰყვება ის, რომ გერმანიისაგან სარეპარაციო თანხების მიღების დროს საფრანგეთი და იტალია ისარგებლებენ უპირატესი დაკმაყოფილების უფლებით.

ინგლისის მთავრობას არავითარი პირობა არ მიუცია—მიიღოს ექსპერტთა კომისიის წინადადებანი. ამ წინადადებებს განიხილავს მომავალი საერთაშორისო კონფერენცია. ინგლისის მთავრობა წამოაყენებს ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც საფრანგეთმა, როდესაც იგი შეერთებული შტატების ვალის დასაფარავად რაიმე თანხას შეიტანს, უნდა გადაიხადოს სათანადო თანხა ინგლისის ვალის დასაფარავადაც. მთავრობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს იმ დავას, რომელიც საფრანგეთში სწარმოებს ვალების შესახებ. შესაფერ პირობებში ბრიტანეთის მთავრობა მოითხოვს აღნიშნული პრინციპის განხორციელებას“.

შემდეგ სნოუდენმა სთქვა, რომ, თუ ერთმანეთს შევადარებთ კრედიტორ-სახელმწიფოთა შორის სარეპარაციო გადასახადების განაწილების იმ წესს, რომელიც იუნგის გეგმით არის გათვალისწინებული, და იმას, რომელიც სპაში მომხდარ კონფერენციაზე შემუშავდა, დავინახავთ, რომ ინგლისის ხვედრი თანხა წლიურად დაახლოებით მცირდება 2.400.000 გირვანქა სტერლინგით. (ადს).

**იუნგის გეგმა და რუმინეთი**

ვენა, 10 ივლისი. გაზეთების წარმომადგენელთა მორიგი მიღების დროს რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ გაფენკუმ იუნგის გეგმის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„რუმინეთს იუნგის გეგმის მიღება შეუძლია მხოლოდ ორის პირობით: პირველი—რუმინეთის სამხედრო ვალები უნდა დაიფაროს რუმინეთის კუთვნილ რეპარაციებიდან, მეორე—თანხები, რომლებიც რუმინეთმა უნდა გადაიხადოს, უნდა უდრიდნენ უნგრეთისა და ავსტრიისაგან მისაღებ რეპარაციებს“. (ადს).

## წითელფრონტელთა დემონსტრაცია

ბერლინი, 10 ივლისი. მანჰეიმში შესდგა მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის მიერ მოწვეული მიტინგი. მიტინგი დამთავრდა დემონსტრაციით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წითელ ფრონტელთა აკრძალული კავშირის რაზმებმა და შვეიცარიელ მუშათა თავდაცვის რაზმმა. დემონსტრაცია პოლიციამ გაფანტა.

დაპატიმრებულნი არიან წითელ ფრონტელთა კავშირის და შვეიცარიელ მუშათა თავდაცვის წევრები. შვეიცარიელ მუშათა თავდაცვის წევრები გაძევებულ იქნენ გერმანიიდან.

## უცხოეთში მცხოვრებ პოლონელთა ყრილობა

**პროტესტი საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ**

ვარშავა, 11 ივლისი. საზღვარგარეთელ პოლონელთა ყრილობაზე საბჭოთა კავშირის პოლონელ მუშათა და გლეხთა დელეგაციის მიმღებმა კომიტეტმა გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება, რომელშიაც შემდეგია ნათქვამი: ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი პოლონელი მოსახლეობის დელეგაცია არ იქნას დაშვებული ყრილობაზე, მიზნად აქვს ჩაახშოს იმ მთელი მსოფლიოს პოლონელ მუშათა და გლეხთა სიტყვა, რომელთაც საშუალება არა აქვთ გაგზავნონ ვარშავის ყრილობაზე ნამდვილი თავიანთი წარმომადგენელნი.

საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილების მიზანია დამალოს სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, დამალოს, რომ საბჭოთა კავშირის პოლონელი მშრომელები სარგებლობენ სოციალისტური რევოლიუციის ყოველი სიკეთით და სრული ეროვნული უფლებებით. ამავე დროს პოლონეთის ფაშიზმის წყალობით მშრომელი მასები დასავლეთ უკრაინისა, დასავლეთ ბელორუსიისა, გერმანელები, ლიტველები და ებრაელები არაჩვეულებრივ ჩაგვრას განიცდიან. საბჭოთა კავშირის დელეგაციის პოლონეთში შესვლის აკრძალვის მიზანია იმ ფაქტის დამალვა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი პოლონელები მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი პოლონეთის იმპერიალიზმისა და მისი თანამგზავრების თავდასხმისაგან.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიმღებ კომიტეტში შედიან სეიმის კომფრაქცია და სეიმის სხვა მუშურ-გლეხური ფრაქციების წარმომადგენლები. (ადს).

**საორგანიზაციო კომიტეტის საბუთი**

ვარშავა, 10 ივლისი. პოლონეთის რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ პოლონელთა კონფერენციის მომწვევი კომიტეტი აქვეყნებს ცნობებს იმ დელეგაციების შესახებ, რომლებსაც მოელიან ვარშავის ყრილობაზე.

ჩამოთვლილია პოლონელთა საზღვარგარეთის ცენტრების დელეგაციები, გარდა რუსეთისა და ლიტვის, „რომლებიც არ იქნებიან წარმოდგენილნი ამ ქვეყნებსა და პოლონეთს შორის არსებულ ურთიერთობის გამო“. (ადს).

## პოლონეთის გლეხური პარტიის ყრილობა

ვარშავა, 10 ივლისი. გლეხური პარტიის ყრილობამ ვარშავაში მკაცრი ოპოზიციონური პოზიცია დაიჭირა მთავრობის მიმართ. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია ილაშქრებს ძველი კონსტიტუციის ყოველგვარი გადასინჯვის წინააღმდეგ, რასაც პილსუდსკის მომხრენი ცდილობენ. პასუხისმგებლობას პოლონეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისათვის რეზოლიუცია მთლიანათ აკისრებს მთავრობას და პირადად პილსუდსკის. ყრილობა წინადადებას აძლევს სეიმის გლეხ დეპუტატებს — დასვან საკითხი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. რეზოლიუციას საჭიროდ მიაჩნია, რომ სახელმწიფო ტრიბუნალის სამსჯავროს გადაეცეს მთავრობის მთელი შემადგენლობა. (ადს)

## გაფიცვების ტალღა

**სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა**

ვარშავა, 10 ივლისი. როგორც ლვოვიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ გალიციის თვალსაჩინო ნაწილს მოედო სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვათა ტალღა. მრავალ ადგილას მოხდა შეტაკებები გაფიცულებსა და პოლიციას შორის. ორივე მხრივ ბევრი დაიჭრა. (ადს).

**გაფიცვა იზრდება**

ვენა, 10 ივლისი. ტყის მუშაკთა გაფიცვა ბუკოვინაში (რუმინეთი) იზრდება. საქმე იმით დაიწყო, რომ 6 დღის წინათ გაიფიცა გოლის სახერხავი ქარხნის 500 მუშა ჩერნოვიცში. ეხლა გაიფიცა ვიჟნიცის სახერხი ქარხნის 1.500 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს და წინანდელ ხელფასს.

სულ გაფიცულია 2.000 კაცი. (ადს).

**ტრამვაის მუშების გაფიცვა**

ბერლინი, 10 ივლისი. ვილიფელდში (ვესტფალიის საოლქო ქალაქია) ქალაქის ტრამვაის და ავტობუსის საწარმოს მუშებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება და გაფიცვა გამოაცხადეს.

ტრამვაისა და ავტობუსების მოძრაობა ქალაქში სრულიად შესწყდა. (ადს).

**დამქირავებელთა ხრიკები**

ვენა, 10 ივლისი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, სლივენაში დამქირავებლები ცდილობენ ფეიქართა გაფიცვის ჩაშლას, რისთვისაც არ ერიდებიან არავითარ საშუალებას.

ასე, მაგალითად, ამ დღეებში პროვოკატორებმა ერთ-ერთ ფაბრიკაში გადააგდეს ყუმბარა იმ მიზნით, გამოიწვიონ გაფიცულთა მასიური დაპატიმრება „ტერორისტული თავდასხმის“ მომიზეზებით. გაფიცულები განაგრძობენ მტკიცე ბრძოლას. (ადს).

## მფარველობითი საბაჟო გადასახადები ინგლისში

**განზრახულია მფარველობითი გადასახადების გაუქმება**

ლონდონი, 10 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კონსერვატორებმა პალატაში შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც გმობს მთავრობას იმისათვის, რომ მას არ შეუძლია დაწვრილებით განსაზღვროს თავისი პოლიტიკა მფარველობითი საბაჟო გადასახადებს საკითხში, აგრეთვე „საიმპერიო უპირატესობის“ პრინციპის საკითხში.

მფარველობითი საბაჟო გადასახადებს ინგლისში უწოდებენ ისეთ საბაჟო გადასახადებს, რომლებსაც „ინგლისის მრეწველობის დაცვის“ კანონის ძალით, აწესებენ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა შუამდგომლობის თანახმად.

„საიმპერიო უპირატესობის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ საქონელი, უმთავრესად სურსათ-სანოვაგე და ნედლეული, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის ერთი ნაწილიდან მეორეში შეაქვთ, იბეგრება ნაკლები საბაჟო გადასახადით ან სრულიად თავისუფლდება ასეთი გადასახადისაგან.

ამ რეზოლიუციის გამო გამართული კამათის დროს ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა სთქვა:

საიმპერიო უპირატესობის პრინციპი შეცდარი და არასაღი იყო. არ შეიძლება იმის გამოყენება მაშინ, როდესაც გადასახადებისაგან განთავისუფლდება საზღვარგარეთიდან შემოტანილი სურსათ - სანოვაგე და ნედლეული. მთავრობა არ არის ასეთი წესის მომხრე. მუშათა პარტია გარკვეულად აცხადებდა რომ მაკ კენის ბაჟები (ავტომობილებზე, საათებზე, მუსიკალურ ყუთებზე და სხვ.) გაუქმებული იქნება. აგრეთვე, თუ ვაჭრობის მინისტრი შემოდგომაზე წარმოადგენს კანონპროექტს დასაცავი ბაჟების მოსპობის შესახებ, ამას ის ჩაიდენს სრულის უფლებით. მე იმედი მაქვს, რომ მუშათა პარტია, სანამ იგი ძალა - უფლებას მიატოვებდეს, მოსპობს ბაჟს შაქარზე, ხმელ ხილზე და, საერთოდ, ყოველგვარ სურსათ - სანოვაგეზე. ამ ბაჟებთან ერთად ბუნებრივად გაქრება საიმპორტო უპირატესობაც.

მთავრობას ამჟამად მოლაპარაკება აქვს ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან და არკვევს — რამდენად არის შესაძლებელი საიმპორტო ეკონომიური კონფერენციის მოწვევა იმ საკითხის განსახილველად, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ვაჭრობის განსავითარებლად იმპერიის შიგნით“.

კონსერვატორების მიერ შეტანილი რეზოლიუცია კენჭის ყრის დროს უარყოფილ იქნა მუშათა პარტიის და ლიბერალების 340 ხმის უმრავლესობით კონსერვატორების 220 ხმის წინააღმდეგ (ადს).

## ორლოვის და პავლონოვსკის საქმე

ბერლინი, 10 ივლისი. 10 ივლისს შესდგა სასამართლოს სხდომა ორლოვის საქმეზე. სხდომაზე გამოაშკარავდა ზივერტის ნამდვილი როლი და სრული მარცხით დამთავრდა ყოველგვარი ცდა იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს ზივერტი მისივე აგენტების მოქმედების მსხვერპლი გახდა.

ზივერტს, რომელიც დღემდე თავის ჩვენებას აძლევდა ფიცის მიუღებლად, დღეს უნდა მიეღო ფიცი. მაგრამ იგი არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე და გამოგზავნა სასამართლოს ექიმის მოწმობა.

პროკურორმა განაცხადა, რომ რამდენადაც წარმოდგენილია დიდძალი მასალა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ზივერტის განცხადების სიმართლეს, და მოსალოდნელია დამატებითი მასალის მიღება, ბრალდებულნი იძულებულნი არიან უარი განაცხადონ საბრალმდებლო აქტის იმ პუნქტებზე, რომლებიც ზივერტის ჩვენებას ემყარება. რადგან ბრალდების სამი პუნქტიდან ორი ემყარება ზივერტის ჩვენებას, რჩება მხოლოდ ერთი პუნქტი, სახელდობრ ამერიკელი კორესპონდენტის ნიკერბროკერის მოტყუების ცდა, რომელსაც შესთავაზეს ყალბი დოკუმენტები. ამგვარად, იმის მაგივრად, რომ მთავარი დამნაშავე ზივერტი (რომლის დანაშაული ყოველ ეჭვს გარეშეა) დაესვათ დამნაშავის სკამზე და ამის მიხედვით გაეფართოვებიათ პროცესის ფარგლები, ზივერტის მხილება უცნაურად იქნა გამოყენებული, როგორც საშუალება ორლოვის და პავლონოვსკის ბრალდების შესამსუბუქებლად.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ზივერტის ჩვენება მთავარ ნაწილში დაადასტურა მთავრობის კომისარმა მიულეიზენმა და ფროსის ექსპერტიზამ.

ასეთი გამოსავალი უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც გერმანიის ხელისუფლება იმყოფება ყალბი საბუთების დამამზადებელთა საქმის გამო, ყველაზე ნაკლებ წარმოადგენს ზომას ყალბი საბუთების დამამზადებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და გაცილებით მეტად აქეზებს ანტისაბჭოთა დანაშაულებრივ ინტრიგებს.

ზივერტის „ლიკვიდაციის“ შემდეგ მოწმეთა შემდგომი დაკითხვა ძალიან აჩქარებით თავდება.

საინტერესოა მხოლოდ ბარტელსის გამოსვლა, რომელიც მოწმედ გამოიწვიეს ორლოვის დამცველებმა. ბარტელსი ადასტურებს ორლოვის ჩვენებას, მათ შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ. (ბარტელსი იყო გერმანიის საელჩოს სავაჭრო ატაშე პეტროგრადში 1918 წელს). (ადს).

## 16 ინდოელი რევოლიუციონერის პროცესი

ლონდონი, 10 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: ლაგორში (ინდოეთი) დაიწყო პენჯაბისა და ბენგალიის შეერთებული პროვინციების 16 მცხოვრების პროცესი. მათი დაპატიმრება გამოიწვია ლაგორის პოლიციის ინსპექტორის თანაშემწის მოკვლამ წარსული წლის დეკემბერში და ყუმბარების დასამზადებელი სახელოსნოს აღმოჩენამ; მათ ბრალდებათ აგრეთვე შეთქმულების მოწყობა თანამდებობის პირთა დასახოცად.

დარბაზში შესვლის დროს ბრალდებულებმა დაიძახეს: „გაუმარჯოს რევოლიუციას“ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. პროკურორმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებმა შეთქმულება მოაწყვეს მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, მისი ბატონობის მოსასპობად ინგლისის ინდოეთში და დანაშაულებრივი მოქმედების გზით მთავრობის დასამხობად. ბრალდებულებმა შექმნეს პარტიები: „ინდოეთის რესპუბლიკანური ასოციაცია“ და „ინდოეთის რესპუბლიკანური პარტია“. ბრალდებულნი ფულს შოულობდნენ ბანკებისა და ხაზინის გაძარცვით, რასაც შედეგად მოსდევდა მკვლელობანი. მოწყობილ იქნა ასაფეთქებელ ნივთიერებათა და ყუმბარების წარმოება. ბრალდებულნი ხოცავდნენ პოლიციის მოხელეებს, თანამდებობის პირებს და იმ კერძო პირებსაც, რომლებიც ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ მთავრობის აპარატის მუშაობისათვის. ბრალდებულნი აფეთქებდნენ მატარებლებს, ანადგურებდნენ წარმოებას, ავრცელებდნენ რევოლიუციონურ ლიტერატურას და ვითომ ფულს იღებდნენ ინდოეთის რევოლიუციით დაინტერესებულ უცხო სახელმწიფოებში მცხოვრებ პირებისაგან.

მათ ბრალდებათ აგრეთვე ბენარესის სისხლის სამართლის პოლიციის ინსპექტორის მოკვლა 1928 წლის 13 იანვარს და ფოსტის ერთი მოხელის გაძარცვა, რომელსაც წაართვეს 3.199 რუპი. (ადს).

## სამხედრო შეთქმულება რუმინეთში

**ოფიციალური ცნობა**

ვენა, 10 ივლისი. ბუქარესტიდან იუწყებიან: შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ახალი ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ დღეებში აღმოჩენილ მთავრობის საწინააღმდეგო სამხედრო შეთქმულებას მხოლოდ ბუქარესტში ქონდა ადგილი და მას მეთაურობდა სამსახურის გარეშე მყოფი პოლკოვნიკი სტოიკა. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დაპატიმრებულთა სამართალში მიცემა.

უნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ შეთქმულებაში ჩაბმული იყვნენ უფრო ფართო წრეები, ვიდრე ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი. (ადს).

## არჩევნები ფინეთში

ჰელსინგფორსი, 10 ივლისი. უკანასკნელი ცნობებით სეიმის არჩევნების შედეგები ასეთია: კომუნისტები („მემარცხენე სოციალისტები“) მიიღეს—23 მანდატი (ჰქონდათ 20), სოციალ-დემოკრატებმა—60 (ჰქონდათ 60), კოალიციონურმა პარტიამ—29 (ჰქონდათ 34), პროგრესიულმა პარტიამ 6 (ჰქონდა 10), პოლიტიკური წრეების აზრით, არჩევნების შედეგები გვიჩვენებენ დამარცხებას მთავრობისა და პროგრესიული და კოალიციონური პარტიებისას, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას. (ადს).

## კონკორდატის მიღება

ბერლინი, 10 ივლისი. პრუსიის ლანდტაგმა კონკორდატი საბოლოოდ მიიღო. კონკორდატს ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებმა, დემოკრატებმა, ცენტრის პარტიამ, სამეურნეო პარტიამ და „გერმანელთა ფრაქციის“ ნაწილმა. წინააღმდეგნი იყვნენ კომუნისტები, გერმანელი ნაციონალისტები, სახალხო პარტია. ნაციონალ-სოციალისტები (ფაშისტები) და „გერმანელთა ფრაქციის“ მეორე ნაწილი.

გერმანელ ნაციონალისტთა დეპუტატმა ჰოლდაუმ ხმა მისცა კონკორდატს, ამიტომ იგი ნაციონალისტთა ფრაქციიდან გამორიცხეს. (ადს).

## საბაჟო გადასახადების გადიდება ამერიკაში

**უცხო სახელმწიფოების პროტესტი**

ვაშინგტონი, 10 ივლისი. სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა სენატს, რომ 38 სახელმწიფომ, მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და ლათინური ამერიკის ბევრმა სახელმწიფომ პროტესტი განაცხადეს შეტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადების გადიდების წინააღმდეგ, რომლის კანონპროექტი ამჟამად სენატის საფინანსო კომისიაში იმყოფება. ბევრი მთავრობა რეპრესიული ზომებით იმუქრება.

როგორც იუწყებიან, პრეზიდენტ ჰუვერს ეშინია უცხო სახელმწიფოების რეპრესიული ზომებისა და ამიტომ ურჩევს სენატორებს — შესცვალონ საბაჟო გადასახადების გადიდების კანონპროექტი, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ უკვე მიიღო. (ადს).

## საარჩევნო სისტემის რეფორმა ინგლისში

ლონდონი, 11 ივლისი. მაკდონალდის, ბოლდუინის და ლოიდ-ჯორჯის მონაწილეობით მოხდა ახალი თათბირი იმ კონფერენციის შემადგენლობის შესახებ, რომელმაც უნდა შეისწავლოს საარჩევნო სისტემა.

ლიბერალთა ორგანოს „მანჩესტერ გარდიან“-ის ცნობით, კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს ყველა სამი პარტიის (მუშათა, ლიბერალთა და კონსერვატორთა პარტიების) სამი წარმომადგენელი. თვითეული პარტიისაგან იქნება თითო ყოფილი მინისტრი, ხოლო მუშათა პარტიისაგან—ერთი ეხლანდელი მინისტრი. (ადს).

## ბაჩინსკის ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს

ვარშავა, 10 ივლისი. ვარშავის სააპელაციო სასამართლოში ირჩეოდა კომუნისტ დეპუტატ ბაჩინსკის საქმე. ბაჩინსკი საქმის გარჩევას არ დასწრებია. ბაჩინსკის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების მთავარი მუხლი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც იგი, როგორც დომბროვის რაიონის მუშების წარმომადგენელი, დაესწრო საბჭოთა კავშირის მეგობართა ყრილობას, მან მიიღო წითელი დროშის ორდენი საპყრობილეში მყოფ ლანცუცკისათვის გადასაცემად. სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბაჩინსკის მისჯილი ჰქონდა ხუთი წლის პატიმრობა. (ადს).

## სხვადასხვა

● წყალქვეშა ნავი № 47. ინგლისის საზღვაო მინისტრმა ალექსანდერმა თემთა პალატას აუწყა, რომ მიღებულია ზომები მეორე ნავთან დაჯახების დროს დაძირული წყალქვეშა ნავის № 47-ის ამოსაღებად, მაგრამ ნაკლები იმედია, რომ შესაძლებელი გახდეს ასეთ სიღრმეზე ჩაძირული ნავის ამოღება.

არსებული ცნობებით, კატასტროფის დროს დაიღუპა 22 კაცი. (ადს).

● გადაფრენა ავსტრალიიდან ინგლისში. ლონდონში მოფრინდა აეროპლანი „სამხრეთის ჯვარი“, რომელიც 13 დღის განმავლობაში ავსტრალიიდან ინგლისში გადმოფრინდა. ამრიგად, მან დაამყარა ავსტრალია-ინგლისს შორის გადაფრენის ახალი რეკორდი (წინანდელი რეკორდი 15 დღეს უდრიდა). (ადს).

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

**ტყვარჩელის მშენებლობის სამმართველო**

მოსკოვი, 11 ივლისი. რადგან საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა—გაძლიერდეს მუშაობა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებზე, ამიტომ „გლავგორტოპ“-ი სასწრაფოდ აწყობს მშენებლობის სამმართველოს. სამმართველო სოხუმში იქნება, ხოლო მისი წარმომადგენლობა მოსკოვში. (ადს).

**აეროპლანი „საბჭოთა ფრთები“**

მოსკოვი, 11 ივლისი. ოთხშაბათს, საღამოს ხუთ საათზე, ბერლინიდან მიღებულ იქნა დეპეშა:

„აეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ მოფრინდა ბერლინში 14 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით. (ადს).

**არაჩვეულებრივი სიცხე**

ხარკოვი, 11 ივლისი. 7 ივლისიდან უკრაინაში საშინელი სიცხეებია. ხარკოვში 8 ივლისს ტემპერატურამ ჩრდილში 40 გრადუსს მიაღწია, ხოლო არტემოვსკში—45 გრადუსს. (ადს).

## მასიური პარტგანათლების ამოცანები

მოსკოვი, 11 ივლისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა თავის დადგენილებაში მასიური პარტგანათლების ამოცანების შესახებ 1929-30 წლისათვის აღნიშნავს: წარსული წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მასიურ პარტგანათლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ხაზისათვის ბრძოლაში, ლენინიზმისა და პარტიისა და კომინტერნის პოლიტიკის მთავარი საკითხების პროპაგანდის საქმეში. მასიური პარტგანათლება ამზადებდა პარტიის წევრებს და კანდიდატებს, აგრეთვე უპარტიო აქტივის ძირითად საზოგადოებრივ პოლიტიკურ კამპანიებისათვის. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ცეკას ძირითადი დირექტივები მასიური პარტგანათლების დარგში საკმაოდ არ არის გატარებული. მემარჯვენე გადახრის დაძლევა, პარტიის შიგნით, ახალი ასეული ათასი მუშების და მოჯამაგირეების მიღება პარტიაში, პარტიის კანდიდატების, უპარტიო მუშათა და ღარიბ მოჯამაგირეთა აქტივის ჩაბმა პარტგანათლებაში, ფართო კადრების აღზრდა, „გაშლილი სოციალისტური შეტევის“ პროგრამის შესასრულებლად და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის ფორმების გარდასაქმნელად რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით, მოითხოვს მასიური პარტიული განათლების ფორმების არსებითად შეცვლას და ამ მუშაობის უშუალო სისტემატიურ ხელმძღვანელობას პარტკომიტეტებისა და პარტუჯრედების ბიუროების მხრივ.

პარტიულ პროპაგანდისტების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად საჭიროა 1929-30 სამოსწავლო წლის დაწყებამდე ზედმიწევნით გადაისინჯოს ეს შემადგენლობა და საპროპაგანდო სამუშაოებზე დატოვებულ იქნენ ის ამხანაგები, რომლებმაც საკმაო მომზადება გამოიჩინეს ამ დარგში მუშაობისათვის; საპროპაგანდო მუშაობაში ჩაბმულ იქნენ ძველი ბოლშევიკები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთაც აქვთ საკმაო პოლიტიკური მომზადება და პარტიული მუშაობის გამოცდილება. პარტორგანიზაციების განსაკუთრებულ ამოცანად იქნას დასახული მუშა-პროპაგანდისტების კადრების სისტემატიურად მომზადება წარმოებაში მომუშავე მუშებისა და მუშა-ქალთა წრიდან, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს სპეციალური კურსები—სემინარები.

ადგილობრივი პარტორგანიზაციების კადრების გასაუმჯობესებლად საორგანიზაციო განმანაწილებელ განყოფილებას დაევალოს მოახდინოს ასი პროპაგანდისტის მობილიზაცია მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზ. აქტივის შემადგენლობიდან; აქედან 20 კაცი გაიგზავნოს კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლების პედაგოგიურ კადრის განსამტკიცებლად, 30 კაცი—საბჭოთა-პარტიულ სკოლებში და 20 კაცი—რაიონული პროპაგანდისტ-ინსტრუქტორებად და მსხვილ წარმოებებში სამუშაოდ.

ცეკა საჭიროდ სცნობს გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი წრეების ქსელი, გაიზარდოს აგრეთვე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხების, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, კომინტერნის პროგრამის, მარქსიზმის და ლენინიზმის ცალკე პრობლემების, მარქს-ენგელსის ლენინის ცალკე თხზულებათა შემსწავლელი წრეების რიცხვით.

იმ მიზნით, რომ პარტიულ სწავლებაში უფრო ფართოდ იქნან ჩაბმული პარტიის კანდიდატები და უპარტიო აქტივის ფართო კადრები, გაიშალოს დაწყებითი პარტსკოლების, ქსელი, გაფართოვდეს საუბრების მოწყობა ცალკე ჯგუფებისათვის მათთვის საინტერესო საკითხებზე და მოეწყოს მოკლევადიანი თემატიური და საგაზეთო წრეები. (ადს).

## მეორე პოლიარული ლაშქრობა

ლენინგრადი, 11 ივლისი. „კრასინ“-ი გავიდა მეორე პოლიარულ ლაშქრობაში. ყინულის მჭრელის გასვლის წინ შესდგა ნავთსადგურის მუშების მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს ექსპედიციის უფროსმა ამხ. ევგენოვმა და პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. გამცილებელთა სახელით ამხ. მატვეევმა გამოსთქვა რწმენა, რომ კრასინელები მეორედ დასძლევენ მოგზაურობის ყველა სიძნელეს. (ადს).

## ამ.-კავკ. მრეწველობის გამოკვლევის შედეგები

მოსკოვი, 11 ივლისი. 10 ივლისს საკავშირო ს.მ.უ. საბჭოს მთავარი ინსპექციის კომისიამ, რომელმაც ამიერ-კავკასიის მრეწველობა გამოიკვლია, საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინა თავისი ძირითადი დასკვნები. საორგანიზაციო საკითხის შესახებ კომისია აღნიშნავს, რომ, ამიერ-კავკასიის ფედერატიული ს.მ.უ. საბჭოს არ არსებობის გამო, ცალკე რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების აპარატების სტრუქტურა სხვადასხვანაირია. ს.მ.უ. საბჭოების ძირითად დეფექტს შეადგენს ის, რომ ფუნქციები მტკიცედ არ არის განაწილებული, რაც იწვევს აპარატის ცალკე ნაწილების უპასუხისმგებლობას.

ცენტრიდან მიცემული დირექტივების მიუხედავად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კაპიტალურ მშენებლობას. საწარმოო პროგრამების შედგენის დროს სამეურნეო ორგანოები არ ითვალისწინებენ რეალურ შესაძლებლობას, არღვევენ გეგმას და სხვ. ამის გამო ვერ ხერხდება თვითღირებულების შემცირება. სუსტად ხორციელდება რაციონალიზაცია. დიდი დეფექტები იქნა აღნიშნული კაპიტალურ მშენებლობაში. მშენებლობაზე ფული იხარჯება დამტკიცებული გეგმის გარეშე. ნაკლები ყურადღება ექცევა საგამომკვლეო მუშაობას. ცალკე რესპუბლიკების კაპიტალურ სამუშაოთა გეგმები შედგენილია ნედლეულის ბაზისის, სატრანსპორტო პირობების და სხვ. გაუთვალისწინებლად. განსაკუთრებით დიდი დეფექტებია ამიერ-კავკასიის ახლად აღორძინებულ საფეიქრო მრეწველობაში. განჯის, ლენინაკანის და თბილისის ქარხნების მშენებლობაში არ იყო საპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა, ადგილი ჰქონდა ხარჯთაღრიცხვების გადამეტებას, უნაყოფო ხარჯებს და სხვ.

ტყის წარმოებაში საჭიროა ძირითადი სამუშაოები გადატანილ იქნას ხუთი წლის დამლევისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ტყის მასივების შესაფერისად შესწავლა, მიწათმოწყობა და სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესება.

სამთო მრეწველობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ჩირაგი ძირის გოგირდის საბადოები. დაშკესანის რკინის საბადოები გულდასმით უნდა იქნან შესწავლილი მახლობელი ორი წლის განმავლობაში და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს მათი ექსპლოატაცია.

ტყიბულის მაღაროების გაფართოვების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ნახშირის თვითღირებულების შემცირებას.

სამშენი მასალის წარმოების განვითარების დროს განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს მინქაფის (პემზა), მარმარილოს და არტიკ-ტუფის დამუშავება, რასაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

საფეიქრო მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭიროა კვალიფიციური მუშების გაძლიერებული მზადება, მანამდი კი მიზანშეწონილია ფაბრიკების სამ წყებაზე გადაყვანა. მრეწველობის განვითარება საჭიროა აგრეთვე ხდებოდეს ენერგეტიულ რესურსებთან შეფარდებით.

აბრეშუმის მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა ნედლეულის ბაზრის და თუთის პლანტაციების მაქსიმალურად განვითარება.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განსახორციელებლად, კომისიის აზრით, საჭიროა ამიერკავკასიის გეოლოგიური გამოკვლევის გაძლიერება. ამისათვის საჭიროა ამიერ-კავკ. ფედერატიული ს.მ.უ. საბჭოს გაძლიერება და გეოლოგიური გამოკვლევების ხელმძღვანელობის კონცენტრაცია მის ხელში. უნდა გაძლიერდეს ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოს ეკონომიური ბაზისი, რისთვისაც უშუალოდ მას უნდა გადაეცეს ისეთი სამრეწველო დარგები, რომლებიც გაერთიანებულ ხელმძღვანელობას მოითხოვენ. (ადს).

## აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას ახალი გენერალური მდივანი

ბაქო, 11 ივლისი. შესდგა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის, ცენტრ. საკონტრ. კომისიის და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. დღის წესრიგში იდგა საორგანიზაციო საკითხები.

ც.კ.-ის გენერალურ მდივნად და ბაქოს კომიტეტის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. გიკალო (ადს).

## აფეთქება წითელი ჯვრის კარხანაში

ოდესა, 11 ივლისი. წითელი ჯვრის საზოგადოების რეზინის ნაწარმოებთა ქარხანაში მოხდა ბენზინის აფეთქება. ქარხნის ორსართულიანი შენობა დაინგრა. დაიღუპა 11 კაცი.

შექმნილია ადგილობრივი კომისია აფეთქების მიზეზების გამოსარკვევად. ფიქრობენ, რომ მოხდა ბენზინის თვითაფეთქება. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ფაბრიკის შენობა გამოსადეგი არ იყო ამ წარმოებისათვის.

დაპატიმრებულია ფაბრიკის დირექტორი, რომელმაც მეხანძრეთა რაზმის და შრომის ინსპექტორის არა ერთხელ გაფრთხილების მიუხედავად, არ მიიღო ზომები ფაბრიკის გადასატანად სხვა შენობაში.

პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული წითელი ჯვრის ადგილობრივი ადმინისტრაცია. შრომის სახალხო კომისარიატმა ოდესაში გამოსაკვლევად გაგზავნა მთავარი სანიტარული ინსპექტორი. (ადს).

## კულაკების თავხედობა

ბაქო, 11 ივლისი. ყუბანის და ციმბირის კულაკებმა, რომლებიც მოიხსნენ მოკალათებული ადგილებიდან, თავშესაფარი ჰპოვეს ნუხის მაზრაში.

აზერბეიჯანის კოლმეურნ. ცენტრის ინსტრუქტორები იუწყებიან, რომ ნუხის რაიონში სოფელ დიდინ-ბულაკში აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოჰყო მიწები 300 მეურნეობისათვის, რომლებიც გადმოსახლდნენ რუსეთიდან. ამ მეურნეობათა 40 პროც. აშკარა კულაკური ტიპისაა. გადმოსახლებული კულაკები აგიტაციას ეწევიან კოლმეურნეობის მოწყობის წინააღმდეგ ამ რაიონში და ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ დააჯერონ ღარიბი გლეხები, რომ ისინი არ შევიდნენ კოლექტიურ მეურნეობაში. ამის ჯილდოთ ისინი ღარიბ გლეხობას პირდებიან მიწის დახვნას შემოდგომაზე შეღავათიან ფასებში.

კულაკურ აგიტაციას მხარს უჭერენ ადგილობრივი მალაკნები.

ღარიბები გლეხებს შორის აგროვებენ ხელმოწერას განცხადებებზე სკოლის აგების შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ კულაკები ენერგიულ აგიტაციას ეწევიან ჩამორჩენილ გადმოსახლებულებში ეკლესიის აგების სასარგებლოდ, რისთვისაც თანხების შეგროვება უკვე დაიწყო.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი საკმაო ყურადღებას არ აქცევს გადმოსახლებულთა კლასობრივ სახეს, რასაც მოწმობს შემდეგი ფაქტი: წითელ წყაროდან (კახეთის მაზრა) გადმოსახლებულებმა მუქარითა და ყალბი განცხადებით იმის შესახებ, რომ ვითომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში და შედიოდნენ ვოროშილოვის რაზმში, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში მოახერხეს 8 ათასი მანეთის მიღება გადასახლების ფონდიდან. ეს გადასახლებულები აღმოჩნდენ კულაკები, რომლებმაც მიღებული ფულით იქეიფეს თბილისში. (ადს).

## საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკ. კომისიის პლენუმი

გუშინ, 11 ივლისს, შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) ახალი შემადგენლობის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია საკონტროლო კომისიის ორგანოები შემდეგი შემადგენლობით:

### პრეზიდიუმი

**წევრები**

ივანოვ - კავკასკი, ცვარაცხელია მ., სტურუა გიორგი, მარკარიძე, გ., იტრიოევი ვ., დოლიძე ა., დევდარიანი გ., ჯაფარიძე გ., გოდაბრელიძე ხ., გოლდბაუმი ა., ხუბულური, მგრელიშვილი ს., მასხულია, რასულ-ზადე, ტიგიშვილი ა.

**კანდიდატები**

გიჩბაძე ნ., შაუმოვი რ., დარჩია, ზაკ-კომოლდინი.

### პარტკოლეგია

ივანოვ - კავკასკი, ცვარაცხელია მოსე, მასხულია, მგრელიშვილი, ს. რასულ - ზადე, დევდარიანი გიორგ, შაუმოვი რ., გელაშვილი, ლომიძე, ცოტალევსკი, ქორიძე.

საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად დაადასტურა ამხ. ივანოვ - კავკასკი, პარტკოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად— ამხ. მოსე ცვარაცხელია.

## პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

პროდუქციის ხარისხის საკითხები უკანასკნელ დროს ჩვენი პრესისა და პროლეტარული საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. უეჭველია, სამეურნეო ფრონტის ამ დარგში ადგილი აქვს სხვადასხვა უარყოფით მოვლენებს.

მრეწველობის პროდუქციის ხარისხის პრობლემა სრულებითაც არ განისაზღვრება—ყველა მუშისა და ყველა მშრომელის, როგორც მომხმარებელთა ინტერესების დაცვით. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მთავარ პროცესებთან.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ პროდუქციის ხარისხის გაუარესება უშუალო შედეგია იმ ამოცანების დამახინჯებისა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს წარმოების ხარჯების შემცირების დარგში. თვითღირებულების შემცირება გამოიხატება კონკრეტულ და ხელშესახებ ციფრებით, მაშინ, როდესაც პროდუქციის ხარისხი არავითარი ციფრებით არ არის გათვალისწინებული გეგმებში. ასეთ პირობებში ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს მომხმარებლის მიმართ და ეს გულგრილობა გამოიხატება ფორმულით „ხუთქე, რახაც გაძლევენ“-ო. სამეურნეო მუშაკების ეს ნაწილი (არა მარტო სუსტი, არამედ ხელმძღვანელობისათვის აშკარად უვარგისი) დაადგა უმნიშვნელოვანესი ამოცანების მეტის მეტი გამარტივების გზას; მან საწარმოო პროცესის გაუმჯობესების გზით თვითღირებულების შესამცირებლად საჭირო მედგარი და ძნელი მუშაობა შესცვალა უფრო ადვილი „მეთოდებით“; თვითღირებულების შემცირებით, ნაწარმოების ხარისხის ხარჯზე.

უნდა მკაფიოდ ითქვას, რომ პარტია და მთავრობა არ შეიწყნარებენ და არ მოითმენენ თვითღირებულების შემცირებას ხარისხის გაუარესების გზით. კაპიტალისტური სისტემა ყოველნაირად იყენებს საქონლის დეფიციტს და გადიდებულ მოთხოვნილებას მაქსიმალური მტაცებლობისათვის და მომხმარებელთა გაძარცვისათვის საქონლის ხარისხის გაუარესების ხარჯზე. ჩვენი წყობილება დაფუძნებულია მშრომელი მომხმარებლის ინტერესებისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობაზე. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ულმობელად მოეპყრობიან იმათ, ვინც გზებდავს და არარად ჩააგდებს პროდუქციის ხარისხს.

საქონლის ხარისხს ჩვენ უნდა მოვუდგეთ როგორც ხელფასის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს. პროდუქციის ხარისხის დაქვეითება არსებითად წარმოადგენს მუშათა კლასის რეალური ხელფასის დაკლებას. პარტიამ პროლეტარული საზოგადოებრიობის მობილიზაცია უნდა მოახდინოს იმ დაუდევრობის, სამეურნეო ბიუროკრატიზმისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, რომლებთანაც დაკავშირებულია უვარგის ნაწარმოებთა დამზადება. მრეწველობის პროდუქციის ხარისხი სრულებითაც არ წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის უმნიშვნელო ფაქტორს. ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპი დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირ საქონელს და რანაირი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო მანქანას ვაწვდით სოფელს. მრეწველობის რევოლიუციონური, ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობის საქმეში შეუთავსებელია უყურადღებო დამოკიდებულებასთან მრეწველობის ნაწარმოებთა ხარისხისადმი.

პროდუქციის ხარისხის საკითხებისადმი გამწვავებული ინტერესი გამოწვეულია იმ მნიშვნელოვანი ზიანით, რომელსაც ხარისხის გაუარესება აყენებს მთელ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს. უვარგისი პროდუქციის შესახებ ჩივილი გაძლიერა არა მარტო სამომხმარებლო ბაზარმა, არამედ ინდუსტრიალური მშენებლობის ზოგიერთმა დარგმაც. სხვადასხვა სახის პროდუქციის გაუარესება აშკარად ეწინააღმდეგება მრეწველობის განვითარებას უფრო მაღალ ტეხნიკურ-საწარმოო საფუძველზე. ლითონისა და საამშენებლო მასალის ხარისხი თვალსაჩინოდ განსაზღვრავს მთელი კაპიტალური მშენებლობის მოწყობილობის ღირსებას და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტივობას. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, რომლებიც ამტკიცებენ ინდუსტრიალიზაციის ინტერესების შეუწყნარებელ შებღალვას პროდუქციის ხარისხის დარგში, შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი მაგალითები, რომლებიც ენათესავებიან მონოპოლისტური დახვევების მეთოდებს და რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე.

შეიძლება აღვიაროთ ამა თუ იმ ობიექტიური ფაქტორების არსებობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ხარისხის გაუარესებაზე, მაგალითად, მანქანა-იარაღების მოძველება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დაბალი ხარისხი და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არა სცვლის იმ შეურყეველ დებულებას, რომ ამ ფაქტების გარდა უდიდეს გავლენას ახდენენ სუბიექტიური პირობები, რომლებიც მოქცეულია წარმოებისა და გამგებლობის პროცესში,

რანაირია კონკრეტული გზები და მეთოდები ამ არასაღი ტენდენციების დასაძლევად, რომლებსაც ადგილი აქვთ პროდუქციის ხარისხის ფრონტზე? თუმცა დავალებები ხარისხის გაუმჯობესების დარგში ციფრობრივ ხასიათს არ ატარებენ და პროცენტული დამოკიდებულებით არ გამოიხატებიან, მაგრამ აქ უაღრესად საჭიროა, რომ სამეურნეო ორგანოებს სრულიად გარკვეული და კონკრეტული მოთხოვნილებანი წარუდგინოთ.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ენერგიულად გავაძლიეროთ მუშაობა სტანდარტის შესამუშავებლად. სტანდარტი არამც თუ აიაფებს წარმოებას, იგი არამც თუ ძვირფასი ნაწილებისა და დეტალების შეცვლის თვალსაზრისით, არამედ იგი პროდუქციის ხარისხის ნათელ განსაზღვრასაც გვაძლევს. მაშინ, როცა მრეწველობის განვითარების ტემპი სწრაფად იზრდება, ჩვენ უკან ჩამოვრჩით სტანდარტიზაციის დარგში, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა. ამ დარგის მუშაობის ტემპი აშკარად არ შეეფერება ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნილებებს.

თვით წარმოებაში გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ გამოშვებული პროდუქციის ტეხნიკური კონტროლი. ასეთი კონტროლი უნდა შეადგენდეს მთელი საწარმოო პროცესის ორგანიულ ნაწილს და არ უნდა დასჯერდეს ნაწარმოებთა განვითარების საბოლოო სტადიას, უნდა გადავიდეთ ისეთ წესზე, როდესაც შესაძლებელი იქნება სრული სისწორით გამოვარკვიოთ პროდუქციის ცუდი ხარისხის და გულგრილი კონტროლის კონკრეტულ დამნაშავეთა ვინაობა. ბოლოს, საჭიროა დავავალოთ ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ თვალყური ადევნონ იმ პროდუქციის ხარისხის მდგომარეობას, რომელსაც ქმნიან მათი ხელქვეითი საწარმონი.

მაგრამ, რასაკვირველია, უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ამოცანებს გავუძლებით მხოლოდ სამეურნეო აქტივის ძალებით, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი შეიძლება გადავჭრათ მხოლოდ განკარგულებებისა და დირექტივების გზით. აშკარაა, იმის წყალობით, რომ პროდუქციის ხარისხს საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ და არ აქცევენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, ფართო პროლეტარული საზოგადოებრიობა და მშრომელთა ფართო მასები, ამ დარგში ჩვენ გვაქვს უამრავი ნაკლი, რომელთა შესახებ ცნობებით აჭრელებულია ჩვენი პრესა.

პროდუქციის ხარისხს უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ფეხზე უნდა დავაყენოთ მუშათა და მშრომელთა მასები, რომლებიც უაღრესად დაინტერესებული არიან პროდუქციის ხარისხით, სულერთია, სამომხმარებლო ხასიათის პროდუქტები იქნება თუ საწარმოო ხასიათისა. კავშირი უნდა დავამყაროთ იმ ქარხნებს შორის, რომლებიც გვაძლევენ სათბობ საწვავ მასალას და სამრეწველო ნედლეულს, და იმ ქარხნებს შორის, რომლებიც ქმნიან მზა-მწარმოებელ პროდუქტებს. ამ კავშირს შეუძლია მოგვცეს უდიდესი შედეგები. ასეთივე თვალსაჩინო ნაყოფი შეიძლება მოგვცეს გლეხების დაკავშირებამ იმ ქარხნებთან, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. უკვე არსებობს ამის მაგალითი, თუ როგორ მიუთითებენ გლეხები მანქანების ამა თუ იმ კონსტრუქტიულ დეფექტებზე, მათს ნაკლზე და სხვა. საწარმოო თათბირების მუშაობაში ხარისხის საკითხებმა ისეთი ადგილი უნდა დაიჭირონ, რომელიც შეეფერება ამ საქმის დიდ მნიშვნელობას. ხარისხის საკითხებს ხელი უნდა მოჰკიდონ საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციებმა, პარტუჯრედებმა, სოფ.-საქ. კომიტეტებმა, და, პირველ ყოვლისა, მუშათა მთელმა აქტივმა, რომელიც ენერგიულად შეუდგა სოციალისტური შეჯიბრების გაშლა-განვითარებას. ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ კედლის გაზეთები, მსუბუქი კავალერია და მუშათა კონფერენციები.

მომხმარებლის დაცვაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის კოოპერაციას. იგი დღევანდლამდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა შეკავშირებულ მომხმარებლების მობილიზაციას საქონლის ხარისხისათვის საბრძოლველად. მშრომელი მომხმარებელი უმწეოდ არ უნდა გრძნობდეს თავს პროდუქციის ხარისხის გაუარესების დროს. სავალდებულოა და საჭიროა, რომ ყოველმა სიჩივრამ საქონლის ცუდი ხარისხის შესახებ სათანადო მიმართულება მიიღოს, რათა დამნაშავე სამეურნეო ორგანომ ეკონომიურად აგოს პასუხი თავისი მუშაობისათვის, რათა კოოპერაციის საშუალებით მომხმარებელს თავის განკარგულებაში ჰქონდეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე ორგანიზაციული ზედმოქმედების იარაღი.

ამ ამოცანას ჩვენ დავძლევთ მხოლოდ მაშინ, თუ ფართო მასები ჩაბმული იქნებიან შეჯიბრებაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თუ თვითონ მასები კონტროლს გაუწევენ პროდუქციის ხარისხს, თუ პარტიული, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები ენერგიულ ხელმძღვანელ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას იმიტომ, რომ მის შესრულებას მოითხოვენ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ინტერესები, სოციალისტური მშენებლობისა და პროლეტარული დიქტატურის საერთო ინტერესები.

„პრავდა“.

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

**რაჭა - ლეჩხუმის მაზრაში**

სას.-სამ. გადასახადის კამპანიას რაჭა-ლეჩხუმის მაზრა წელს გაცილებით უფრო მომზადებული შეხვდა, ვიდრე გასულ წელში.

სას.-სამ. გადასახადის ახალი კანონი წინასწარ ზედმიწევნით დაამუშავეს როგორც სამაზრო და სათემო პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ისე ღარიბთა ჯგუფებმა. ასევე ზედმიწევნით დაამუშავეს ზემდგომი ორგანოების ინსტრუქციები და ახსნა-განმარტებები. მაზრაში წინასწარ მოეწყო აღმრიცხველთა მოსამზადებელი კურსები, სადაც გამოწვეული იყვნენ თემკომების მდივნები და ადგილობრივი აქტიური მუშაკები. მსმენელებს ასწავლიდნენ როგორც კანონს და მის მიზნებს, აგრეთვე სას.-სამ. გადასახადის კამპანიის ყველა ტეხნიკურ მხარეებს.

კურსების დამთავრების შემდეგ, 23 მაისს, მაზრაში დაიწყო დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. აღმრიცხველებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდნენ მაზრის ინსტრუქტორები, გარდა ამისა, სამაზრო კომიტეტმა გამოყო პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც მიმაგრებული არიან თემებზე და ხელმძღვანელობენ საღრიცხვო კომისიების მუშაობას. ჯერ-ჯერობით აღრიცხვა მთლიანად დამთავრებული არ არის. მიღებულ ცნობების მიხედვით, აღრიცხვის წინასწარი შედეგები შემდეგია: ნათესების სივრცე ნაკლებია დაახლოვებით 10 პროც., რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გასულ წელს ნათესების სივრცე აღრიცხული იყო გადაჭარბებით, წელს კი აღრიცხვა სწორად სწარმოებს. მევენახეობა და მესაქონლეობა თითქმის უცვლელი რჩება, არამიწადმოქმედებითი შემოსავალი შემცირებულია დაახლოვებით 30 პროცენტით. ესეც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გასულ წელს ამ სახის შემოსავალიც გადაჭარბებით იყო აღრიცხული. აღრიცხვაში მოექცა ისეთი ხელოსნების შემოსავალიც, რომლებიც იხდიან სხვადასხვა გადასახადს და არ ევალებათ სას.-სამ. გადასახადის გადახდა; სოფლის მეურნეთა საერთო შემოსავლის აღრიცხვის დროს აღებული იყო მთელი შემოსავალი გასავლის (ნედლი მასალა და სხვ.) გამოუკლებლად; გასულ წელს აღრიცხვა და დაიბეგრა აგრეთვე მარტო სას.-სამ. იარაღების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, რაც არ უნდა დაბეგრილიყო. გარდა ამისა გასული საგადასახადო და საარჩევნო კამპანიების შემდეგ მაზრაში საგრძნობლად შემცირდა მევახშეობა და სხვადასხვა კულტმსახურება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში წელს საგრძნობლად შემცირებულია ხე-ტყის და ხარიტის წარმოება, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა არა მიწადმოქმედებითი შემოსავლის შემცირებაზე. რასაკვირველია, ადგილი აქვს შეძლებული გლეხობის მიერ დასაბეგრ ობიექტების გადამალვის ცდას. მაგრამ ამ მოვლენების წინააღმდეგ მიღებულია ზომები. დასაბეგრ ობიექტების სიების შემოწმებას აწარმოებენ ღარიბთა კრებებზე, სადაც სიებში შეაქვთ შესწორებები და ამხილებენ ობიექტების გადამალვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბი გლეხობა და საბჭოთა და პარტიული ორგანოები განსაკუთრებულ სიფრთხილით და ყურადღებით ეპყრობიან საგადასახადო კამპანიას და ეს გარემოება თავდებია, რომ კამპანია წელს მთლიანად წარმატებით დამთავრდება.

**დღეს, ივლისის 12-ს სასახლეში**

შესდგება

**საქ. სსრ ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა**

დასაწყისი დღის 12 საათზე.

საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართ. პ. მეგრელიშვილი

---

ძლიერი ნიაღვარი და წალეკავს ყველაფერს. აი, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენში ტყეების 90 პროცენტს, თუ მეტს არა, დაცვითი ხასიათი აქვს. ისინი იცავენ ჩვენს მდინარეებს, აწესრიგებენ მათ რეჟიმს და ხელს უწყობენ იმას, რომ კარგი ჰაერი იყოს. ამგვარად ჩვენი ტყეები უდიდეს როლს თამაშობენ კურორტებისათვის. ვითვალისწინებ რა ამას, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სერიოზული ზომების მიღება. მხოლოდ ლაპარაკით ტყეების ხშირ ექსპლოატაციაზე, მათ დაცვაზე წინ ვერ წავალთ. ჩვენი სპეციალისტები სატყეო საქმეში თითქოს გაიყინენ ერთ წერტილზე, ტყეების მტაცებლურად განადგურება კი გრძელდება.

ამ საკითხს ყურადღება მიაქციეს ჩვენმა წინანდელმა ყრილობებმა, მაგრამ აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ არა გვყავანან სატყეო საქმის ნამდვილი მცოდნენი. ისევე, როგორც ინჟინრებს ჩვენი მრეწველობისათვის ვიწვევთ საზღვარგარეთიდან, ჩვენ მოგვიხდება სატყეო საქმის მცოდნე რამდენიმე სპეციალისტების მოწვევა საზღვარგარეთიდან, ისეთი სპეციალისტების, რომლებსაც ეცოდინებათ ჩვენი რელიეფის მსგავსი სატყეო მეურნეობის საქმე.

აი, ამხანაგებო, ის, რაც შეეხება ტყეებს.

**ჩაის კულტურა**

ჩვენ გაძლიერებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩაის საქმის განვითარებას. ხუთი წლის დამლევისათვის უნდა გვქონდეს 31.000 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. ეს, ამხანაგებო, უდიდესი მიღწევაა. რა თქმა უნდა, ეს 31.000 ჰექტარი ნაყოფს გამოიღებს შემდგომ ხუთ წლიწადში. მე-2 ხუთი წ. დამლევისათვის ყოველწლიურად დამზადდება 21 მილ. კილოგრამი ჩაი, ანუ ომის წინადროინდელი მოხმარების 66 პროცენტი. ეს, ამხანაგებო, იმას მოწმობს, რომ ჩვენ ჩაით მალე არა თუ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ, არამედ შეიძლება კიდევაც გავიტანოთ იგი. აჭარისტანში, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში და აფხაზეთში ჩვენ გვაქვს 150.000—160.000 ჰექტარი ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მიწა, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს ამ კულტურის შემდგომ ზრდას. მეორეს მხრივ ჩვენ უზრუნველვჰყოფთ თავს უცხოელთა დამოკიდებულებისაგან.

**საკურორტო საქმე**

ამ საქმეს, ამხანაგებო, შედარებით მცირე ყურადღება ექცევა. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ საქართველოს შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების უდიდესი ნაწილი. საუცხოვო კლიმატიური სადგურები, მინერალური წყლები, მთის ჰაერი,—ყოველივე ამას შეუძლია საკურორტო საქმე ჩვენში ფართოდ განავითაროს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ითამაშებს. საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ამხანაგები ხშირად გვეკითხებიან, რას გაძლევენ თქვენ ეს კურორტებიო? და როდესაც ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ჩვენი მეურნეობისათვის კურორტები არაფერს არ გვაძლევენ, ისინი პირდაპირ გაკვირვებულნი რჩებიან. ავიღოთ, თუნდაც კურორტი წყალტუბო. ამ კურორტს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხეთ მისი ისე მოწყობა, როგორც საჭიროა. მართალია ამ ორი სამი წლის განმავლობაში იქ მიღწევებია, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ წყალტუბო ისეთ კურორტად გადაიქცეს, რის ღირსიც არის. არაფერს ვამბობ სხვა კურორტებზე, აბასთუმანზე, ბორჯომზე და სხ.

**ტურიზმი**

ამხანაგებო, მე მინდა მიგითითოთ ერთ ჩვენთვის სრულიად ახალ დარგზე, რომელსაც შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს, მაგრამ რომელსაც დღემდე ყურადღებას არ ვაქცევდით. ეს არის ტურიზმის განვითარება. ტურიზმისაგან სახალხო მეურნეობა უდიდეს სახსრებს ღებულობს, ჩვენში კი, სადაც ტურიზმის განვითარებისათვის ყველა წინასწარი პირობა მოიპოვება, ეს საქმე მთლად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ჩვენ მხოლოდ ეხლა ვფიქრობთ მივაქციოთ მას ყურადღება, ამიტომ საჭიროა მოკლე დროში დავამუშავოთ იგი, რათა მკვდარი წერტილიდან დავსძრათ ეს მნიშვნელოვანი საქმე.

ეხლა ამხანაგებო, მე მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავ, რომ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ისეთი სამუშაო, რომელიც თითქოს ჩვენი მრეწველობის გავლენის გარეშე რჩება. ეს ნაკლი ნაწილობრივ ამ ხუთი წლის განმავლობაში უნდა გამოსწორდეს, ხოლო ნაწილობრივ შემდგომ ხუთწლედში.

# გეგმას შევასრულებთ

ამხანაგებო, გვაქვს თუ არა ჩვენ ისეთი პირობები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას უზრუნველჰყოფენ? ერთ-ერთ პირობად მე მიმაჩნია დარაიონება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ საკითხებთან. დღემდე ჩვენი ორგანიზაციები დაქსაქსულნი იყვნენ. სამაზრო აღმასკომების ნაწილს არა ჰქონდა ბევრი ოპერატიული უფლება, რაც არსებითად უნდა ჰქონოდა. მაგრამ პატარა მაზრებისათვის ასეთი უფლებების მინიჭება მიზანშეწონილი იყო, ვინაიდან ეს კიდევ უფრო დაქსაქსავდა ჩვენს სახსრებს. ხოლო ოლქების სახით უფრო მძლავრი რაიონების შექმნა ხელს შეუწყობს როგორც მუშაკთა, ისე მატერიალურ სახსართა უკეთ გამოყენებას.

შემდეგ რა არის საჭირო ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად? ეს არის გეგმის პროპაგანდა და პოპულიარიზაცია ფართო პარტიულ და უპარტიო მასებში. მასების აქტივობა, მასების დაინტერესება—აი, ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველჰყოფს გეგმის განხორციელებას. მაგრამ ამ გეგმის განსახორციელებლად უმთავრესია ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობა და შეკავშირება.

პერსპექტივებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ხუთი წლის დამლევისათვის თვალსაჩინოდ შეიცვლება ჩვენი ეხლანდელი რუკის სახე. ჯერ ერთი, შეიქმნება ახალი სამრეწველო კერები, მეორე—მოხდება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ჩვენ ვღებულობთ პროლეტარული ბაზისის გაძლიერებას თვით თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში, ჭიათურაში და მრავალ სხვა ადგილას. მაშასადამე, თვალსაჩინოდ შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა. მაგრამ, ვიმეორებ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ სინამდვილეში რამდენად განვახორციელებთ ამ გეგმას. ერთი უცხოელი ჟურნალისტი ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ერთ გერმანულ გაზეთში სწერს შემდეგს:

„ეს არის ყველა დროის უდიდესი და ბევრნაირად თანამედროვე ექსპერიმენტი. არათუ ორიგინალური, არამედ, თავისებურიც. საწყალი ბებერი ევროპა! თუ ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდა, თუნდაც სამი მეოთხედით, მაშინაც უეჭველი იქნება საბოლოო გამარჯვება. ეს იქნება სოციალისტური მეთოდის გამარჯვება, „გამოუფიტავი“, რწმენისუნარიანი და ნიჭიერი ხალხის ძალების გამარჯვება“.

ამას ამბობს ბურჟუაზიული ჟურნალისტი ხუთწლიანი გეგმის გაცნობის შედეგად. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ბურჟუაზიულ მწერალზე ეს ჩვენი, მისი აზრით, ექსპერიმენტი. მე ვამბობ, რომ ჩვენ შევასრულებთ ამ გეგმას არა სამი მეოთხედით, არამედ დიდი გადაჭარბებით და ეს იქნება ჩვენი გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება და ამასთან ერთად ეს იქნება იმ ანდერძის შესრულება, რომელიც ლენინმა დაგვიტოვა. (ტაში).

# ღამის ცნობები

**ამერიკელ პიონერთა დელეგაცია**

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. 16 ივლისს მოსკოვს მიემგზავრება ამერიკელ პიონერთა დელეგაცია, რომელშიაც შედიან ფეიქართა, მეშახტეთა და საავტომობილო მრეწველობის მუშათა შვილები. მათ შორის არიან ზანგების შვილებიც. (ადს).

**თათბირი პეკინში**

პეკინი, 11 ივლისი. გუშინ აქ ჩამოვიდა ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-ჟენ-ტინი, რომელსაც თან ახლავს ჩინეთის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ჩუ-სიაო-იანი. გოვენის სააგენტოს მოჰყავს ვან-ჟენ-ტინის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ჩამოვიდა პეკინში ჩჟან-სიუე-ლიანთან მანჯურიის შესახებ ზოგიერთი დიპლომატიურ საკითხებზე სათათბიროთ.

თათბირზე ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად სდგას საკითხი იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა მანჯურიაში ხარბინის საბჭოთა საკონსულოში მომხდარი ჩხრეკის შემდეგ.

**ჩან-კაიში გაემგზავრა ნანკინში**

პეკინი, 11 ივლისი. გუშინ, ჩან-კაი-ში გაემგზავრა ნანკინში. ჩან-კაი-შის შემდეგ გაემგზავრა თავისი შტატით ჩჟან-სიე-ლიანი და ენ სი-შანი. (ადს).

**პოლიციის შეტაკება რიქშებთან**

პეკინი, 11 ივლისი. გუშინ, პეკინის მახლობელ უბანში ადგილი ჰქონდა შეტაკებას პოლიციასა და რიქშების კავშირის წევრთა შორის. შეტაკებისას რამოდენიმე კაცი დაიჭრა. პოლიციამ დააპატიმრა რიქშების კავშირის 4 წევრი. რიქშების კავშირის წევრმა ტყვეთ გაიტაცეს ერთი პოლიციელი.

**ენ-სი-შანის დეპეშა**

პეკინი, 11 ივლისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ენ-სი-შანმა ნანკინში გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ ნაციონალური მთავრობა მას მომავალში მისცემს შესაძლებლობას შეასრულოს ფინ-იუ-სიანისათვის მიცემული დაპირება საზღვარგარედ მასთან ერთად გამგზავრების შესახებ.

**საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება**

პარიზი, 11 ივლისი. ხელმოწერილია საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და არბიტრაჟის შესახებ. (ადს).

**ენ-სი-შანმა უარი განაცხადა**

პეკინი, 11 ივლისი. რეიტერის სააგენტო ცნობით, ენ-სი-შანმა უარი განაცხადა მიიღოს ჩინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთში მშვიდობიანობის დამყარების საქმეში მთავარი კომისარის თანამდებობა. მან თანხმობა განაცხადა დაიკავოს თავმჯდომარის პოსტი იმ საკონტროლო კომისიაში, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ფინ-იუ-სიანისა და შანსიელ ჯარების რეორგანიზაციის მსვლელობას. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

### ზ. ქემალედინ-ბეის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის მიერ ყარს-ერზრუმის რკინის გზის უფროსად დანიშნული ინჟ. ქემალედინ-ბეი, რომელიც მოვლენილია თბილისში თავის სამსახურთან დაკავშირებულ საქმეებზე.

### ამერიკაში მცხოვრებ ებრაელთა ექსკურსია

გუშინ დილით ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკაში მცხოვრებ ებრაელთა საექსკურსიო ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობით. ექსკურსანტების მიზანია საბჭოთა კავშირის გაცნობა და წარმოებული აღმშენებლობის დათვალიერება.

ექსკურსანტები თბილისში დარჩებიან რამოდენიმე დღეს.

### ავტომატიური ტელეფონი

ამიერ-კავკასიაში ავტომატიური ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 100 ათასი მანეთი.

### წყლის გადასახადის გაუქმების შესახებ

რადგანაც ობიექტიურ მიზეზების გამო ფაქტიურად შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე წყლის გადასახადის სრულად გატარება სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო განთავისუფლებულ იქნეს მიმდინარე 1928—29 წ. წყლის გადასახადის შეტანისაგან ქუთაისის, ახალციხის, კახეთის, გორისა და თბილისის მოსახლეობა, გარდა ყარაიაზის და ბორჩალოს რაიონებისა. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც დროებით შეჩერებული იქნება წყლის გადასახადის კანონი, უფლება მიეცა მელიორატიულ ამხანაგობებს გაანაწილონ სარწყავი არხებით მოსარგებლეთა შორის მათი ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები.

წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაამთავროს წყლის სისტემების ექსპლოატაციის საგასავლო ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მათი სამაზრო-საბიუჯეტო კომისიებში განხილვის შემდეგ წარუდგინოს ფინსახკომს.

### საქ. სამხედრო გზა-ტკეცილზე მიმოსვლა აღდგენილია

საქ. გზა-ტკეცილების სამმართველოს ცნობით, დიდი წვიმების და ნიაღვრების გამო შეწყვეტილი მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე, 11 ივლისიდან უკვე აღდგენილია. წვიმები შესწყდა და მდ. თერგშიაც წყალმა დაიკლო.

თბილისიდან 173 კილომეტრის მანძილზე უახლოესი სამი დღის განმავლობაში კიდევ იწარმოებს მგზავრების გადაჯდომა, ხოლო ამ ხნის განმავლობაში გზა სავსებით იქნება გაწმენდილი.

### თბილისის აღმასკომში

◆ ავლაბრის მუშათა ახალ სახლის ეზოში კომუნალური განყოფილება აწყობს ბაღს და აბანოს მდგმურებისათვის.

◆ ქუჩების შეკეთება-მოკირწყვლის საქმე გადაწყვეტილია ჩამოერთვას მოიჯარადრეებს და გადაეცეს არტელებს.

◆ ნაგვის საწვავი ღუმელები ეწყობა ლენინის უბანში და საბურთალოზე.

◆ ხიდის შეკეთება. აღმასკომმა დაადგინა საფუძვლიანად შეაკეთოს ავლაბრის ხიდი.

◆ მტკვრის ნაპირების გამაგრება. წყალდიდობისაგან დასაცავად გადაწყვეტილია რიყეს რაიონში მტკვრის ნაპირების გამაგრება.

### შრომის კომისარიატში

◆ მშენებელთა მოსამზადებელ კურსების საჭიროებისთვის შრ. სახ. კომისარიატმა გადასდო 1200 მანეთი.

◆ შრომის ბირჟის გამგის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ნემსაძე.

◆ შრომის პირობები. შრ. კომ. დაადგინა გამოიკვლიოს მეეზოვეთა ჯანმრთელობა და შრომის პირობები.

◆ კვალიფიციური მუშები: შრ. კომისარიატმა დაადგინა მომავალ საამშენებლო წლისათვის მოამზადოს სხვადასხვა დარგის 800 კვალიფიციური მშენებელი.

### სხვადასხვა

◆ ახალი ქარხანა. მომავალ წლიდან თბილისში დაიწყება აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ დიდი ქარხნის აგება.

### „ქართული მწერლობა“

გამოვიდა ჟურ. „ქართულ მწერლობა“-ს მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: **გრიგოლ რობაქიძე**—ჰაისტან, **სიმონ ჩიქოვანი**—ქართველი მწერლები სომხეთში, **ალ. აბაშელი**—ახალგაზრდებს, **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—წმენდის კანდიდატი, **ეკატერინე გაბაშვილი**—გატეხილი პური, **ალექსანდრე პუშკინ**—„ევგენი ონეგინი“-დან (თარგ. გრიგოლ ცეცხლაძის), **კონსტანტინე გამსახურდია**—დიდი იოსები, **რაჟდენ გვეტაძე**—რამაზის მეორე წერილი ბაბუას, **საფო მგელაძე**—ქობულეთი, **ვიქტორ გაბისკირია**—ერთი დღე რიონთან, **იონა ვაკელი**—პოემა საბჭოთა დღეებზე. **ვარლამ ჟურული** — პოეტი, **პეტრე სამსონიძე**—პირველი კრება, **წერილები ხ. ჯ.**—სერგო გორგაძე, **შ. დუდუჩავა**—ლადო გუდიაშვილი, **ს. ჩიქოვანი**—ბელეტრისტიკის სიკვდილი, **ი. ერენბურგი**—საქართველო, **დ. კარიჭაშვილი**—ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, **პ. გუგუშვილი**—შენიშვნები მეფის ცენზურისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. **ბიბლიოგრაფია: უ. ორდოელი**—ვასილ ბარნოვი, „ტფილისის აჩრდილები“, **ვ. გორგაძე**—ლ. ტოლსტოი. „ჰაჯი მურატი“, ქრონიკა.

## 50 მილიონიანი უპროცენტო სესხი

საკავშირო მთავრობამ მიმდინარე წლის აპრილში გამოუშვა 1929 წლის 50 მილიონიანი უპროცენტო სესხი, რომელსაც 1926 წელს გამოშვებულ ასეთივე უპროცენტო სესხთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს.

მაგალითად ამ ახალი სესხის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მასში მოგებათა რაოდენობა უფრო მეტია, 1926 წლის სესხის 250 ობლიგაციაზე მოდიოდა ერთი მოგება. ახალ სესხში კი ერთი მოგება მოდის 89 ობლიგაციაზე. გარდა ამისა მოგების დროს მომგები, მოგებული თანხის გარდა მიიღებს ობლიგაციის სრულ ღირებულებას.

ახალი სესხი უმთავრესად გამოცემულია თავისუფალი პროფესიის პირთა და აგრეთვე იმ მოსამსახურეთა შორის გასავრცელებლად, რომელნიც დიდ ხელფასს იღებენ.

საქართველოს პროფსაბჭომ ახალი სესხის გავრცელების შესახებ ცირკულიარული მიწერილებები დაუგზავნა ცალკე კავშირების ცენტრ. გამგეობებს, რომელთაც ევალებათ თავიანთი ძირითადი ორგანიზაციების საშუალებით ჩაატარონ კამპანია მაღალ ხელფასიან მოსამსახურეთა შორის, გააცნონ მათ სესხის პირობები და შეუდგინონ ობლიგაციების გავრცელებას.

მაღალ ხელფასიან მოსამსახურეთა შორის ობლიგაციების გავრცელება იწარმოებს წინასწარი ხელის შეწყობით და გამოწვევის სახით.

## თათბირი საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხებზე

გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა იუსტიციის ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა და პროფსაბჭოს მუშაკების თათბირი, რომელმაც განიხილა აღნიშნულ კომისარიატებზე მუშათა ბრიგადების მიმაგრების საკითხი.

პირველ რიგში საბჭოთა აპარატის წმენდა დაიწყება აღნიშნულ კომისარიატებში. ამიტომ თათბირმა აუცილებლად სცნო მიმაგრებული იქნეს ამ უწყებებზე მუშათა ბრიგადები, რომლებიც ივლიან დაწესებულებებში და პრაქტიკულად შეისწავლიან მათ მუშაობას. შემდეგში ეს ბრიგადები დაიჭერენ წმენდის გამო განთავისუფლებულ ადგილებს.

მუშათა ბრიგადები მიმაგრებული იქნებიან როგორც კომისარიატების კოლეგიებზე, ისე განყოფილებებზე და ცალკე ერთეულებზე. თათბირის დადგენილებით სულ მიმაგრებული იქნება შრომის კომისარიატზე—42 კაცი, ფინსახკომზე—48 და იუსტიციის კომისარიატზე—57. აღნიშნულ კომისარიატებს გარდა წმენდა პირველ რიგში ჩატარებული იქნება აგრეთვე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში. აღნიშნული კომისარიატში გასაგზავნ მუშების რიცხვი თათბირს არ განუსაზღვრავს, ვინაიდან თათბირს არ დასწრებია მიწსახკომის წარმომადგენელი.

გარდა დაწესებულებებზე მიმაგრებისა, მუშათა ბრიგადებისა დაწინაურებულ მუშებისათვის მოწყობილი იქნება სპეციალური კურსები, რომლის პროგრამის დამუშავება მინდობილი აქვს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად.

## სათევზაო წყლების ექსპლოატაცია

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის, „ცეკავშირი“-ს, მიწადმოქმედების, სახ. კომისარიატის და სარეწკოოპკავშირის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე განიხილეს საქართველოს სათევზაო წყლების ექსპლოატაციის საკითხი. თათბირმა საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას საქართველოს სათევზაო წყლების ექსპლოატაცია და მაღალ ხარისხოვანი ჯიშის თევზების ხელოვნურად მოშენება. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს ეთხოვა შეისწავლოს სათევზაო წყლების ექსპლოატაციის საკითხი და თევზის ექსპორტის შესაძლებლობანი. გამოარკვიოს რამდენად შესაძლებელია ახალი და მაღალი ხარისხის თევზების მოშენება და ამ მიზნისთვის ხელოვნური აუზების მოწყობა სახნავ-სათესად გამოუსადეგარ მიწებზე.

შავი ზღვის ნაპირებზე, პალიასტომის და ტაბისყურის ტბებზე და დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე, თევზაობის მწარმოებელ ორგანიზაციად ვიწნეული იქნა საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ხელოვნური თევზთსაშენის მოწყობის, მდინარეების( ტბების და შავი ზღვის ნაპირების ექსპლოატაციის გეგმა, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან და დაამტკიცოს უმაღ. ეკონ. საბჭომ.

მეთევზეთა არტელების მოწყობის საკითხში სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა უნდა შეუთანხმდეს სარეწკოოპკავშირს. საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას დაევალა აგრეთვე ამ თავითვე შეიმუშაოს თევზის კონსერვების მოწყობის საკითხი და პირველი წლიდანვე შეუდგეს თევზის კონსერვების მზადებას. დამზადებული თევზის რეალიზაცია დაევალა ცეკავშირს, რომელიც ამ საკითხის შესახებ უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ეთხოვა მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ამ საქმის მოსაგვარებლად და საწარმოებლად საჭირო თანხები.

## ზეთის მომცემ მცენარეთა მოშენება

საქართველოს მოსახლეობის საჭმელი ზეთით უზრუნველყოფის საკითხის მოსაგვარებლად ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა ამავე სამმართველოს და საპონ-ზეთის ტრესტის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ მოსახლეობის საჭმელის ზეთით უზრუნველსაყოფად უპირველესად ყოვლისა საჭიროა საქართველოში გაძლიერებულ იქნას ზეთის მომცემ მცენარეთა მოშენება და ამ მცენარეულობის მოსავლის ადგილზე გადამუშავების მოწყობა.

ამჟამად საქართველოში ზეთის მომცემ მცენარეთაგან გავრცელებულია მზესუმზირა, სოია, წიფლის ნაყოფი და სელი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა დაამუშაოს აღნიშნულ კულტურათა (მზესუმზირა, სოია და სელი) ნათესების გაფართოების შესაძლებლობა და გამოარკვიოს, თუ რომელ რაიონში რომელი კულტურა უფრო ივარგებს. თათბირმა საჭიროდ სცნო მზესუმზირას ნათესების გაფართოება კახეთისა და თბილისის მაზრებში, რა მიზნითაც შემუშავებული უნდა იქნას გეგმა. შემუშავებული უნდა იქნას აგრეთვე მთელ საქართველოში წიფლის ნაყოფის დამზადების გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სახკომსაბჭოს.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა დაამუშაოს საქართველოში დამზადებულ ზეთის მომცემ მცენარეულობის მთლიანად გადამუშავების შესაძლებლობის საკითხი და გამოარკვიოს ცალკე კულტურათა გადამუშავების თვითღირებულება. საჭმელის ზეთის დასამზადებლად პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნან კახეთისა და ახალციხის მაზრებში არსებული სხვადასხვა წარმოებანი და გამოირკვეს თუ რამდენად არიან ეს წარმოებები უზრუნველყოფილი ადგილობრივი ნედლი მასალით. თათბირმა აგრეთვე საჭიროდ სცნო დამუშავდეს სამხრეთ-ოსეთში სელის ნათესების გაფართოების შესაძლებლობა. თვითეულ ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ამოცანების განხორციელებაში, დაევალა გამოარკვიონ ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო თანხების რაოდენობა.

## კოოპერატიული ორგანიზაციების უთავბოლობა

### შაქრის განაწილების საქმეში

ამას წინად თბილისის სამომხმარებლო კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარუდგინეს მორიგი თვის შაქრის ნორმის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებათა თანახმად პურის წიგნაკების მიხედვით მუშკოოპის წერტებიდან შაქარს ღებულობს 225.847 კაცი, „ზაკტპო“-ს წერტებიდან 52.852 კაცი, ხოლო „ზაკვოენპო“-ს წერტებიდან 43.476 კაცი. ამრიგად, კოოპერატიული ორგანიზაციების ცნობით, პურის წიგნაკების მიხედვით თბილისში შაქარი ეძლევა 322.175 კაცს (?), მაშინ როდესაც თბილისში მცხოვრებთა მთელი რაოდენობა არ აღემატება 312.000 კაცს, 1 ივნისს კი მუშკოოპის პურის დუქნებზე მიმაგრებული იყო სულ 179.000 კაცი.

თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია დაინტერესდა თუ როგორ შეიმუშავეს კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ეს სიები ან რა წყაროთი სარგებლობდნენ მოთხოვნილების წარმოდგენის დროს და შერჩევით გამოიკვლია ზოგიერთ კოოპერატიულ დუქნებზე მიმაგრებულ მოქალაქეთა რაოდენობა.

მუშკოოპის გამგეობის ცნობით მუშკოოპის ცენტრალურ მაღაზიაზე (პლეხანოვის პროსპექტის და ჟორესის ქუჩის კუთხე) მიმაგრებულია 8.350 კაცი. ამავე მაღაზიის ცნობით კი აქედან შაქარს ღებულობს (პურის წიგნაკით) 6.637 კაცი. ამრიგად, ამ დუქნისთვის მუშკოოპის გამგეობამ მოითხოვა 1.713 კაცის ნორმა მეტი შაქარი. გამგეობის ცნობით, მაღაზია № 3-ზე მიმაგრებულია 5.525 კაცი, მაღაზიის ცნობით კი—6.802 კაცი. ე.ი. ამ შემთხვევაში გამგეობას მოუთხოვნია 1.277 კაცის ნორმით ნაკლები ვიდრე ეკუთვნოდა, ასეთივე არა სწორი ცნობები არის წარმოდგენილი სხვა მაღაზიების შესახებ.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია ამ მხრივ „ზაკტპო“-ს და „ვოენპო“-ს მიერ წარმოდგენილი ცნობები: მაგ. „ზაკტპო“-ს გამგეობის ცნობით მაღაზია № 5-ზე მიმაგრებულია 2.582 კაცი, ხოლო ესავე მაღაზია აცხადებს, რომ იგი პურის წიგნაკებით შაქარს აძლევს—3.017 კაცს, ე.ი. ამ შემთხვევაში „ზაკტპო“-ს ამ მაღაზიისათვის მოუთხოვნია 435 კაცის ნორმით ნაკლები შაქარი. შეგვეძლო კიდევ ბევრი „მარგალიტი“ მოგვეყვანა ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების სტატისტიკის „უაღრესი სისწორის“ დასამტკიცებლად, მაგრამ ესეც კმარა. ჩვენ არ შეუდგებით იმის გამორკვევას, თუ ვინ არის დამნაშავე ამაში — ძირითადი ქსელის მუშაკები თუ გამგეობა. აშკარაა ერთი რამ: ჩვენ კოოპერატიულ ორგანიზაციებს აქამდე ვერ შეუგნიათ თავისი მოწოდება საქონლის განაწილების საქმეში. ჩვენ გვგონია, რომ ამ საქმეს დაწვრილებით გამოიკვლევს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ნ.

# რა ხდება ადგილებზე

### ავანსები მთესველებს

**ქუთაისი,** 10 ივლისი. სიმინდის კონტრაქტაციის ანგარიშში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ მთესველებს ავანსად დაურიგა 2.952 მანეთი, 16 ტონა თივა, დაახლოვებით 15 ტონა ბზე და 11 ტონაზე მეტი საკვები სიმინდი. (ადს).

### მზადება შემოდგომის თესვის კამპანიისათვის

**გურჯაანი,** 10 ივლისი. თესვის კამპანიის გეგმა ითვალისწინებს შემოდგომის ნათესის გადიდებას 7 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობის—4 პროცენტით. შემოდგომის თესვის კამპანიის დროს დაითესება 74.000 ჰექტარი, კონტრაქტაციის გატარება განზრახულია 4.500 ჰექტარზე, აქედან 1500 ჰექტარი უნდა იქნეს მწკრივად ნათესი. (ადს).

### სახურავი ფიქალის ბუდობები

**გურჯაანი,** 10 ივლისი. სოფელ საბუეს რაიონში დაიწყო სახურავი ფიქალის ბუდობების საცდელი დამუშავება. ეს ბუდობები ჯერ კიდევ შარშან აღმოაჩინეს. დამუშავება აშკარავებს ფიქალის მაღალ ხარისხს. ფიქალით დაიხურება ყველა ახალი შენობა, რაც კი გურჯაანში შენდება. (ადს).

### საბჭოთა მეურნეობების შეჯიბრება

**გურჯაანი,** 10 ივლისი. წინანდალის სახალხო მამულმა დასდო ხელშეკრულება ვარციხის (იმერეთშია) მამულთან მეღვინეობისა და მევენახეობის საუკეთესოდ დაყენებაზე, კერძოდ პროდუქციის გაუმჯობესებისა და გაიაფებაზე.

სოფლის კავშირის სანერგეებმა გამოიწვიეს ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა ამერიკული ვაზის სანერგეების პროდუქციის გაუმჯობესებაზე.

## საქართველოს ჰიდრო-სადგურების გაერთიანება

ამჟამად სწარმოებს მუშაობა საქართველოს ჰიდრო-ცენტრალის პროექტის შესადგენათ. პროექტის დასამუშავებლად საჭიროა რთული გამოკვლევების ჩატარება, ვინაიდან ახალ ჰიდრო-ცენტრალში უნდა გაერთიანდნენ საქართველოში აგებული თითქმის ყველა მძლავრი ჰიდრო-ელექტრო სადგურები. პირველ რიგში ჰიდრო-ცენტრალის ქსელში შევლენ—ზაჰესი, რიონჰესი და თოფარავანის ჰიდროელექტრო სადგური. აღნიშნული სადგურების გაერთიანების შემდეგ მიღებული იქნება 174.000 ცხენის ძალის ელექტრო-ენერგია, საიდანაც ზაჰესის წილზე მოვა 34.000 ცხენის ძალა, რიონჰესზე—60.000 ცხ. ძალა და თოფარავანის სადგურზე—100.000 ცხენის ძალა.

ჰიდრო-ცენტრალი ენერგიას მიაწოდებს როგორც მძიმე ინდუსტრიის წარმოებებს (ფერო-მარგანეცის მრეწველობა, ლითონის მრეწველობა და სხ.), ისე მსუბუქ ინდუსტრიასაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფერო-მარგანეცის მრეწველობის უზრუნველყოფას იაფი ენერგიით. მრეწველობის განვითარების 5 წლიანი გეგმის თანახმად ფერო-მარგანეცის ქარხანამ მუშაობა უნდა დაიწყოს 1932—33 წლიდან; ამავე ხნიდან დაიწყება ფერო-მარგანეცის ექსპორტი და მისი მოწოდება საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის. ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებამდე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს თბილისში მოაწყოს ფერო-მარგანეცის დამამზადებელი საცდელი ქარხანა.

საქართველოს ჰიდრო-ცენტრალში, გარდა სამი უდიდესი ჰიდრო-ელსადგურისა, გაერთიანებული იქნებიან აგრეთვე აბჰესი და აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგური. ჰიდრო-ცენტრალის მთავარი მაგისტრალური ხაზები ერთმანეთს შეხვდებიან სურამის უღელტეხილის რაიონში, რითაც შესაძლებელი იქნება სურამის საუღელტეხილო რკინის გზის ხაზის ელექტროფიკაცია.

ჰიდრო-ცენტრალის მოსაწყობათ საჭირო გამოკვლევების დასაჩქარებლად, საკავშირო ს. მ. უ. ს. ელექტრონის მთავარმა სამმართველობამ დამატებით გადასდო 120.000 მანეთი. აღნიშნული თანხით გამოკვლევები უნდა ჩატარდეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაშივე.

## ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელისმომწერლებმა ობლიგაციების საფასურის უკანასკნელი ნაწილი უნდა შეიტანონ 15 ივლისამდე.

ზოგიერთმა წარმოება-დაწესებულებამ უკვე გადაიხადეს თავიანთ მუშა-მოსამსახურეთა ხვედრი ფული და გამოიტანეს ობლიგაციები. ობლიგაციები დაურიგდათ ხელისმომწერლებს, რომელთა უმრავლესობამ ობლიგაციები კოლექტიურად მიაბარეს შემნახველ სალაროებს.

აღსანიშნავია, რომ ზოგმა წარმოება-დაწესებულებამ მუშა-მოსამსახურეებისაგან შეგროვილი ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები გაიხმარეს თვით მუშა-მოსამსახურეთა შვებულებებში გაგზავნის საქმეზე.

წარმოება-დაწესებულებებმა, რომლებმაც ამ მიზეზით დააგვიანეს ფულის შეტანა, შუამდგომლობა აღძრეს ფინსახკომის წინაშე ფულის გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ.

ფინსახკომმა დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა და დაადგინა: იმ წარმოება-დაწესებულებას, რომლებმაც ობლიგაციების ფული მოიხმარეს მუშა-მოსამსახურეთა შვებულებისათვის, ობლიგაციების გამოსყიდვის ვადა გაუგრძელდეთ 1 აგვისტომდე.

დანარჩენი წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები უკლებლათ შეიტანონ 15 ივლისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში.

ამჟამად გრძელდება სახელმწიფო სესხების, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შენარჩუნების კამპანია.

ამ მიზნით ადგილებზე ტარდება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზედაც გამოაქვთ დადგენილებები ობლიგაციების შემნახველ სალაროებში კოლექტიურად მიბარების შესახებ.

ობლიგაციების კოლექტიურად შენახვა ზოგიერთებში იწვევს გაუგებრობას, ვითომ იმათ, რომლებმაც კოლექტიურად მიაბარეს ობლიგაციები სალაროებს, საჭიროების დროს არ შეეძლებათ ინდივიდუალურად ობლიგაციების უკან დაბრუნება.

ა.-კ. ფინსახკომის განმარტებით ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა.

ყოველ მუშა-მოსამსახურეს შეუძლია, რომ მიბარებული ობლიგაცია სალაროდან გამოიტანოს როცა მას უნდა.

ერთი სიტყვით მათ შეუძლიათ ობლიგაციები დააგირაონ ან გაჰყიდონ.

შენახულ ობლიგაციებს, შემნახველი სალაროები, სესხების ტირაჟების გათამაშების დროს ამოწმებენ ოფიციალურ ცხრილთან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ობლიგაციას ხვდა მოგება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ ობლიგაციის პატრონს.

## საქ. პროფსაბჭოში

### მუშათა დელეგაციის გაგზავნა ბაქოში

ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცების მიზნით, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გაიგზავნოს პირველ აგვისტოსთვის ბაქოში საქართველოს მუშების დელეგაცია 100 კაცის შემადგენლობით.

თავის მხრივ საქართველოს პროფსაბჭო იწვევს ბაქოს მუშების დელეგაციას, რიცხვით 1000 კაცს.

დელეგატები არჩეული იქნებიან მუშების საერთო კრებებზე და დაბრუნების შემდეგ ანგარიშს ჩააბარებენ ამომრჩევლებს.

### მუშები შრომის კომისარიატის ორგანოებში

გუშინ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც შრომის კომისარიატის წარმოებებთან დაახლოვების მიზნით დაადგინა შეყვანილ იქნენ შრომის კომისარიატის კოლეგიაში დაზგის მუშები და შრომის დაცვის განყოფილებასთან დაარსებული იქნეს მუდმივათ მომქმედი შრომის დაცვის სექცია, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ დაზგის მუშები. სექცია განიხილავს შრომის დაცვის ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივ შეუძლებელია.

პრეზიდიუმი დაეთანხმა შრომის კომისარიატის პროექტს იმის შესახებ, რომ შრომის კომისარიატის კოლეგიის სხდომები გადატანილი იქნეს წარმოებებში. სხდომები გაიმართება თვეში ერთხელ.

### ანარიცხები აღმასკომის სასარგებლოდ

ქალაქის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით მუშათა კლუბების ბუფეტებსა და სასადილოებში თითეულ მაგიდას, რომელსაც დანახარჯი ექნება, 1 მ. 50 კ. მეტი, უნდა გადახდეს აღმასკომის სასარგებლოდ ამ თანხის ზევით დახარჯულ ჯამის 15 პროც.

ვინაიდან კავშირებმა უარი სთქვეს ამ დადგენილების გატარებაზე, აღმასკომი დაემუქრა მათ ადმინისტრატიული ზომებით.

ეს საკითხი გუშინ განიხილა პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც ყოვლად დაუშვებლად სცნო ასეთი ანარიცხების დაწესება.

## სოცუზრუნველყოფის სახ'ლხო კომისარიატში

— **პენსიების შეჩერება.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა ყველა იმ პირებს, რომლების საქმეებში არ აღმოჩნდა განსაკუთრებული დამსახურების და მოღვაწეობის დამადასტურებელი საბუთები, მათ მიერ საბუთების წარმოდგენამდე, პენსიების მიცემა შეუჩერა.

—**რამდენი დაჯდა საინვალიდო სახლებში მოთავსებულ ინვალიდების შენახვა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გასულ თვეში (ივნისში) თბილისში არსებულ საინვალიდო სახლებში მოთავსებულ ინვალიდების შესანახავად დახარჯა 7.000 მანეთი.

—**1929—30 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა 1929-30 წლისათვის შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და განსახილველად წარუდგინა ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ამ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია საქართველოში სოც. უზრუნველყოფის საქმისათვის დაიხარჯოს 800.955 მანეთი.

## ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება

თბილისის იპოდრომზე დაიწყო კავკასიის წითელდროშოვან არმიის ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამიერ-კავკასიის ყველა ცხენოსან ნაწილების წითელარმიელები, უმცროსი და უფროსი მეთაურთა შემადგენლობა.

**სურათზე: ბარიერზე გადახტომა.**

## რკინისგზებზე

### მოძრაობის სისწრაფის ნორმები

რკინის გზათა სამმართველომ დააწესა მატარებლების მოძრაობის სისწრაფის ნორმები: მთავარ ხაზზე მატარებლის შემადგენლობის მიხედვით მატარებლის მოძრაობას საზღვრითი სისწრაფე ქანაობს 35-დან 60 კილომეტრამდე საათში პეტროვსკის ხაზზე სამგზავრო მატარებლებისთვის დაწესებულია საათში მაქსიმუმ 70 კილომეტრი. დანარჩენ ხაზებზე და შტოებზე მატარებლების მოძრაობის სისწრაფე ქანაობს 25-დან 50 კილომეტრამდე.

### სამუშაოების დაგვიანება

ბაქოს მთავარ სახელოსნოების საწარმოო თათბირის დადგენილების თანახმად გზათა სამმართველომ ამ სახელოსნოების სხვადასხვა სამუშაოთათვის გადასდო 2.400 მანეთი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხა უკვე გადაეცა უბნის უფროსს, იგი აქამდე არ შესდგომია საწარმოო თათბირის მიერ დასახულ სამუშაოების შესრულებას. გზათა სამმართველომ მიიღო ზომები საწარმოო თათბირის მიერ დასახულ სამუშაოების დროზე შესასრულებლად.

### სამტრედიის მაცივარი

სამტრედიის მაცივარის ნაწილობრივი ექსპლოატაცია უკვე დაიწყო.

ამჟამად მაცივარში ამუშავებულია: ყინულის ქარხანა, წინასწარ გამაცივებელი დროებითი სადგური და ახალი ბოსტნეულის, ხილის და თევზის შესანახი კამერა.

### საცდელი მატარებელი

გუშინ დილის 10 საათზე საცდელი მატარებელი გაემგზავრა სადგურ ხაშურში.

### დაჯახება

10 ვლისს განჯის დეპოს ხაზებზე ერთმანეთს დაეჯახა ორი ორთქლმავალი, რომლებიც ნაწილობრივად დაზიანდენ, დაჯახების გამო საჭირო გახდა ერთ-ერთ საბარგო მატარებლის გაუქმება, რამაც ნაწილობრივ გავლენა მოახდინა მატარებლის მიმოსვლაზე.

## სასამართლო

### სოციალურად საშიში პირები

გორის სამაზრო სასამართლომ გაასამართლა ყაჩაღები: **იასონ ხმიადაშვილი, მამედ ფერულიძე, ესტატე ნავროზაშვილი და პეტრე თადეევი.**

დასახელებული პირები გაძარცვის მიზნით ამა წლის 4 ივნისს თავს დაესხენ ადგილობრივ ერთ - ერთ არტელის ხელმძღვანელ თ. ხონელიძის ბინას. დააღრჩვეს ხონელიძის ნათესავი ნაცვლიშვილი და ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით ხონელიძის სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

**ხმიადაშვილს და ფერულიძეს** როგორც სოციალურად საშიშ პირებს, სასამართლომ მიუსაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა მათი ქონების კონფისკაციით.

ნავროზაშვილს და თადეევს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით.

მსჯავრდადებულებმა განაჩენი გაასაჩივრეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გერ.

## შემთხვევები

### თვითმკვლელობის განზრახვა

ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე მარიამ ივანეს ასულმა მინდიაშვილმა (არდაგანის ქ № 5) თვითმკვლელობის მიზნით დაირტყა რევოლვერი, მაგრამ ტყვია ასცდა.

### დაჯახება

ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი მე-12) რიყის ქუჩაზე დაეჯახა ვერა გიორგის ასულს ამირხანოვას და დააშავა. ვატმანი იულიჩ-ოღლი დაპატიმრებულია.

### გამოტყუება

კარაკლისიდან ჩამოსულ კარაპეტ ამბარცუმის ძე გამბაზაროვს ორმა ბოროტმოქმედმა ნიკ. ბარათაშვილის ქუჩაზე აფერისტული გზით გამოსტყუა 130 მანეთი.

### ფოტო-აპარატების მოპარვა

გაქურდეს სახმედვაჭრობის № 1 მაღაზია (თავისუფლების მოედანი), საიდანაც წაიღეს 300 მანეთის ფოტო-აპარატები.

### დაჭრა

მტკვრის პირას, ივანე პეტრეს ძე ტუტანიძემ სანადირო თოფით მოულოდნელად დასჭრა ალექსანდრე ნიკიტას ძე აკოპოვი.

### ქურდობა

გაქურდეს ლევან არაქელოვის ბინა (მეორე სამილიციო უბანი), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—მოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს კაზარ კაზაროვის ბინა (გუნიის ქუჩა № 72), წაიღეს 80 მანეთის ტანსაცმელი.

# ფეხბურთი

### ოდესა - თბილისი

გუშინ ოდესელ ფეხბურთელებს პირველი შეჯიბრება ჰქონდათ თბილისის „დინამო“-ს მეორე გუნდთან.

თბილისის დინამოს ახალგაზრდა მოთამაშეებმა (გუნდი რამდენიმე თვეა რაც დაარსდა) ვერ გაუძლეს ოდესელ ფეხბურთელების იერიშებს და შეჯიბრება წააგეს 3:0.

—:—

ოდესის „დინამო“ პირველად გამოდის ამიერ-კავკასიაში. გუნდი თბილისში ჩამოვიდა კიევიდან, სადაც იგი მონაწილეობას იღებდა „დინამო“-ს სრულიად უკრაინის სპარტაკიადაზე. სპარტაკიადაზე გათამაშებული იქნა უკრაინის „დინამოს“ პირველობა მოტო-ველო ცხენოსნურ სპორტში და ფეხბურთში.

ფეხბურთის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა უკრაინის 20 ოლქი, მათ შორის ხარკოვი, კიევი, ოდესა, ნიკოლაევი, დნეპროპეტროვსკი და სხვა ქალაქები. პირველობის გათამაშება სწარმოებდა ოლიმპიური სისტემით.

ოდესელ ფეხბურთელებს პირველ დღესვე მოუხდათ შეჯიბრება დონბასის ერთ-ერთ გუნდთან; შეჯიბრება მოიგეს 7:1. მეორე დღეს მათ წინააღმდეგ გამოვიდა უკრაინის უძლიერესი გუნდი—ხარკოვის „დინამო“ (ცხრა მოთამაშე ამ გუნდიდან შედის უკრაინის ნაკრებ გუნდში), რომელმაც მოუგო ოდესის „დინამო“-ს 3:1. დამარცხების შემდეგ ოდესის „დინამო“ გამოვიდა პირველობის გათამაშებიდან.

ოდესელ ფეხბურთელების გადმოცემით, უკრაინის პირველობის უძლიერესი პრეტენდენტებია ხარკოვი და კიევი. კიევის „დინამო“ უკანასკნელ ხანებში ძალიან გაძლიერდა. მას მიემატა ხუთი მოთამაშე ოდესიდან და ორი თბილისიდან (პეჩიონკინ და შულცე). გაძლიერდა დნეპროპეტროვსკის „დინამოც“, რომელსაც აგრეთვე მიემატა რამდენიმე ახალი მოთამაშე (სხვათა შორის ამ გუნდში თამაშობს თბილისელი მოთამაშე ა. ჟორდანია). სპარტაკიადაზე დნეპროპეტროვსკის და კიევის გუნდებს შორის მოხდა ინციდენტი. მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ერთი დნეპროპეტროვსკელი მოთამაშე (ა. ჟორდანია); გუნდმა მისი გაძევება უკანონოდ ჩასთვალა და მიატოვა თამაში. მინდვრის თვითნებურად მიტოვებისათვის, მსაჯთა კოლეგიამ დაადგინა დამარცხებულად ჩასთვალოს დნეპროპეტროვსკის „დინამო“.

ოდესის „დინამო“-ში, რომელიც ოთხი შეჯიბრებისათვის ეწვია თბილისს, შედიან: მეკარე —გლებოვი, ბეკები— პოპოვი და ტროფიმოვი, ხავბეკები—მურაშევი, მაკაროვი და კუზნეცოვი, ფორვარდები — ბოროდინი, ფისარენკო (უფროსი), კოვალი, გოზრიკოვი და ეეკროვი.

სათადარიგო მოთამაშეები: ბროდსკი, ფისარენკო (უმცროსი) და ვოლოჩკო.

გუნდს ჩამოჰყვა ოდესის „დინამო“-ს წარმომადგენელი ამხ. კორონცევი.

ოდესის „დინამო“-ს ჰყავს ფეხბურთელთა ოთხი გუნდი. გუნდი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, უმაღლესი კატეგორიისა, ხუთი მოთამაშე ამ გუნდიდან შედის ოდესის ნაკრებ გუნდში.

ოდესის და ხარკოვის დინამოელები სრულიად უკრაინის სპარტაკიადაზე

## ველო-გადარბენა

### ნოვგოროდი—მოსკოვი—თბილისი

გუშინ საღამოს 9 საათზე, ნოვგოროდიდან (ლენინგრადის გუბერნია) თბილისში ჩამოვიდნენ დიდი ველო - გადარბენის მონაწილეები. აღნიშნული გადარბენა ველოსიპედებით მოაწყო ნოვგოროდის ფიზკულტურის საოლქო საბჭომ. გადარბენის მარშრუტი შემდეგი იყო: ნოვგოროდი-ლენინგრადი - მოსკოვი-ხარკოვი - როსტოვი-კავკავი და თბილისი.

გადარბენის მონაწილენი, ნოვგოროდელი ფიზკულტუროსნები — **სირმოვიჩი** (გადარბენის კომანდირი), **ბროცინი, ავაკუმოვი** და **ადამოვიჩი,** ნოვგოროდიდან გამოვიდნენ 18 ივნისს. თბილისამდე მათ ველოსიპედებით გაიარეს 3.500 კილომეტრზე მეტი, რაც სარეკორდო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

თბილისში გადარბენის მონაწილენი დარჩებიან 2—3 დღე, ამ ხნის განმავლობაში გაეცნობიან თბილისის ფიზკულტუროსნებს და შემდეგ რკინის გზით გაემგზავრებიან უკანვე.

## პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი

1929 წლის გაზაფხულის სესიაზე სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:

**ენისა და ლიტერატურის დარგი:** ბერძენიშვილი მარიამ, დოჩვირი მარიამ, იოსავა აგრაფინა, უშვერიძე ნინო, ქავთარია ვარლამ.

**საენათმეცნიერო დარგი:** აბულაძე ილია, იორდანიშვილი სოლომონ, კარბელაშვილი დავით.

**საისტორიო დარგი:** ათანელიშვილი გიორგი, თოფურია ნატო, ღარიბაშვილი ნინო, ჩხარტიშვილი გრიგოლ.

**სამათემატიკო დარგი:** ბარკალაია აკაკი, ბენაშვილი ერეკლე, გორგიძე ალექსი, ვაშაკიძე დარეჯან, მეცხვარიშვილი იასონ, ხაჟალია გრიგოლ, მიქელაძე შალვა.

**საბუნებისმეტყველო დარგი:** კობიაშვილი ბარბალე, ნამორაძე ზაქარია, რაზმაძე ოლღა.

**პედაგოგიური დარგი:** დიასამიძე თამარ, კვიხიკაძე ბარბალე, ჩხაიძე შუშანიკ.

**ქიმიურ-ფარმაცევტიული დარგი.** არევაძე ივანე, ბაკუნოვი კონსტანტინე, ბერიძე პლატონ, გელეიშვილი პროკოფი, დარიალაშვილი ანა, ვადაჭკორია იპოლიტე, კახიანი ვლადიმერ, მუჯირი ქეთევან, რამიშვილი ლიდია, ტარაიანი ვირგინია, ჯანიაშვილი მათე, ჯიბლაძე ვენერა.

## შრომის ბირჟაში

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

**კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან:** გიორგი ერისტოვი, იოსებ ბარტელი, მიხეილ ლეონტიევი, ნიკოლოზ ძნელაძე, სარდიონ სირაძე, პეტრე კორშაძე, ისრაელიანცი, ბიბილაშვილი, ეკატერინა ლატვილა, ელენა გრაჩკო, არამ გასპარიანი, სერგო დამიდოვიჩ, დავით მჭეიძე, ოლია ბაიაძე, ვერა სარაჩენკო, გიორგი გულუკაშვილი, ვახტანგი გეგეჭკორი, ალექ. კიურკი, ათანას კამალოვი, ლეონიდე ჟოეტნიკოვი, შიუსტერი, ი. ეტციევი, იოსებ ჩაგელაშვილი, ელ. ეგიზაროვი, მარიამი კოხიევა, ბარბარე სტეპანოვა, ვასო კვანტალიანი.

**მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** აიკაზელ გრიგორიანცი, პატროსი აბრამოვი, ბარ. მურადიანი, მელიქ ალავერდოვი, მიხ. ჯიმშელაძე, ვართან ავაქოვი, ლევან ასლანოვ, ი. აკიმოვი, არტ. მარდიშვილი, ოლღა მებაღიშვილი. ალექ. აივაზოვი, გ. ტერ-არუთინოვი, ნიკოლოზ მურაევ, ს. კარაკოზოვი, არტ. გალუსტოვი, ს. ნაოჭოვი, ვ. ბეგლიანოვი, ილია აბეწაშვილი, სერგო მარკოვი, მუკას სტეფანიანი: ტატე მელიქაშვილი, შალვა კახიანი, იასონ პანჩიკაძე, ვასილ კობაძე, ალექ. კვიკვიძე, სუს. ოგანეზოვა, აკაკი ფანცულაია, გაბო უთარაშვილი, სარ. პეტროსიანი; გიორგი ბულათაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, ივანე ჯანგიბერაშვილი, მიხეილ რევიზოვი, სიმონ ბაბიანი, შალვა ბალუმიანც, შალვა აბრამოვ, ნიკოლოზ ვარდოევი; ვასილ კულკოვი, ივანე ხურდავერდოვი, დარჩო ლეჟავა, მიხ. დიასამიძე, იასონ სირაძე, აშოტ ცატუროვი, ლევ. კანდელაკი, ალექ. როჩიკაშვილი.

**მოზარდთა სექციიდან:** ილია ლაფაჩი, ვასილ ხობალაძე, შალვა ფურცელაძე, მიხ. მესტვირიშვილი, ალექ. ქორაჩაშვილი, შოთა ნარსია ალექ. პიტავა, ივანე ბეგროვი, გიორგი ალექსანდრაშვილი.

**შავ-მუშათა სექციიდან:** ალექ. მერაბაშვილი, გ. წინამძღვაროვა, ბაღდო კარაკოზოვ, პარმენ კოზულია, სედ. პანასინ; ვასილ მამალოვი, არ. დოხიანი, გიორგი საბევი, გრიგორი კუკოევ, სევ. თოფურია, მიხ. სევარტინოვ, სურ. არაქელოვ, ვას. მეტრეველი, შურ. ლულაშვილი; ვას. მეტრეველი, კონს. შურკაევ, ქ. ნოდია, შაქრო შაროევი, ვლადიმერ პელიძე, კარ. კარაპეტოვი, კონ. ლეშკაშვილი; სერგო პაპავა, ალ. ანთაძე, ანტონ კოზიევი; ნიკ. კევლიშვილი, იპოლიტე ვერულაშვილი, შ. ვეზულაშვილი; ვახ. შახბერაშვილი, სერგო ქუბაბრია, კონსტანტინე კურქულაძე.

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მხატვრული ფილმი სემირამიდას მარგალიტი
საზაფხულო პალასი — გრანდიოზულად დადგმული ფილმი დიადი საქმის კავშირი (С. В. Д.)
საზ. ფხულო ეთერი — გაროლდ ლოიდი სურათ „მეზღვაურ“-ში პროგრამის გარ. შე „ღილების საქმე“
მინიონი — გაწირულნი 3 და 4 სერია
მალე—კინოვერი, მთის ბალადა

**თანახმად ქ. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. № 100 დადგენილებისა,**

ყველა მეღუმელები (Печники) (რომლებიც მუშაობენ ქ. თბილისის ფარგლებში, ვალდებულნი არიან

## გატარდენ რეგისტრაციაში

ქალაქის ხანძრისაგან დაცვის სამმართველოში (ელიავას ქ. № 4 ა. წ. 18 ივლისამდე და მიიღონ სათანადო მოწმობა, რომელიც მათ უნდა ანიჭებდეს საღუმელე საქმეების წარმოებას.

აღნიშნული მოწმობებს მიიღებენ სათანადო გამოცდის, სპეციალურად გამოყოფილ საგამოცდო კომისიაში, ჩაბარების შემდეგ რომელიც დანიშნულია ა. წ. 20 ივლისს დილის 9 საათზე, რა დროსთვისაც ყველა ღუმელის მოხელეები უნდა გამოცხადდენ გამოცდაზე.

გთხოვთ ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 20 ივლისის შემდეგ არ დაუშვან სამუშაოზე ისეთი მოხელეები, რომლებსაც არ ექნებათ სათანადო მოწმობები.

ნ. 2962 თბ. ხანძრისაგან დაცვის სამმართველო.

**ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი**

**ი. მილორავა**

ამით აცხადებს, რომ ის აკაკი წერეთლის ქუჩაზე 16 ივლისს დღის 2 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის უშვილოთ გარდაცვალებული ივანე ბიბოს-ძე მახარაძის მოძრავ ქონებას, შკაფებს, სკამებს, ნოხს, ტანისამოსს, საწოლს და ოჯახის წვრიმალ ავეჯეულობას, შეფასებულს 595 მან. და 80 კაპ. ელენე ოლხოვსკაიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქუთ. სანოტარო კანტორის წარწერით თამასუქზე, № 1655. ქონება გაიყიდება, როგორც ერთად, აგრეთვე ცალ-ცალკე. ნ. 2958

**ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი**

**გრ. ა. დანელია**

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს 1929 წ. დღის 3 საათზე სახლში № 1/2 რუ ის ძ მუხრანის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ქალთა კოლექტივი სალამის სამმართველოს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, სასადილოს მაგიდებს, საყინულეებს და სხვადასხვა სასადილოს მოწყობილობას შეფასებულს 558 მანეთად, მუშა-მოსამსახურეების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6/II, 24/VI, 3/V, 31/V, 20/V, 28/VI 1929 წ. თარიღით, № 2403—2298—2299—1563—1899, 1728 და 2472 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2538

# ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება № 27

### ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

11 ივლისი, 1929 წ.

პურის გამოცხობაზე საინსპექტორო ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

თანახმად მუხ. 13 პ. „მ“-ისა ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა—„ა. კ. ვაჭრობის სახკომისარიატის დროებით დებულების შესახებ ა. კ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს 1929 წლის 1 ივლისიდან საინსპექტორო ზედამხედველობა პურის გამოცხობაზე ქ. თბილისის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საცხობებსა და თორნეებში.

2) პურის გამოცხობაზე საინსპექტორო ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო პურის ინსპექციის ორგანოები გამომცხვარ პურის პერიოდული გასინჯვით და პურის საცხობებიდან და თორნეებიდან მიღებული ნიმუშების სალაბორატორიო გამოკვლევით (ანალიზით).

3) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა პურის გამოცხობა, რომელიც არ ეთანხმება დაწესებულ სტანდარტებს, დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-117 მუხლის თანახმად.

ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **საპიანი.**

საქმეთა მმართველი **შარმაზანაშვილი.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**პარასკევს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე წმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში:**

**ლენინის რაიონში:**

1. ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის ამწყობ ცეხში; შემმოწმებელი კომისია — ამხ. გიგო ლელაშვილის, გრიგ. პოპოვის და ალ. ყამარაულის შემადგენლობით.
2. მატარებლების ბრიგადა; შემმოწმებელი კომისია — ამხ. გ. რთველაძის, ბაგიროვის და თავდიშვილის შემადგენლობით.
3. კავშირგაბმულობის და ელექტროტექნიკის მე-3 უბანში (შჩ/3); შემმოწმებელი კომისია — ამხ. ზაქრაძის, გაბერნიკორნის და კესნოვის შემადგენლობით.
4. სათბობი მასალის საწყობში (მოპ)—საბჭოთა ქ. № 108, საღამოს 5 საათიდან; შემმოწმებელი კომისია — ამხ. მალაქია ტოროშელიძის, ზაქ. ტეგეტაშვილის და ალ. [illegible] შემადგენლობით.
5. „ხის ნაწარმი“ (ელისაბედის ქ. № 121); კომისია—ამხ. ჯატიევის, კორინევის და ორაგველიძის შემადგენლობით.
6. ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სახარატო ცეხში — ამხ. მხარეულაშვილის, არუთიუნოვის და ტარასოვის შემადგენლობით.
7. რკინის გზის სტამბის უჯრედში (ანდრეევის ქ. № 96)—ამხ. კუხალეიშვილის, გარიშვილის და მონტინის შემადგენლობით.

შემმოწმებელი კომისიების ყველა თავმჯდომარეებს და წევრებს, რომლებიც მუშაობენ საქ. კომპარტიის (ბ) რიგების გასაწმენდათ მაზრებში და გამოგზავნილი იყვნენ საქ. კომპარტიის მეექვსე ყრილობაზე დელეგატებათ — წინადადება ეძლევათ დაბრუნდენ ადგილებზე პარტიის რიგების წმენდის გასაგრძელებლად.

წმენდის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

—:—

**დღეს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე,** თბილისის აღმასკომის დიდ დარბაზში, საქ. კომპარტიის (ბ) რიგების შემმოწმებელი და მწმენდავი კომისია გამოაცხადებს, ქალაქის აღმასკომის უჯრედის შემოწმებისა და წმენდის შედეგებს.

—:—

**შაბათს, 13 ივლისს, საღამოს 8 საათზე** მოწვეულია თბილისის ორგანიზაციის შემმოწმებელ კომისიათა მდივნების თათბირი, რომელიც შესდგება ამხ. გოლდბაუმის კაბინეტში.

—:—

**დღეს, დილის 11 საათზე,** საქ. კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი, მ. მთვარელიძე, ნ. ღლონტი, ტ. სპრინჯელი, ჯაფარიძე (ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოდან) და იმედაძე.

ა.-ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ 13 ივლისს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტთან არსებული მიმღები კომისიის სხდომა. მიმღები კომისიის წევრებისა და იმ ამხანაგების გამოცხადება, რომელნიც უნდა იქნენ დამტკიცებულნი ა.ლ.კ.კ. წევრებათ — სავალდებულოა. კოოპერატიული ორგანიზაციების უთავბოლობა შაქრის განაწილების საქმეში.

თავზარდაცემული მეუღლე ბიქტორი ლუკას-ძე, შვილები: ვახტანგი, ლილი და ვენერა მახვილაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

**ანიჩკა მახვილაძისას**

უდროოთ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. ნ. 2961

დამწუხრებულნი მაზლი ივანე, რძალი ლიუბა, მაზლის შვილები ქეთო, თამარი მახვილაძეები, ლიუბა ლუკას ასული და ალექსანდრე დავითის-ძე ბარათაშვილები იუწყებიან

**ანიჩკა მახვილაძისას**

უდროოთ გარდაცვალებას. ნ. 2961

დამწუხრებულნი მეუღლე მაშიკო, შვილები: ფილუშა, თამარა, ანიჩკა, ვარინკა და დათიკო, სიძეები: ალექსანდრე დეეიძე და ვასილ მაისურაშვილი; რძალი ანა ფეიქრიშვილისა იუწყებიან

**სტეფანე პავლეს-ძე ფეიქრიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 13 ივლისს, 1 საათზე. 2539

ფრანც გრიგოლის-ძე ექსანოვი მეუღლით და შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი აღმზრდელი

**სტეფანე პავლეს-ძე ფეიქრიშვილი**

დაკრძალვა შაბათს, 13 ივლისს. 2527

გაუბედურებული მეუღლე იუსტინა, მამა იოანე, შვილები: მართა ლორთქიფანიძისა,—შვილებით, ვერიკო, ივანე მეუღლით ბაბულია და პატარა ბიძინა და ტეზიკოთი; ალექსანდრე პატარა დოდონათი; გრიშა და სიძე პიპიკო ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს საყვარელ და დაუვიწყარ

**კირილე ივანეს-ძე ქიქოძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ბახვში, შაბათს, 13 ივლისს, 2 საათზე. ნ. 2959

დამწუხრებული მშობლები შუშანა, ემელიკო და ია ბაბაძეები იუწყებიან, რომ 14 ივლისს, ს. საქარაში საყვარელი შვილის

**ვალიკო (ვარლამ) ბაბუაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2535

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფ ლისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ბინამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
■ ასწორებს ■
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.
2468 13—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონსტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 სათამდე. 13—10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

დაიკარგა წნორის წყლის კოოპერატივის წიგნაკი № 3931/1950 ილია პაპაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2537

დაიკარგა პურის წიგნაკი № 9074 მისამ ოღლის სახელზე, ჩ. გ. 2536

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურად მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი მ. დანელიას სახელზე, ჩ. გ. 2537

დაიკარგა პურის წიგნაკი № 68 ალექსი ვასილის-ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 2528

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 2415 ალექსანდრა ივანეს ასული ჭამპაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2529

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და ოხეტის მოწმობა № 200 მიხეილ კრიხელის სახელზე, ჩ. გ. 2532

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 315 გაცემული თბ. მე-2 შრომის სკოლის მიერ ბაგრატ ხურცილავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 2959

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2180 კონსტანტინე იაკობის-ძე კილაძის სახელზე, ჩ. გ. 2530

დაიკარგა: საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 11587 გაცემული ევგენია დიმიტრის ასული კვიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2526

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამ ოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.